

ლიტერატურული გაზეთი

№40 10 - 23 დეკემბერი 2010

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

გივი სულაკაური

მოგონებების მოლექვლები

VI-VIII

ზურაბ ლეჟავა:

„დიდად არც „ჩაყვინთვას“
განვიცდი და არც
„ამოტივტივებას“

XIII

ელგუჯა ბერძენიშვილი


ტოროლა

XII

ჟან მარი გუსტავ ლე კლეზიო:

„მწერალი მხოლოდ
მწერალი არ უნდა იყოს“

XV



დასაწყისი № 38-39

ვახტანგ ჯავახიძე

ლექსიდან- ამდე

სამოქალაქო ომის გამოცხადება
 1991 წლის 21-22 დეკემბერს მთავრობის სასახლის დაბომბვა დაიწყო. მალე ორმხრივი სროლები გახშირდა. რუსთაველის პროსპექტი და ქაშვეთის მიდამოები ბრძოლის ველად იქცა. უმაღლესი ხარისხის ლიტერატურის მუზეუმი, რომელიც ამ სახიფათო ზონაში აღმოჩნდა და სადაც გალაკტიონისა და სხვათა უმდიდრესი არქივები ინახება. მაშინვე სახლში დავურეკე მუზეუმის მაშინდელ დირექტორს გურამ შარაძეს და ჩემი შემფორთება გავუზიარე. გურამმა დამამშვიდა. ოღონდ ძალიან შეწუხებული იყო: ახლახან ვიქტორ გაბესკირიას ქალიშვილმა დამირეკა და მაცნობა, ვაკეში გამსახურდიების სახლს ხანძარი გაუჩნდაო. ლიტერატურის მუზეუმი მართლაც გადარჩა, მდებარეობამ გადაარჩინა, დაღმართის ბოლოსაა, მოფარებული.

ქვიშხეთი
 ვისაც ქვიშხეთში დაუსვენია, სამუდამოდაა შეყვარებული ქვიშხეთზე. 1997 წლის 5 ივლისს ჩემთან გამომცემლობაში მოვიდა ალექსანდრე ქუთათელის ვაჟი — გივი. „ქართული პროზის“ ცალკე ნაწილი, სადაც დაბეჭდილია „პირისპირ“. გივიმ ქვიშხეთი გაიხსენა: ჩემმა ბიჭმა სანდრომ (რომელსაც ბაბუას სახელი ჰქვია) ერთხელ მითხრა: მამიკო, როცა მოგვკვდები, ქვიშხეთში დამასაფლავებო.

 ოთხმოციანი წლებში „მერანის“ დირექტორს ნიშნავდნენ. როგორც გვიან შევიტყვე, ჩემი კანდიდატურაც დაუსახელებიათ, მაგრამ მწერალთა კავშირის მაშინდელ თავმჯდომარეს ნოდარ დუმბაძეს თავი შეუკავებია: თვითონ ფიგურულ ლექსებს წერს და ავტორებს როგორ მოიგერიებსო! ეს ბრალდება ნოდარისაგან მოსალოდნელია, რადგან იგი ტრადიციული მწერალია და ბევრი მკითხველი ჰყავს. თემიც ელიოტი გვაფრთხილებს: ცოტა მკითხველი სჯობს, ბევრი საშიშია: მკითხველისა და მწერლის დონე ერთმანეთს უთანაბრდება. ნოდარმა გამომცემლობის დირექტორად თავისი მეგობარი დანიშნა და ამდენად მისი ბრალდება მთლად გულწრფელი არ იყო ალბათ.

ბალანჩინი
 1997 წლის 2 ივლისს „ლიტერატურნა-ია გაზეტაში“ დაიბეჭდა საუბარი სოლომონ ვოლკოვთან. იგი ამჟამად შტატებში ცხოვრობს და იქ გამოსცა მის მიერ ჩანერილი მოსტაკოვიჩის მემუარები. უცხოეთშივე გამოსცა საკუთარი წიგნი „სანკტ-პეტერბურგი“, რომელშიც ერთი დიდი თავი ეძღვნება ბალანჩინს, რომელსაც ავტორი რუსად თვლის და გაცხადებული აღნიშნავს: „რუსეთში მას არ აყენებენ იმ სიმაღლეზე, როგორც ამერიკაში. ამერიკაში ბალანჩინს, პიკასოსთან და სტრავინსკისთან ერთად, მეოცე საუკუნის უდიდეს გენოსად აღიარებენ“.

ამაოდ გიკვირთ, ბატონო სოლომონ! ბალანჩინს რუსები ღირსეულად არასოდეს დააფასებენ, რადგან იგი გახლავთ ქართველი და არა რუსი, როგორც თქვენ გგონიათ.

სარკე?
 პრეზიდენტობის ზოგიერთ კანდიდატს რომ ვუყურებდი არჩევნების დღეებში, ვფიქრობდი, ამათ სახლში სარკე არა აქვთ-მეთქი: შესახებდაობასაც ხომ აქვს



მნიშვნელობა, პირველი კაცის პრეტენზია რომ გქონდეს?!

განერაღმა გაგვაფრთხილა
 1997 წლის 6 აგვისტოს ამერიკელმა გენერალმა ჯონ მალხაზ შალიკაშვილმა თბილისის ტელევიზიაში განაცხადა: უნდა ვეცადოთ, აფხაზეთის დაპირისპირება მშვიდობიანი გზით მოვაგვაროთ. ჩვენ უფრო მეტი უნდა ვიფიქროთ ჩვენს შეილებზე, ვიდრე ჩვენს წინაპრებზეო.

რომელი სჯობდა?
 ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს ორმა ესპანელმა მხატვარმა ორი შედეგი შექმნა: 1936 წელს — სალვადორ დალიმ „ომის წინათგანმობა“ და 1937 წელს — პიკასომ „გენრიკა“. ორივე შედეგი ფერწერის დედაქალაქ პარიზში დაიხატა და ამერიკის უმდიდრეს მუზეუმებში ინახებოდა: პირველი — ფილადელფიის მუზეუმში, მეორე — ნიუ-იორკისა. პიკასომ დაიბარა: ფრანკოს სიკვდილის შემდეგ „გენრიკა“ ესპანეთში ჩაიტანეთო. ასეც მოიქცნენ. ასე რომ, ესპანეთის სამოქალაქო ომი რომ არ მომხდარიყო, კაცობრიობა ორ შედეგს დაკარგავდა. რომელი სჯობდა?

ერთ-ერთ გამოფენაზე ერთმა ესპანელმა ფაშისტმა კომუნისტ პიკასოს „გენრიკას“ შესახებ ჰკითხა:
 — ეს თქვენი ნახელავია?
 — არა, — მიუგო მხატვარმა, — თქვენი!

ერთხელ პიკასოს აცნობეს: ფრანკოს სურს მისი პორტრეტი დახატო. დიდი სიამოვნებით, — განაცხადა პაბლომ, — ოღონდ ნატურისათვის თავი გამომიგზავნოსო.

 1997 წელს ჟურნალ „XX საუკუნის“ მერვე ნომერში ნავეკითხე ზაზა თვარაძის ხანგრძლივი ლექსი „ოდა რუსთაველს“ — გათანამედროვეებული რუსთაველი. თავისუფალი ლექსია, ალაგ — გართიმული. ეტყობა, პროზაიკოსის დაწერილი რომაა. თითქოს საინტერესოა, მაგრამ მაინც არ მომეწონა. ასეც ვუთხარი ჟურნალის რედაქტორს ზაზა სამადაშვილს ტელეფონით: „არილში“ მომეწონა ზაზას მოთხრობები და სჯობს ისევ პროზას მიხედოს-მეთქი. მეორე დღეს ისევ ნავეკითხე და მოულოდნელად ბროდსკის ხანგრძლივი ლექსები გამახსენდა. გამახსენდა და ზაზას ლექსიც მომეწონა. ასე გვეხმარებიან დიდი პოეტები!

ამერიკა — კონტრასტების ქვეყანა
 ჯონ კენედიმ თავის ინაუგურაციის ცერემონიაზე რობერტ ფროსტი მიიწვია, რათა ლექსი წაეკითხა. ეს ფაქტი პოეზიის აღიარების კარგი მაგალითია. ეს მოხდა 1961 წელს, მაშინ ფროსტი 87 წლისა იყო. ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

ერთი წლის შემდეგ, 1962 წლის 20 აპრილს, ჯონ კენედიმ თეთრ სახლში სადილზე მიიწვია უილიამ ფოლკნერი, რომელმაც უარი განაცხადა პრეზიდენტის მიწვევაზე. მაშინ ფოლკნერი 65 წლისა იყო. ორი თვისა და 17 დღის შემდეგ გარდაიცვალა.

ჩვენთან, საქართველოში, ლექსი არ ნაუკითხავს, მაგრამ დამოუკიდებელი რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე პოეტმა მუხრან მაჭავარიანმა დაასახელა ზვიად გამსახურდია — მომავალი პრეზიდენტი.

გენოსობის მახასიათებელი
 ჯინ ლანდრამის წიგნი „ოთხმეტი გენოსი, რომლებიც ამსხვრევდნენ კანონებს“ — შერჩეული 14 გენოსიდან რვა ლექსებს წერდა, თუმცა არცერთი არ იყო პოეტი: პაბლო პიკასო, აისედორა დუნ-

კანი, მარკიზ დე სადი, ადოლფ ჰიტლერი, ფრენკ ლოიდ რაიტი, ამელია ერჰარტი, ნიკოლა ტესლა და ნაპოლეონ ბონაპარტი. უცნაური და საგულისხმო შეფარდება: მსოფლიოს მილიონობით პოეტებიდან ალბათ ერთ პროცენტსაც ვერ შეადგენენ გენოსები, აქ კი 14 გენოსიდან 8 — თითქმის 60% — პოეტია. როგორც ჩანს, პოეზია გენოსობის უჩინარი მახასიათებელია (გაიხსენეთ სტალინის ლექსები, თუმცა სტალინი ვერ მოხვდა ამ თოთხმეტში, გაიხსენეთ აგრეთვე მარქსი, მათ ძედუნი, მიქელანჯელო, შაგალი და ასე შემდეგ). ერთხელ პიკასომ იხუმრა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ენციკლოპედიაში ასე განმარტავდნენ: „პიკასო პაბლო რუისი — ესპანელი პოეტი, რომელიც ბედს ცდიდა ფერწერასა და ქანდაკებაში“.

დედა ეუბნებოდა პიკასოს: თუ ჯარში ნახვალ — გენერალი გახდები და თუკი ბერად აღიკვეცები — პაპიო. პიკასომ მესამე გზა აირჩია და გახდა მხატვრების გენერალი და პაპი.

 შემომჩვენია: მავანი ბრწყინვალედ ყველა საშუალო ანეკდოტსაც კი, მავანი კიდევ ბრწყინვალე ანეკდოტს „აფუჭებს“. მწერლობაშიც ხდება მსგავსი რამ: ზოგიერთები თვითღირებულებაზე საკმაოდ ძვირად „ყიდვიან“ თავიანთ ნაწერებს, ზოგიერთები კი უკეთეს ნაწარმოებებს ნახევარ ფასადაც ვერ „ასალებენ“.

საკუთარი ნიგნის რეკლამა
 1991 წელს საკუთარი ხარჯით გამოვეცი „უცნობი“ და „ლიტერატურულ საქართველოში“ რეკლამა გამოვაქვეყნე: რა კარგი ყოფილა საკუთარი ნიგნის რეკლამის მომზადება: თავს იქებ და სრულიად არ გრცხვენია და არ ნითლდები!

გურამ დორანაშვილი
 გურამ დორანაშვილი და ვახტანგ რურუა — იზვიათი ტანდემი — იზვიათი შესაბამისობა მხატვრისა და მწერლისა. ალბათ ესაა ბედნიერი შემთხვევა, უფრო ზუსტად — ბედნიერი შეხვედრა. გეგონება, გურამი ვახტანგის ნახატებს უყურებდა და ისე წერდაო (ასეთი შემთხვევა ალბათ დორე და რაბლე, დორე და დანტე, დორე და ბიბლია). გურამის ბოლოდროინდელ მოთხრობებს რომ ვკითხულობ, უცნაური აზრი მანუხებს: ამის დამწერი ან შეშლილია, ანდა — გენოსი. არადა, კარგად ვიცი, რომ შეშლილი არაა. ალბათ ენას ასე ექცეოდა ჯოისი.

დისნეი თავის სტუდიაში პროფესიონალ მხატვრებს არ ლეზულობდა — პროფესიონალებს ნოვატორული აზროვნება აკლიათო, დაშტამპულები არიანო, და მე ვფიქრობ, გურამს რომ ფილოლოგიური განათლება მიეღო, ალბათ არ გვეყოლებოდა ამდენად ორიგინალური შემოქმედი (გურამი ისტორიკოსი-არქეოლოგია).

დორანაშვილი თავიდან წერდა ტრადიციასთან მიახლოებული სტილით. მერე და მერე მისი მანერა თანდათან შეიცვალა, იმდენად შეიცვალა, რომ გრამატიკულ ნორმებსაც დაუპირისპირდა და ეს დაპირისპირება იქცა მის ძირითად სტილად. ასეთი დეფორმირებული სტილი, როგორც აღვნიშნე, ჯოისის „ულისეს“ უნდა ჰგავდეს.

თვითონ გურამი გახლდათ დახვეწილი და წარმოსადეკი. რამდენიმე წლის წინათ ფეხი მოიტეხა და ხანგრძლივად იწვა. მერე მეორედ მოიტეხა ფეხი და დიდხანს ვერ დადიოდა. შემდეგ ორსაფეხურიანი ყავარჯენი მოიმარჯვა და თითქოს ჰაბიტუსიც შეეცვალა. მისი სტილი და გარეგნობა ერთნაირად დაუპირისპირდნენ ნორმებსა და ტრადიციებს. ამბობენ, სტილი — თვითონ ადამიანიაო.

ინკომპანიტო მთარგმნელი
 1962 წელს ჩვენმა გამომცემლობამ გამოსცა დავით ონიასვილის მიერ თარგმნილი „ფაუსტი“. წიგნი გამოსაცემად მოამზადა, ვრცელი წინასიტყვაობა და ვრცელი კომენტარები დაურთო ოთარ ჯინორიამ. თარგმანის მხატვრული დონე აშკარად არაადამაკმაყოფილებელია. ბატონმა ოთარმა შემომთავაზა გამესწორებინა ტექსტი, რომლის მეორე ნაწილიც პირველად იბეჭდებოდა. მე უარი ვუთხარი. ჯერ ერთი: პოეტური ტექსტი სწორება შეუძლებელია (უმჯობესია, თავიდან თარგმნო) და მეორე: მე გერმანული არ ვიცი. მაშინ ბატონმა ოთარმა მოხოვა ხელახლა მეთარგმნა პოემის ბოლო ორი სტროფი, რომელსაც მისტიური ქორო წარმოთქვამს. მომიტანა ზუსტი პნკარედი და ამიხსნა ტექსტი და ქვეტექსტი. ასე ვთარგმნე და მთარგმნელის მიუთითებლად დაიბეჭდა ეს რვა სტრიქონი:

წარმავალი ყოველი მხოლოდ ანარეკლია, ნაკლულოვანს მოელის აქ სრულყოფა ერთიან. უჩვეულო, ფარული — აქ ნამდვილად ვლინდება, მარადიულ-ქალურიც აქეთ მიგვეზიდება.
 ბორის პასტერნაკს შესატყვისი სტრიქონები ასე აქვს თარგმნილი:
*Аñд аñ нò ðì ò ð-í ð —
 Nèì àì è, ñòààí àí ùà.
 Òàèù àáñè ð-í ð-á ùý
 Çàññù — à ùñ ñò è è àí ùà.
 Çàññù — çàñ ð àáààí í ð ñò ù
 È ñò è ð à àñàè.
 Àá-í àý è àí ñò àáí í ð ñò ù
 Òýí àò í àñ è í àè.*

სხვათაშორის, „ფაუსტი“ რომ დაასრულა, გოეთე ბრძანა: ამიერიდან რამდენ ხანსაც ვიცოცხლებ, ღვთის საჩუქრად ჩავთვლიო. სამწუხაროდ, ამის შემდეგ გოეთემ ერთი წელიწადიც ვეღარ იცოცხლა.

 ერთ თანამდებობის კაცს ვიცნობდი. ამბობდნენ, სახლში ორი მაცივარი უდგას და ერთის გასაღები ჯიბეში უდევსო. ამ პიროვნებას ცოლი ადრე გარდაეცვალა. პანაშვიდზე მეც მივედი და ერთმა მკრეხელურმა აზრმა გამიელვა: თითქოს რაღაც კავშირი იყო დაკეტილი მაცივარსა და ახალგაზრდა მეუღლის გარდაცვალებას შორის. ბოლოს თანამდებობის კაცი ფინანსური მაქინაციების გამო პარტიიდან გარიცხეს, არადა, მხოლოდ და მხოლოდ პარტიიდან გაიკეთა მთელი კარიერა.

 ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში, ჩემი სტუდენტური არდადეგების დღეებში, ქუთაისში მარჯანიშვილის თეატრის გასტროლები მიმდინარეობდა. თეატრთან იდგნენ გიორგი შავგილიძე და მამია ასათიანი. მამიამ ჩემი თავი მაცნო მსახიობს. იგი ჩემმა გვარმა დააინტერესა და მკითხა, სადაური ჯავახიძე ხარო. ქვიტირელი-მეთქი, — ვუპასუხე. შავგილიძეებიც ქვიტირიდან ვართო. მესიამ-ოვნა.

ბიძინა კვიციანი ნაამბობი
 1998 წლის 29 ივლისს ბიძინა კვიციანი 70 წლისა შესრულდა (29 ივლისი ჩემი დაბადების დღეცაა!). ეს ინფორმაცია ტელევიზორიდან შევიტყვე. ბატონმა ბიძინამ საინტერესო ეპიზოდი გაიხსენა. ერთხელ ანდრია ბალანჩივაძემ მიაშობ სადღაც ამოკითხულიო: მუსიკა დიდი ტაძარია. იგი გაჭედულია გენოსებით. ყველა ადგილი დაკავებულია. შენ ამ ტაძარში შედიხარ, მაგრამ თავისუფალ ადგილს ვერ პოულობ. წრე უნდა შემოიარო. თუ სადმე პატარა აგურს აღმოაჩენ, მაშინვე ჩამოგეჭვი, თორემ წრე გათავდება და გარეთ აღმოჩნდებიო.
 ასეა ლიტერატურაშიც!

პოეზიის
 ცხოვრობდა გასული საუკუნის იტალიაში ერთი უცნაური ბოზოზო, ხაზინის კომისარი. ერთხელ ბუსოლენოს ბაზარში ყველა ფრინველი იყიდა და გაუშვა (იხ. ჩემი ლექსი — „ხმაურობდა ჩიტების დახურული ბაზარი“). ბოზოზო ტყის მოჭრის წინააღმდეგაც ილაშქრებდა. სამსახური-

* * *

წინ წყალია და უკან – მენყერი.
წინ სიკვდილია, უკან – დაბადება.
წურასოდეს იკითხავ, სად იქნები სიკვდილის შემდეგ.
მოითმინე და ყველაფერს გაიგებ,
ყველაფერი გეცოდინება
და ისე უვიცი, როგორც ახლა ხარ დაბადებასა
და სიკვდილს შორის,

აღარ იქნები
და ეს ისეთი საიდუმლოა,
რომ გამხელა არ შეიძლება
და მოკვდავად ყოფნის ჟამი სიუვეიცის ჟამია მხოლოდ.
წინ წყალია და უკან – მენყერი.
სიცოცხლე ისე მშვენიერია, რომ დაბადებად ღირდა,
უფალო,
და მე მარადის მადლიერი ვარ, რომ გამაჩინე,
რომ ჩემს მშობლებს მიეცი ძალა ჩემი შექმნისთვის.
არ მიყვარს ბავშვობის გახსენება, რადგან
ჩემს გემოზე ვერ ვცხოვრობდი –
რაც მინდოდა, ვერ ვიცვამდი და ვერ ვჭამდი
და მშობლებიც თავს მბებრებდნენ აღზრდის წესებით.
არ მიყვარს იმის გახსენება, რომ ერთ დღესაც
მოვკვდები და

თან ვერაფერს ვერ ნავილებ, რაც დიდობაში მოვიქონიე.
წინ სიკვდილია, უკან – დაბადება
და მათ შორის ხიდზე ვდგავარ,
ხიდქვეშ მიდის ცხოვრება და ისეთი ლამაზია,
მავენიყვება, რომ ვარ მოკვდავი,
ხელებს ფრთებივით ვშლი და ხიდიდან გადავეშვები.

* * *

ჭრიალებს ჟანგისფერი ცეცხლი
ანჯამებდაჟანგული კარებივით,
ჭრიალებს და იღება და იხურება
სცილასა და ქარიბდასავით.
უნდა მოასწრო და გაღმა გასხლტე,
თორემ პირს გტაცებს და ისე დაგწვავს,
შენგან ფერფლსაც კი არ დატოვებს.
შენს ხმასაც დაწვავს, წაეკიდება.
შენს მზერასაც დაწვავს, წაეკიდება.
შენს ტკივილსა და სიხარულსაც დაწვავს, წაეკიდება.
ჭრიალებს ჟანგისფერი ცეცხლი –
ძველთაძველი ჭიშკარი მიღმა სამყაროსი,
რომელიც ისეთი ლამაზია, ისეთი ნეტარია,
რომ გაღმა გასულეები იქ დარჩენას არჩევენ
და უკან აღარ ბრუნდებიან.
არავინ იცის, როდის აენთო ეს ცეცხლი და
არავინ იცის, როდის ჩაქრება,
როდის შეწყვეტს მძვინვარებას.
გაბრაზებულია ცეცხლი, აღელვებულია ცეცხლი,
არასოდეს არ იძინებს და არც ჩვენ გვაძინებს
მისი ჭრიალი.

ნეტავ კი ცეცხლის პირს გადამარჩინა –
მეტკინება ცეცხლმა რომ პირი მტაცოს,
მაგრამ ის უფრო მეტკინება,
რომ ეს ცეცხლი მოკლას რაიმემ.

* * *

ყავასთან ერთად მოვწრუპე ლექსი.
ნამცხვართან ერთად ვლექავ ლექსს და
ვცდილობ, ლექსმა კი არ მაჯობოს, არ გამისხლტეს,
არამედ მე ვაჯობო და დავწერო და შევირგო.
სიგარეტთან ერთად მოვწიე ლექსი
და ვიგრძენი, თრობა როგორ გადმოვიდა ჩემს არსებაში,
როგორ მომედო ნელი ცეცხლივით და ამაღულა.
ლექსებით ვსაზრდობო,
ყველა საზრდოს ლექსს ვაყოლებ,
ლექსში ვცხოვრობ, ლექსში ვზივარ,
როგორც ლოკოკინა ნიჟარაში,
როგორც ზღარბი ეკლებში.
სანამ ლექსში ვარ, თავს შინ ვგრძნობ,
თავს ვგრძნობ დაცულად
და თუ ლექსიდან სხვა ტკივილმა გამომაძევა,
უმწეო ვარ, როგორც ახალმობილი,
რომელსაც ცხოვრება ჯერ არ ჰკიდია ზურგზე
ლოკოკინას ნიჟარასავით,
რომ შიგ შეძვრეს და მტერს დაემალოს.
ღვინოსთან ერთად შევსვი ლექსი –
თითო ყლუპი თითო სიტყვაა.
მე ლექსში ვარ და ლექსი ჩემშია
და უფალს შევთხოვ, ლექსიდან ნუ გამომაძევებს,
ამ ტკივილს ვერ გავუძლებ.

* * *

გადმოდი კედლიდან, კედელზე დახატული
ყვითელი ყანჩა,
გადმოდი კედლიდან და იცეკვე,
რათა ჩვენი გული გაახარო.
შენ ღარიბმა სტუდენტმა დაგხატა კედელზე,
რათა სიმდიდრე მოგეტანა პატრონისათვის.
მაყურებლები ალტაცებით მოგჩერებიან,
შორს გავარდა შენი სახელი.
ოღონდ არასდროს არ იცეკვებ ერთი კაცისთვის,
რაც არ უნდა მდიდარი იყოს.



დალილა ბედანიძე

შენ მხოლოდ მისთვის ცეკვავ ხოლმე,
ვინც კი არის სულით პოეტი
და ვინც იცის ზღაპრებისა, ლექსებისა და
ცეკვის ფასი.
არ გაიძულე, რომ იცეკვო მხოლოდ ჩემთვის.
შენს ცეკვას ტაპით ავიღდოებენ მაყურებლები
და ეს ტაპი ერთთვის შენი ფრთების ხმას.
გადმოდი კედლიდან, კედელზე დახატული
ყვითელი ყანჩა,

აავსე სული ბედნიერებით
და რაოდენ დასანანია, რომ შენ გნახა ისეთმა კაცმაც,
ვისაც ფული ჯიბეებს ახევს
და იყიდა შენი ბოლო ცეკვა და მერე
შენს დამხატვ სტუდენტს გაჰყვიე ფრთებჩამოყრილი,
ო, უშენოდ ჩავბნედი, ჩვენო ყვითელი ყანჩა!

* * *

ფეხდაფეხ და ხელდახელ,
თვალდათვალ და გულდაგულ,
პირდაპირ და თანდათან
მიდიხარ და თან გზა გძულს.
ჩქარ-ჩქარა და ნელ-ნელა,
ხანდახან და წინდანინ
აფრინდება პეპელა,
გაფრინდება შენებრ შინ.
წვიმდანივით და ქარდაქარ,
დღითიდღე და ღამდაღამ
დაგახეტებს კარდაკარ
ბედი, რომლისაც კი გწამს.
მზე და მზე და ციმციმა
ღრუბელ-ღრუბელ გზა გადის.
თვალმა კი გაიცინა,
გული – კვენისის მარადის.

* * *

აღარ არის ფაიტონი,
არც ტრამვაი აღარ არის.
შეიცვალნენ დრონი, დრონი
და ქარიშხლად იქცა ქარი.
აღარ არის ფაიტონი
(ფაიტონს ვერ მოვესწარი).
ქარმა შეიცვალა ტონი,
ქარმა შეიცვალა მხარი.
აღარ არის ფაიტონი,
ვისაც ახსოვს, არც ის არის.
დროს არა აქვს თურმე ფონი,
დროს არა აქვს თურმე კარი.
აღარ არის ფაიტონი.
მანქანების რია-რია...
და გვეგონა მონაგონი
მივიწყებულ საგანთ სია.
აღარ არის ფაიტონი,
არც ტრამვაი მახსოვს კარგად.
რა ჯობია, ვერ ავწონი,
რა იყო და დაიკარგა.
აღარ არის ფაიტონი
და ყვითელი ავტობუსით
მე წინ მივქრი მთელი ღონით,
როგორც გნეუს პომპეუსი.

* * *

მწარეა მარტოობის სიგარეტი,
რომელიც ხიდად გადებულა დღესა და ღამეს შორის,
გუშინდელსა და ხვალინდელს შორის
და იწვის და უნდა მოასწრო,


სანამ ბოლომდე ჩაინვება,
გაღმა გახვიდე და არ დარჩე
დღევანდელ დღეში მარტო, დალილი.
ღამის პირველი საათია.
სიგარეტის თვალი ანთია ღამის უღრანში,
როგორც მშიერი მგლის თვალი – ტყეში,
როცა უეცრად შვლის სუნს იგრძნობს და
პირდაღებული კვალს დაადგება.
მწარეა მარტოობის სიგარეტი,
როცა ხმის გამცემს ნატრობ და
ოთხ კედელს ისე ეხეთქები,
ვით თევზი - ბადეს,
მებაღური რომ ნაპირისკენ მიეზიდება.
და მით უფრო მწარეა ეს სიგარეტი,
რაც უფრო გრძნობ, რომ იგი უკანასკნელი ღერია,
შენ კი დაძინებას ჯერ არ აპირებ,
თუმცა ირგვლივ ყველას სძინავს
და სიგარეტი რომ გაგითავდება,
ველარავის გამოართმევ.

სანამ გავემგზავრებოდე

სანამ გავემგზავრებოდე,
ჩავიცვამ ჩემს საუკეთესო კაბას,
რომელიც ყველაზე ძალიან მიხდება,
გავიკეთებ მძივს და საყურებს,
თმას გადავივარცხნი
და უკანასკნელად ჩავიხედავ სარკეში.
მერე დავნერ ჩემს უკანასკნელ ლექსს
და დავტოვებ ჩემს სანერ მაგიდაზე,
როგორც ბარათს,
რომელსაც ნაიკითხავს ის, ვინც
ჩემს შემდეგ პირველი შემოვა ჩემს ბინაში
და ვერ მიპოვის,
რადგან უკვე წასული ვიქნები
იქ, მაღლა, ზეცაში,
რომლის მისამართიც ყველამ იცის და არავინ იცის,
რომლის კარიც მხოლოდ ორჯერ ეღება ადამიანს –
დაბადებისას და სიკვდილისას.
ჩემზე იტყვიან, გაიპარაო.
სანამ გავემგზავრებოდე, საკუთარ სხეულს
დავემშვიდობები
მადლობთ, რომ კარგად გამიძლო, მემსახურა
და ბოლო ცრემლს მოვიწმენდ,
რადგან იქ, სადაც მე გავემგზავრები,
არა არს ჭირი და მწუხარება,
არამედ – სიხარული და
ცხოვრება იგი დაუსრულებელი.

* * *

ზე-ცა და ქვე-ცა
და მათ შორის დედამინაა
და მზე სიცოცხლის და მზე სიკვდილის.
დედამინაზე ჩემი ჩრდილი აფენია
და მტკივა ჩრდილი,
რადგან ფეხს ადგამენ გამვლელები
და არავინ ჩერდება ჩემთან,
რათა მკითხოს, რა მტკივა, რა მატირებს.
ზე-ცა და ქვე-ცა...
ზღვა აფენია მინას, როგორც საგრილი
და ზღვის ზვირთები ცას პირს ბანენ
და დედამინას ფეხებს ბანენ,
როგორც ახალი პატარძლები – ქმარს საღამოს,
შინ დალილი რომ დაბრუნებულა სათოხარიდან.
ზე-ცა და ქვე-ცა...
ზე-სკნელი და ქვე-სკნელი...
გული მისკდება, ისე მიყვარს ჩემი სამყარო,
სიყვარული გულში ვეღარ მეტევა
და დამსხვრეული ბროლის ვაზასავით
გულის ნაფლეთები ვარსკვლავებად ეფინებიან
ზე-ცას და ქვე-ცას
და ისეთი ცაც არსებობს, რომელსაც არა აქვს ზე და ქვე,
რომელშიც დედამინა არ ჩანს
და როცა იქ ვარ სტუმრად, ჩრდილი აღარ მტკივა,
სამაგიეროდ სული მტკივა,
რომელსაც არ ეთმობა შეჩვეული დედამინა.



დასასრული მე-9 გვერდზე

იაზონისა და მედიას ბრახნილი

მზე რომ კოცნიდა არესის ქალას, ის მიამბობდა ილიას ამბავს, ქალი, რომელიც ლალატობს მამას, ხვალ ერთგულებას მპირდება თავად.

ბევრი ვიარეთ ფარულად, მალვით, შვიდჯერ შევჩერდით წყაროსპირ დღისით, სანამ არ შეგვხვდა თვით ელიოსის მრისხანე ძე და ასული მისი, -

მისანი, მაგი, რჩეული მეფის, სამეფო სახლის ხატება სრული, იოს, იდიას ლამაზი ფრთებით, ამაზონების მშფოთვარე სულით.

ქალი - ქალია და ბალის გარეთ დამატარებდა უცნობი გზებით, ხან ნება-ნება მიყრიდა თვალებს, ხან წარმართივით მკოცნიდა ვნებით.

ჩვენ სიყვარულით ვთვრებოდით ისევ, როგორც ეს იყო გუშინინ, გუშინ, ხობხის ცალივით მალავდა კისერს ჩემი თითების უსიერ ტყეში.

ვხნავდი, ვთესავდი ურჩხულის კბილებს, ვებრძოდი ქვეყნის უხილავ ძალებს... ჩვენ ამ სამოთხეს დავტოვებთ დროზე და კორინთოშიც ვიქნებით მალე.

მზე რომ გადავა სამშობლოს იქით, ის უკვე სხვისი მზეა და განძი, მე უკვე ვხედავ სამეფო გვირგვინს, - ოქროს სანმისით და ოქროს ჩანგით.

მე უკვე ვხედავ ელადის კარით, - სასახლის ბისონს, ძონეულს, ქარვას... როცა დათბება ზღვა, როგორც ბალი, მაშინვე მალლა აუშვით აფრა!

* * *

აგერ კორინთო, აგერ ქალდეა, აგერ შავტუხა სპარტა, მიდია... მაგრამ სხვა არის ჩემთვის მედეა, ოქროს სანმისი სულ სხვა მითია.

როგორც ბრძანებდა ძე ჰელიოსის, - იმ ძველკოლხური წელთაღრიცხვიდან მთელი ეგვიპტე, მთელი ნილოსი შენს მწუხარებად არ ღირს, იდია!

ქალი ხარ, დედა შეილმოკვეთილი, უსასტიკესი, მწარე ხვედრისა, ვისთვის შუმერთა შთამომავალო, ვისთვის პირიმზვევ ჩემი ქვეყნისა!

გამოცხადებული ქორნილის ბრახნილი

ოიდიპოსის ეტლივით შედგა კორინთოს ბჭესთან სამეფო ეტლი, გაიღო კარი... დედოფლის მხევალით შემოჰყვავა ათი მსახურით მეტი.

მოაქვთ გიშერი, ოქსინო, ძონი, მედეას ხელით ნაქარგი კაბა... და, ხარობს მეფე... და, როგორც ხომლი, - ციმციმებს მთელი თემი და დაბა.

ფართოდ აღებენ დარბაზის კარებს, რომ უფრო კარგად გამოჩნდეს დილით ბეჭდები - მწვანე ბივრიტის თვლებით, - შვლისა და კრავის თვალების ჭრილით.

ხვალ იაზონი აპირებს ქორნილს, იქნება ბევრი ღვინო და თაფლი, იქნება ვარდთა და გულთა ფრთონა და მოხალული თხილი და ნაბლი.

მაგრამ უეცრად სასახლეს შესძრავს ქალის და ცეცხლის პირველი კოცნა... და გულს, ჯერ კიდევ ქორფას და ცოცხალს უცხო მხარეში ნაილებს ძერა.

ამბავი პატარა დინოზავრისა

არ გამაგონო კარზე კაკუნი, არ გამახსენო ძველი ჭრილობა, არც მტრის, არც მოყვრის მესმის რაიმე, მე ხომ პატარა დინოზავრი ვარ!



გენო კალანდია

ჩემთვის სულერთი არის დღეიდან კაცი ჭკვიანი ანდა უნიჭო, ქალი უმანკო ანდა მეძავი, მე ხომ პატარა დინოზავრი ვარ!

წვიმებს, ნიაღვრებს მიაქვს ისედაც მინა ხარივით ქედგახეხილი, ვეფხვის ტყავივით მიჭრილ-მოჭრილი, მე ხომ პატარა დინოზავრი ვარ!

მიდის და მიაქვს ბალი ფორთოხლის, ვარდის ბუჩქები, ღილილოები, იები - მინდვრის ღილილოები, მე ხომ პატარა დინოზავრი ვარ!

ოცი წელია წინ მისვენია მკერდში ათასჯერ ისარგაყრილი და სამარემდე ვერ მიმიგნია... მე ხომ პატარა დინოზავრი ვარ!

ზაფხულის ქორნიკა

ცეცხლის ყვავილებს უგავდათ ტუჩები, კოცნა უყვარდათ და მოფერება.

ზღვიდან ბრუნდებოდნენ ხელჩანთებით, ფორთოხლისფერი ძუძუებით, კენტავრის უცხო თეძოებით.

ნეტა, სად არიან ახლა ის ქალები, - ნისლივით ტანით და აბრეშუმით?! ნეტა, სად არიან?!

ყურებიდან, როგორც ნიჟარებიდან ღამლამობით ვარდი ამოსდიოდათ, თვალებიდან მზე და აბლაბუდა, ჰყავდათ კანონიერი ქმრები, - ქვიშის საათივით დაცლილები... და მედუზებივით ხუჭუჭთმიანი საყვარლები.

ხშირად ერთად ქეიფობდნენ ან დომინოს თამაშობდნენ თევზივით ქმრები და მედუზები.

ნეტა, სად არიან ახლა ის ქალები, - არყის ხეებივით ქერა და მალღები?! ნეტა, სად არიან?!

თურქი დიდვაჭარი და ქართული ქალი

შენ რომ დიდვაჭარს უყვარდე ისე, როგორც უყვარხარ ერთ სანყალ პოეტს, გიფეშქაშებდა ნახევარ რიზეს, სათხილამურო ბალებს და კორტებს.

და შაბათ-კვირა ივლიდი ზღვაზე უცხო მეგობრით - ლამაზი ძაღლით, მაგრამ ის თურქი არ ფიქრობს ასე... და არც გყავს ძაღლი... და არ გაქვს სახლი...

ბავშვები

ოთარ ჭილაძის ხსოვნას

როდესაც დიდი პოეტი კვდება, ზღვები, ქარები იწყებენ ქვითინს... ამ წითურ ბებრებს ედებათ სნება და მყრალი სული ევსებათ ფითრით.

გულზე, ვით კარზე ურდული ადევთ, არც ქრისტე ახსოვთ და მისი მცნება, ოთახში შურით აქრობენ სანთლებს, როდესაც დიდი პოეტი კვდება.

გარეთ ჰაერში დაფრინავს ჩიტი, - ვარდით, ლაჟვარდით, გალობით თვრება, ბოლმით და შურით უშრებათ სისხლი, როდესაც დიდი პოეტი კვდება.

მღვდლები, ვით ძმები მოდიან დილით, რომ აღასრულონ რჩეულის ნება, ამ წითურ ბებრებს არ ყოფნით ძილი, როდესაც დიდი პოეტი კვდება.

მთანმინდა უკვე ახლოა მისთვის, ვით მშობლის ეზო და ათი მცნება... ჩემსავით ნუხს და განიცდის ბევრი, როდესაც დიდი პოეტი კვდება.

* * *

ერთი სიმღერა ვაჩუქე თბილისს, როგორც არაგვზე გაზრდილი ბიჭი, ისეთი შვევა ვიგრძენი დილით, მეგონა ხე ვარ, - მდინარის ფიჭვი.

ორფეოსივით უკრავდა ქნარზე შვენოდა ლურჯი ზამბახი, ვარდი, მზე იყო ზედანს, მზე იდგა ბეთანს, მისი ღვთიური სინათლის მადლით.

ჩვენ, მოკვდავები, ვისხედით ჩრდილში, ვალებდით სახლის და ბალის კარებს და მიცურავდა, ვით უფლის ნიში, არაგვის წყალში არაგვის მთვარე.

მწერალთა სახლში მღეროდა შაშვი, - უბნის ალალი და უბნის თვალი და შრიალეზდა საღამოს ქარში ხელბორკილებით მოსული წყალი.

ერთი სიმღერა ვაჩუქე თბილისს, როგორც არაგვზე გაზრდილი ბიჭი.

თრიმლი

ჩვენ ეს ზაფხული ვიქნებით ერთად, ვერცხლის წყაროზეც სულ ერთად ვივლით, გამოხვალ გარეთ... და უცხო სევდას მოგიკლავს უმალ პატარა თრიმლი.

ნახავ... მიაპყრობ ალერსით თვალებს, რომ უკეთ იგრძნო თრიმლი და ჰავა, შედგები ბორცვზე და სოფლის მთვარეს შეხედავ, როგორც საკუთარ მამას.

* * *

ჩამოუყრია ცას ვარსკვლავები, - ვით დედას პური, - ცხელი შოთები, დგას შავულვაშა ოსის ბიჭივით ერთი ქლიავის ხე მოშორებით.

ქსანზე ვარდისფრად იწვის ღრუბელი, - ცრემლის და შვების ერთად მომგვრელი, სადღაც ამ ღამით, - ამ სიჩუმეში გაჩნდა ორი ძმა, - ორი ბოკვერი.

ბრწყინავს სოსლანის ოქროს ხმალივით ერთი ცა, ერთი მზე და შორეთი, გიყურებ, ვხედავ, როგორც ნატვრისთვალს და ლიახვივით ნელა გშორდები.

ნუხელ ავნევთან იყო ხანძარი და ვარსკვლავთცვენა დიდი ღამისა, მე არც სკვითი ვარ და არც ხაზარი, რომ არ მიყვარდე, ხეო, ქართლისა!

დასასრული მე-9 გვერდზე

სოფრები ჩვენი მღვდლები

მაისის ბოლოა. უკვე სასტიკად ცხელა თბილისში. ტაქსი ვჯდები და ვგრძნობ, როგორ აძლიერებს (უფრო ჰაერის „დასატკობდა“, ვიდრე გასაგრილებლად) სარკეზე ჩამოკიდებული მწვანე ფოთოლი თურღალაჯ ჯანდაბა ამ ოხერ სიცხეს. ერთი ნიშანი უტყუარია: აქ არ ენევიან, არ სვამენ და კამათელსაც არ აგორებენ...

მძლოლი შუახანს მიტანებული ბრვე ვაჟკაცია. ქალაქურ ბაზრობაზე გავრცელებული „ვანდამი მაიკიდან“ მისი გრანტის კუნთები დამცინავად უმზერენ სიცხის მოიერიშე გამვლელებს. მათ შორის, — მეც... ერთ-ერთ გრანტიზე იაპონური ტატუა: — ცხოვრება მშვენიერია!.. ყოველმეტყვევაში, მე ასე წავიკითხე.

„ცხელა, ამის... ძალიან მაგრა ცხელა...“ — ჩემთვის ხმადაბლა ჩავილაპარაკე.

„დაინყო, აი...“ — მხარს მიბამს მძლოლი.

„რა დაინყო?“

„რა და, წელს შენ პირველი ხარ, ვინც — ზაფხულში ცხელა, ზამთარში — ცივია, ამბობენ. უნდა ჩავიფიქრო, აი... ტონანთ ვიცი, ამისრულდება!..“ — მძლოლი იღიმება, კარგ გუნებაზეა, არა ჩანს ცხოვრებით მაინცდამაინც უკმაყოფილო.

მე კი ვფიქრობ, — ჩვენი ცხოვრება, ჩემო ძმაო, ზუსტად ის ძალია, რომელიც კოჭლობით არ მოკვდება — მეთქი...

პარაზიტი

„პეკინზე“ შემხვდა დაღვრემილი ლ. რა იყო, ბიჭო, რა გჭირს, შევეკითხე. არაფერიც არ მჭირს, მიპასუხა, უბრალოდ, ჩემდა სამწუხაროდ მივხვდი, რომ არა ვარ მე წესიერი კაცი, სულ ეგ არი, მეტი არაფერი... ამ დღით ჩემს სადარბაზოსთან ვიდექი. კედელზე უზარმაზარი ფალოსი მიეხატა ვიღაც ონანისტს, — გვიან ღამით დახატავდა, თორემ რომ დამენახა, ცოცხალი ვერ გადამირჩებოდა ეგ ნაბიჭვარი... აეროზოლით იყო შექმნილ-შესრულებული, თანაც ნაკლს ვერ უპოვიდი, ვერც — ნაშობი, ძმაო, ეგ უნდა გადაღებო... მერე მეზობლის ქალმა ჩამოიარა, შეჩერდა და საუბარის გამოება.

მე კი ისე დავედექი, რომ „ჩემ“ ღამაზე დედაკაცს (მისი „სურვილი“ არა მაქვს, ღმერთმანი!) თვალი ვერ მოეწყვიტა ფრესკისთვის... მითხარი, ამის შემდეგ, წესიერი კაცი ვარ, განა?! არა, მე არა ვარ „კარგი ბიჭი“, მე ზნეობრივი დამბლა დამეცა და ეს ალბათ, არც არი გასაკვირი... ისე, რა დასამალია, იმ „მხატვრის“ მადლიერი მაინც უნდა ვიყო, მისი წყალობითაა, ჭეშმარიტებას რომ ვეზიარე, ჩემო ძმაო...

ორი სინანული

— ამის დედა ვატირე, — უგემურად იღიმება გურამა (ყავას ვსვამთ მის სახელსონო-ბიბლიოთეკაში), — მთელი სიცოცხლეა, წიგნები ვაგროვებ და მეოთხედიც არა მაქვს ნაკითხული... რა აბსურდია, არა?!

„მიტოვებული, დაუმთავრებელი ლექსები“, — მახსენდება ერთი ჩემი მეგობარი პოეტის ნათქვამი, — „ღია ჭრილობებივითაა, არასდროს შეგიხორცდება და შენც არასდროს მიუბრუნდება... დაუმთავრებელი ლექსი, რომელიც... მიტოვებულ ქალს ჰგავს...“

ინდიელური ბიჭინთაში

ბიჭინთის მწერალთა დასახელებელი სახლი გენიალურიც იყო და ინტერნაციონალურიც. აქ მშობლიური, ქართველი მწერლების გარდა ოჯახებით ისვენებდნენ რუსები, სომხები, ბალტიისპირელები, შუაზიელები... ნავახშმევს შერეულ ჯგუფებად ისხდნენ ჭარმაგი და ახალგაზრდა, მსცოვანი და დამწყები მწერლები და ბჭობდნენ და კამათობდნენ და მგონი, ჭეშმარიტებამდეც კი მიდიოდნენ. თუმცა, ამ თემას აღარ გამოვყვივებ... ისე, სასარგებლოც იყო: შეგეძლო, ნებისმიერ ჯგუფს მიკედლებოდი და აზრიც გამოგეთქვა. მე შენ გეტყვი, არ მოგისმენდნენ, არ შეგეკამათებოდნენ ანდა ბეჭებზე ვერ დაგცემდნენ თუ რა?! ერთ-ერთ ასეთ საღამოს, ჩემი უმცროსი ძმა და მისი თანაბასაკელნი და, შესაბამისად, თანამზრახველნიც ნელა შემოი-

გიგი სულაკაური

მოგონებების მოლაკულაბი



ზღაზნენ ტერიტორიაზე. „პივეები ჰქონდათ დალეული“, მდორედ, ეპიკურად მდინარებდნენ და დალილი, მაგრამ უკვე საკმაოდ გამოცდილი, დაუნჯებული მზერით ჭვრეტდნენ მიდამოს...

ამ დროს შემზარავი ყვილით, სტვენითა და შეძახილებით ჩაიქროლეს მათი ასაკის რუსმა „ინდიელებმა“. ხელთ „კამიშის“ შუბები ეყრათ (ალარ მახსოვს, ისხდნენ თუ არა ჯოხის ცხენებზე), მრისხანე, მობილურად მოქმედი საკმაოდ დიდი ტომი იყო, — ნებისმიერ ფორტს დააქცევდნენ... ჩაიქროლეს და სუბტროპიკული მცენარეების ბინდში გაუჩინარდნენ. ჩვენამდე შორიდან აღწევდა აღებული ფორტის დაცემის ვაი-ვიში, დაჭრილთა წყევლა-კრულვა და სასონარკვეთილი გოდება: „ნასრევი“ შუბი-კამში ხშირად და ზუსტად ხვდებოდა მიზანს...

ეს ნამებში მოხდა, თუმცა საკმარისი აღმორება: მწერლებს ძარღვები სისხლი გაეყინათ, ზღვა გაიტრუნა და მთვარემაც თავს უშველა, ღრუბლებში მიიმალა. მხოლოდ ჩვენი ბიჭები არ აღელვებულან. მეტიც, მამუკამ თავის ძმებს გადახედა და ერთადერთი, სევდიან-ირონიული და თანაც თანაგრძნობით აღსავსე ფრაზა წარმოთქვა;

— ნახე, ბიჭო, ჩვენი ტოლი რუსის ბიჭები ისევე ინდიელობანას თამაშობენ!..

ელო დამრიგებელი

ჩემი მეზობელი ელო ღამაზი და საკმაოდ უცნაური დედაკაცი იყო. ყველა სიკეთესთან ერთად, მის უცნაურობას ცინიზმის სუნიც ასდიოდა. ერთხელ ასე დამარიგა:

„გიგი, იცოდე, ყველაზე ტკბილი, მეზობლის შინაური და... ქალია, რომელსაც ხელი არ უნდა ახლო, მხოლოდ ახლოდან უნდა უყურო... ოღონდ (მიყურებს და ქიჩილებს), თუ ასე იცხოვრებ, ჩემ ფეხებს მიიღებ ცხოვრებაში...“

გაკურინანული

ოდესღაც აქ „ახალგაზრდა შემოქმედთა“ სიმპოზიუმები იმართებოდა. იკრიბებოდნენ ახალგაზრდა (და არც ისე ახალგაზრდა) იმედის მომცემი მწერლები და რეჟისორები, მხატვრები და მუსიკოსები, არქიტექტორები... იყვნენ „ქუჩის“ ბიჭებიც და თავისუფალი გოგოებიც, რომელთა ყოფაქცევასაც, მე ვიტყვოდი, დაუმახურებლად, რატომღაც მსუბუქი ენოდებოდა...

ერთ მშვენიერ დილას დერეფანში თვითკრიტიკულად განწყობილ, არცთუ ისე ახალგაზრდა შემოქმედს გადავყვარე. შემოქმედი „პახმელიის პრიბოის“ მძიმე შემოტევას განიცდიდა და თან აღელვებულიც იყო. ჩემი შეკითხვის (როგორ ბრძანდებოდა ამ დილას) პასუხად მომყავს მისი არასრული მონოლოგი:

„ზდრასტი, ბრატ... ხო არ ვსვამ, აი, თითქმის ოთხი თვეა არ დამილევი, ხო აზე ხარ, მაგრამ გუშინ არ ვაპირებდი დალევას, ბრატ, ხო აზე ხარ, როგორ გაურბივარ, კარგათ გამიგე, რა?! მაგრამ... ლექსი არ ნაიკითხა, იმ ახვარმა?! ავარდი, რა, ტო, ჰოდა, გავავსე ჩაისჭიქა არყით, კარგათ გამიგე, რა?! მოკლეთ, ვერ გამაჩერეს, რა, და მეც და უტრა ურტყი, ხო აზე ხარ, კარგათ გამიგე, რა?! ესლა ვკვდები, მაგის დედა ვატირე, ვამ დამაღვივინა, რა ლექსი, რის მეფსი, რა, ჩემი, კარგათ გამიგე, რა?! თანაც დღეს, კაცო,

მაინცდამაინც დღეს, მინისტრი არ ჩამოდის, თურმე?! ვახ, მე ამის... დაემთხვა, რა, კარგათ გამიგე, რა?! თან სიტყვა უნდა ვთქვა, პარტია სერიოზნი ვემჩია, ხო მართალი ვარ, ბრატ...“ და ა. შ.

და ამ იდიოტმა იმავე საღამოს აუდიტორიის წინაშე ყოვლად ურცხვად განაცხადა: — პროფესიული სინდისი ნებას არ მაძლევს, ისე დავწერო, როგორც სხვები წერენ... შეიძლება, მართალიც იყო...

კურკას ტორშარი

ტორშერი ჩემ მეგობარ კურკას ეკუთვნის. ნივთი გასული საუკუნის 50-ანი წლების დიზაინის შედეგია. ასლი არ გეგონოთ, ნაღდი ორიგინალია. მასიური თეთრი ხისაა, ბრინჯაოს ვარაყიანი ჩუქურთმებით, მინით და სხვა მაშინდელი „სილამაზეებით“ დამშვენებული. ტორშერი „ლაფში ჩაფლული ურემივით“ მძიმეა, ძველი, პირვანდელი ადგილი ვერაფრით შეუცვალეს, ვერ მოერივნენ და დგას, როგორც იდგა — ნაზად თავდახრილი და სევდიანი. ეგ არის კურკას ოთახის მზეც, მთვარეც და სინათლის დანარჩენი წყაროებიც, — ჩვენი კურკა ძალიან უფრობილდება, — მისი შუქის ქვეშ „წევს და იცოხნის...“

როცა კურკა გავიცანი, ტორშერს აბაჟური არ ჰქონდა. მე კი უაბაჟურო სანათი წარმოუდგენლად მაგონებდა შიშველ დედაკაცს. ცალ ფეხზე შემდგარ წეროს ან ყანჩას კი არა, არამედ ქალს, დედაკაცს. თანაც, რატომღაც რუბენის თეთრ, ფითქინა და ხორცსავსე დედაკაცს. დამიჯერეთ, ეს სანათი-ქალი არანაირ ვნებას არ აღმიძრავდა, რაზეც გინდა დავიფიცებ, თუნდაც დამოკლეს მახვილზე, არიანდნეს ძაფზე, ამირანის მოპოვებულ ცეცხლზე... ჰიპოკრატეს ფიცსაც კი დავედებ, რომ ასე იყო და არის კიდევ... იმიტომ, რომ მერე ტორშერს აბაჟურიც მოარგეს და ახლა კურკას ოთახში რუბენის შიშველი, მაგრამ თავსაბურავიანი ქალი დგას და რომელსაც „შიშით“ თვალს ვერ ვუსწორებ...

მეგობრისთვის ჩემი შიში, რა თქმა უნდა, არ გამიმხელია. ვიცი, რასაც მეტყვოდა...

ტიალი თუშათი

უცნაური, განსაცვიფრებელი „შმოტკაა“ ნაბადი. უუცნაურესი კი, — ჩემი საზომით, — ნაბადში ძილია. ეს არის საკუთარ თავთან დარჩენის უნადღესი, მე ვიტყვოდი, აბსოლუტური საშუალება...

მაშინ კარავიც გვქონდა და „სპალნიკებიც“, მაგრამ ისე ვიღლებოდი, ვის ჰქონდა კარვის „დაცემის“ თავი?! ნაბადში გაუხდელად გახეული (ოღონდ გახევის ტექნიკას უნდა ფლობდე), პირდაპირ მიწაზე მიწებოდი, სიცვიე არ განუხებდა და არც წვიმის გემინოდა... ეგ იყო ლოგინიც, კარავიც, ბინაცა და გალავანიც... ნაბადში ძილი იმიტომ ვახსენებ, რომ ამ „ბინაში“ სიზმრები, როგორც იტყვიან, კადრებით ცვლიან ერთმანეთს. მოკლე, მაგრამ სრულმეტრაჟიანი, მაზალა სიზმარი-ფილმებია. თუ ნათხოვარი ნაბადი

გაქვს, მაშინ, უეჭველად, სხვისი ანუ „ავტორისაც“ დაგეისზმრება. ეს არც მისტიკაა და არც ჩემი გამოგონილი რამეა. მე ნათხოვარი ნაბადი მქონდა და ვიცი, გამოცვადე სხვისი ნაბადისა და შავ ბენევეში სამუდამოდ ჩახლართული უცხო სიზმრების არაჩემული ვნებანი...

ამ გამოცდილებას „რუსულის“ ლექტორს უნდა ვუმაღლოდე. 70-იან წლებში სწორედ მან დამტოვა კურსზე. ჩემი ბრალი იყო, — გულუბრყვილოდ მეგონა, ვინც ამ ენაზე კარგად მეტყველებდა, — ის არც უნდა დასწრებოდა ლექციებს. მართალია, თეორიულად მართალი ვიყავი, მაგრამ მართალი კაცი ხომ ყოველთვის იჩაგრება და ისჯება კიდევ... დანიაში. მე რატომ გამაღალბებდნენ, გამოცდაზე ტოლსტოის, პუშკინის, ტურგენევის და სხვა დიდი ბიჭების გვერდით წარმოდგენილი იყვნენ სხვა მოზრდილი, „ნითელკანიანი“ ბიჭებიც: ფურმანოვი, ოსტროვსკი, სერაფიმოვიჩი და სხვებიც. ოსტროვსკი კიდევ ჯანდაბას, მასთან რიტა უსტინოვიჩი მეგულბობდა, მაგრამ დანარჩენებისთვის რამექნა?!

„ეს სულაკაურები არ უნდა გამოილიოთ ამ უნივერსიტეტში?“ — ამ ტკბილი, მაგრამ დამთრგუნავი სიტყვებით (ალბათ, ჩათვალა, რომ სამუდამოდ) დამემშვიდობა ვასილი ტიორკინზე ჯვარდანიერი ლექტორი (ჩვენი საუბარი, რა თქმა უნდა, მის „მშობლიურ“ ენაზე მიმდინარეობდა).

მერე აპრილი მიიწურა და მეც მთათუშეთში გადავწყვიტე წასვლა. მწყემსებს დავემგზავრეთ მე და ჩემი ბიძაშვილი დათო. გავიარეთ გრემი, საბუე, ჭალაში ცხენები დაეჭედეს (ანუ მწყემსებმა დაჭედეს) და ყადორისკენ გავუტითეთ.

პირველად იმ ჭალაში ვნახე ულაყების შერკინება და ისიც გავიგე, ცხენის ძალა რაც არის. მწყემსებთან ერთად მივერეკებოდი ცხვრის ფარებს, ცხენებს და ტვირთაკიდებულ ვირებს: უთვალავი ცხვარი, ბევრი ცხენი, ათიოდე ვირი და ცველური, კავკასიური ძაღლების ხროვა — თეთრები, სახეშავები და ძალიან ავეები (თუ მოუნდათ, მხედარს თავისუფლად ჩამოიღებენ ცხენიდან). ველური იმიტომ, რომ, როგორც ჭეშმარიტ მეომარს ვერ შეედრება „სალონის მეომარი“, ისე ვერ შეედრება ძაღლთსაშენში „მოყვანილი“ ნაგაზი ცხვარში გაზრდილი, მთაში „ნავალ“ ნაგაზს. თეოზე მთვლემარე ძაღლებს ცხვრისგან ვერც კი გამოარჩევ; ამ ბომბორა, ქართულ ნაგაზში გენეტიკურად ძვეს ბოლომდე განვითარებული პასუხისმგებლობის გრძნობა. ამიტომაც, ჩაძინებულის ან მძინარის თქმა ცოტა მეუხერხულეა, — მთვლემარე ვამჯობინე...

ყოველი ღამე ძაღლების იყო, — მათი ყეფა-ქუხილის და მოძრაობის, ერთმანეთთან ანგარიშსწორების და ჩემთვის უხილავ მტერთან ჭიდილის... მთვარესაც ებრძოდნენ ხოლმე, მე კი ნაბადში წამომჯდარი, სწორედ მთვარის და ვარსკვლავების შუქზე ვუყურებდი მათ თეთრ ლანდებს, რომლებიც სწრაფად ეშვებოდნენ ხევში ან მთაზე არბოდნენ; მინახავს, ხროვა ორადაც გაიყოფოდა ხოლმე, — სხვადასხვა მხარეს გაქროლდებოდა, დიდი ხნით გაუჩინარდებოდა...

მე არ ვიცი, ვინ იყო ის უხილავი არსება, ვისაც მისდევდნენ. არც ის ვიცი, მართო იყო თუ თანამზრახველებიც ახლდნენ. ძაღლებს სხვანაირი ალლო და გემი აქვთ, კოსმიური ყნოსვა, — როგორც იტყ-



ოდა გრიგოლ რობაქიძე. ეს ხილული მთვარის გამო, თორემ უხილავე ბუა ან გუდიანი კაცი მე იქ წაღდად არ შემხვედრია. მხოლოდ ერთხელ ვნახე, სავსე მთვარის დროს როგორ შეიცვალენ ძაღლები. მათში მათზე ძლიერმა, რაღაც პირველყოფილმა გაიღვიძა: დროშეებით კუდაწეულენი აწრიალდნენ, ნესტოებს ბერავდნენ, — ისუნებოდნენ და არე-მარეს ისე აწყდებოდნენ, თითქოს ადგილს ვერ პოულობდნენ (მაშინ მომეჩვენა ან უფრო მივხვდი, რომ თვითონაც წარმოუდგენელ ენერჯიას ასხივებდნენ); რაღაც ისეთ უხილავს ჭვრეტდნენ, რაც ჭვრეტვის არ არსებობს, არა გვაქვს ამის დანახვის ნიჭი...

მაგრამ ბავშვებიც ხომ ზუსტად იმას ხედავენ, რასაც ჩვენ ვეღარ ვხედავთ, ვეღარ აღვიქვამთ, დაგვიჩვენებდა მხედველობა, დაბრმავდა ჩვენი გონების თვალი. უფრო სწორად, სავალად სხვა ბილიკები ამოვირჩიეთ; ანდა, უბრალოდ დავვიწყეთ იმდროინდელი და ახლა ჩვენს რეალურსა და ირეალურს შორის ჩვენივე გადებული შლაგბაუმი; და ორ სამყაროსთან კავშირის დასამყარებლად, საკუთარ თავთან უნდა წარადგინო საშვი, ვიზა და საბუთები. რახან ბავშვობიდან გაზრდას, დიდობას ვეხარებით და გვინდა, რომ ასე იყოს, მაშინ — იყოს, მაინც ვერაფერს შევცვლი.

(თუმცა, სხვა სინამდვილეც არსებობს, როცა რეალურიცა და ირეალურიც ერთმანეთში ითქვიფება და ფიქრობ: — მართლა იყო, თუ — გამოვიგონე?! და რახან ძალიან ხშირად იბნევი და გეზარება „მეხსიერების ძველი ძონების“ ქექვა, მაშინ ხელს ჩაიქნევ და შენთვის იტყვი, — ერთი მაგის, იყოს, როგორც არის, მაინც ვერაფერს შევცვლი...)

ახლა მე ზუსტად მხოლოდ ერთი რამე ვიცი: მწყემსებთან ერთად გავლილმა გზამ, მწყემსურად ცხოვრებამ, მათსავით სიმარტოვემ და გაუთავებელმა ფიქრმა, კიდევ ყადორზე და სადუცეზე გადასვლამ, წვიმის ქვეშ ნაბადში თუ უნადოდ ძილმა, ზვავებმა, ნისლმა და თოვლმა ძალიან ბევრი მომცა; უფრო მეტი მომცა, შემძინა და მასწავლა, ვიდრე აუდიტორიებში გატარებულმა უამრავმა საათმა, — „უელენი პატოკმა“, „ისტმატმა“, „დიამატმა“ და სხვა ჯანდაბებმა...

ზემოთ ნათქვამი გზა მწყემსური, დრამატული პოეზიაა, რომელსაც კვალში დაუღალავი, უძლეველი მღვდარი უდგას... მწყემსური მკაცრი, სიტყვაძუნწი და პირდაპირი ხალხია. არავის სცალია რევერანსებისა და ლაქლაქისათვის. შარვალს თუ გაავსებ, არ მოერიდებთ, ზომიერების ფარგლებში იმას გეტყვიან, რაც საჭიროა...

კოცონთანაც კი, ვახშობისას, სადაც თითქმის ყველა ადამიანს ლაპარაკის საღერდელი ეშლება, იშვიათად მომისმენია მწყემსური ამბები და ისტორიები, მათი თავგადასავლები. რაღაცნაირად ყველა თავის ფიქრშია ჩახვეული. მთელი დღის ნასიარულები, შენც ზედმეტად დალილი ხარ და თანაც ირგვლივ ალით განათებული სახეების გარდა, ყველაფერი შავია — კერძიც, მთებიც, მდინარეც; და მთის გაზაფხულია და ყოველ დღე წვიმს და ცივა; და წვიმაც და სიცივეც შავია და თვითონაც შავი და პირველყოფილი ხარ; და როცა ვარსკვლავებს არქმევ სახელებს, გვეჩვენება, რომ შენ გამოიგონე და შექმენი მთებიც, მდინარეც, სიცივეც; ხილული და უხილავე ღირებულებები, — ყველაფერი, რაზეც ხელი მიგიწვდება და რასაც გონი გიკარნახებს, — უჩვეულო შეგრძნება...

ვთქვი, მწყემსები მკაცრი, პირდაპირი ხალხია-მეთქი. ასეა, ნაღდი კაცები არიან, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. და შენგანაც, მთაში „ხამად“ მყოფი კაცისგან იგვეს მოითხოვენ. ამას, თუ ტვინის ნამცეცი მაინც გააჩნია, თვითონ მიხვდება. თუ ტვინით ვერ მიხვდება, საკუთარი ხელები მალევე მიგახვედრებენ. იტყვი: — დემეტო, მაღალი! ჩემი ხელები მწყემსის ხელებს დაემსგავსა!.. თუმცა, სხვანაირად არც შეიძლება იყოს, აქ სამყაროც მკაცრია, პირველყოფილი და მოულოდნელი, — ყველა, ყველაფერი საიდუმლოს მალავს, ადამიანიც, ბუნებაც... ყველაფრის განმკურნავი კი მაინც მათი იუმორია (რომლის მიღმა იდუმალი სამყარო იმალება), — უშუალოა და უბოროტო...

ერთხელ ძალიან ვინრო ხეობაში დავალამდა. ცხვარი დავაბინავეთ, კოცონს შემოვუსხედით და განვიმდა კიდეც. ოთხნი ვიყავით: ნოშრე — ჩვენი ჯგუფის ბრიგადირი (იმ ეპოქაში უბრიგადირობა არ გამოდიოდა. სხვათაშორის, ამ „წოდებას“ სკეპტიკურად უყურებდნენ მწყემსებიც და ამ წოდების მატარებელიც. რა ვიცი, მე ასე მომეჩვენა.), გემა, დათო და მე. სხვები, — არსენა, გოგოლა, მოსე და გიორგა ჩამოგვრჩნენ. (მთა, ისევე, როგორც ქუჩა, მოულოდნელობებითაა სავსე.) მათთან ერთად დარჩნენ ცხენებიც და საერთო ბარები დატვირთული ვირებიც. ჩვენ მსუბუქად დატვირთული ორი ვირი გვყავდა. ერთს უზარმაზარი თუჯის ქვაბი, ცოტაოდენი ხემის ჩვენთვის და არყის განახევრებული ტიკჭორა მოჰქონდა, მეორეს — ძაღლებისთვის განკუთვნილი ქუმელით სავსე ტომრები.

ძველი კალთი და მწყემსური, ქვაზე გამოცხვარი ძველი პურით ვივარდებოთ. ორ-ორი პატარა ყანნი არაყიც გადავკარით, — წვიმდა და ძალიან ციოდა. არაყი რას გაგვათბობდა, გათოშილები და განუნულენი ვიყავით. თანაც გემამ, — ეს წვიმა ოხერია, დილაზე არ გადაიღებო, დაგვამშვიდა. ვისხედით პირით ცეცხლისკენ და ორთქლი აგვდიოდა. მერე ნოშრემ მე და დათოს ვირის თექები მოგვანოდა დასანოლად. თექები ოფლიანი იყო და ვირის სუნად ყარდა. მაგრამ, ჩემი აზრით, ადამიანის ოფლი ბევრად უფრო „არომატულია“, ვიდრე პირუტყვისა. ჩვენც დავენეთი, აბა, რა გვექნა, გინდ ასე დასველებულხარ და გინდ, — ისე... ნოშრე და გემა ცეცხლთან დარჩნენ, მე კი თვალდახუჭული ვინეკი და თავს ვიტყუებდი მძინავს-მეთქი. ხანდახან თვალს გავაპარებდი, — შევხედავდი, როგორ ენოვდნენ სივარებს და ცეცხლში აპურწყებდნენ. და რახან ადამიანი მაინც „ძალღია“, ეტყობა, მაინც ჩამეძინა.

— ე ბალები არ დაგვიცივდნენ, კაცოო! — გამაღვიძა ნოშრეს ხმამ. მასაც და გემასაც ბუშლატები გაეხადათ და ცეცხლს უმარჯვებდნენ, ათობდნენ, როგორც ჩანს, ბუშლატის „საბნებს“ გვიმზადებდნენ. ნამოვრინდი, პროტესტის მარშიც დავაგუფუნე, მაგრამ არაფერმა არ გაჭრა:

— შენ მანდ გონთ იყავ, ბალოო! — ფრაზა პედაგოგის ურყევი ტონით იყო ნათქვამი, წყალი არ გაუვიდოდა, — შენ თავ მე ჩამაბარეს!

ცხვარი ძალიან ადრე, დილის 4-5 საათზე გაიშლება ხოლმე. მე კი იმ დილით მუხლზე გადამტვრეული ჯოხივით ვიყავი. დათოსაც არაუშავდა, ისეთი სახე ჰქონდა, ადვილი საფიქრელია, მე როგორი მექნებოდა. დათოც და მეც შეუთანხმებლად ვმოქმედებდით, თუმცა ქვეცნობიერი სულისკვთება მაინც ერთნაირი გვექნა, — ქალაქელი, ნებიერი კაცის უზნეო სიჯიუტე. ამიტომაც, ვიდრე ცხვარს გავყვებოდით, ჯერ საფუძვლიანი დასვენება გადავწყვიტეთ.

— დაგენვიოთ! — ჩვენც იმედიანი და დამაშვილებელი სიტყვებით დავემშვიდობეთ ნოშრეს და გემას. მწყემსებს მაშინ აღარაფერი უთქვამთ, არ ეცალათ ჩვენთან დიალოგისთვის, — მილიარდი ცხვარი იყო მისახედი (ნოშრე საერთოდ ვერ იყო გუნებაზე, ორი დღით ადრე, ლეკებს კვიცი მიაბარა შესანახად. საჩუქრად ერთი დიდი ტომარა ქვამარლიც წაუღო. გვენი ცხენის ხორცსა ჭამენ და მეშინია, არ დაკლანო, თქვა უკან მობრუნებულმა. ჯავრობდა. კვიცი ზვავზე დაცურდა და საბრალო გამუდმებით თრთოდა, ნებისმიერ ჩქამზე კრთებოდა). თანაც ბნელოდა და მე ვერ ნავიკითხე მათი თვალებით გამოთქმული აზრები და მრავალშრიანი წინადადებები...

კარგად დავისვენეთ მე და დათომ და გავუყვიეთ ცხვარ-მეცხვარის უხსოვარი დროიდან გაჭრილ ბილიკს. ერთი გამყოფი უნდა გადაგვევლო — სადუცე — და მათათშეთსაც ჩავუტუტებოდი. მაგრამ „ღმერთი იცინოდა“, — სადუცეზე კინალამ გავიყინეთ. თოვდა, ორ ნაბიჯში არაფერი ჩანდა. ძალიან ვჭქარობდით, თოვლი ცხვრის ნაკვალევს დაფარავდა, დავიკარგებოდით და მხოლოდ იმედი, — რომ მერე, ოდესმე, ჩვენს მუმიადქცეულ სხეულებს ვინმე იპოვიდა, მეცნიერება ჩვენს ასაკს, ეპოქას, დროს და სიკვდილ-

ის მიზნს დაადგენდა, — მიგვერეკებოდა წინ, მათათშეთისკენ...

ჯანდაბას ხუმრობა, ნაკვალევს ვუყურებდით და მივდიოდით. ძლიერი ქარი ქროდა და თოვდა. გზაზე დავარდნილ ცხვრებს ვხვდებოდით, ზოგი გაყინული იყო, ზოგიც — ცოცხალი, თუმცა უკვე აგონიაში, — ვერ მიაღწიეს მზეს და იალალს. ყველგან თოვლით დაფარულ, ყინულმოკიდებულ ორმოებს ვაწყებოდით. ღრმა არა, მაგრამ საკმაოდ კომფორტული იყო, — ორმო ხომ იმისთვის არსებობს, რომ მასში ყინულოვანი ოკეანე მდებარეობდეს, — ფეხებიც დაგისველოს და თან გასიამოვნოს კიდეც...

ბოლოს, როგორც იქნა, გამოვალნიეთ „პოლარულ წრეს“ და იმწამსვე მზემაც გამოანათა და ღრუბლებიც გადაიყარა. სველები და გათოშილები მზის გულზე ჩამოვჯექით, მე დანესტიანებული თამბაქო გავაბოლე და მივხვდი, — „ცხოვრება ისე გრძელი არ არი“, როგორც მეჩვენებოდა...

მზემ მოგვთენთა, დათოს რაღაც იდუმალი, ნეტარი ღიმილი დასთამაშებდა ბაგეზე. ღიმილის არ ვიცი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მეც ძალიან სულელურად გამოვიყურებოდი. ასე ვისხედით ორი განეტარებული არსება და მზეს ვეთაყვანებოდით, ვიდრე მოსე არ დავადგა თავს. ჯერ ვხედავდი თქვენ ნავალს, მერე დაიკარგა, თოვლმა დაფარა და შევშინდი, ბალებს რამე ხო არ მოუვიდათ, გამოვრეკე ცხენებო, ამ სიტყვებით მოგვესალმა და ჩამოქვეითდა. დიდხანს ვისხედით სამივენი, ვდუმდით, ვენოვდით და ასე ყოფნა გვსიამოვნებდა, რაღაც ამალეველები ყოველთვის არის მდუმარე საუბარში...

„ეე, ტიალო თუშეთო!“ — თქვა უცებ მოსემ.

არ ვიცი, ამ ფრაზის წარმოთქმისას რას ფიქროდა ეს კაცი, თანაც მომეჩვენა, რომ უფრო ამოიძახა ან ამოიხავლა, ვიდრე წარმოთქვა. მე კი მის ამოძახილში სიამაყე დავინახე, მდინარეც, მთებიც და ნისლებიც, გავლილი გზაც და დაკარგული მეგობრებიც; დედაც, სიყვარულიც და სევდაც და სამშობლოც, წარსულიც და მომავალიც, — ერთ ნამში ჩაიქროლა ყველაფერმა და გაქრა...

„ომის დროს ავსტრიაშიც ვიყავი... საფრანგეთშიც, იტალიაშიც...“ — ვერ გაიგებდი, მოსე ჩვენ მოგვმართავდა, თავის თავს ელაპარაკებოდა, ცხენებს თუ მზეს. ჯიგრიდან გაჭირვებით, ნანყვეტ-ნანყვეტ ამოჰქონდა სიტყვები. „რა დამრჩა იქიდან... სამხედრო და სამოქალაქო საროსკიპოები, ბიჭები სულ იქ დავდიოდით, ეგ იყო, მეტი არაფერი... გაოხრებული იყო ქვეყანა... ერთხელ ჩემი ტოლა ბიჭი მოვკალი, რომ ვთქვა, უბრალოდ-მეთქი, არ ვინები მართალი... მაშინ უკვე ავსტრიაში ვიდექით... დაჭრილი ქალი მახლდა, ქართველი, დასავით მყავდა, კაცოო... გავიხედე, ვილაც ჯარისკაცი მოდის ვირის ტაჭით, გამეხარდა, დაუქუნიე ხელი, ვიფიქრე, ამ გოგოს ტაჭით ნავიყვან-მეთქი... იმან კიდევ, პაპოლ ნა ხუი, ტვაიუ მატ, აბოის უბიუ, ვაშუ მატო! ვინტოვკა გადმოიღო და ფეხზეც შეაყენა... მოგვკლავდა, კაცოო... მაშინ უკვე განუკითხაობა იყო... მე ავტომატიც მქონდა, უფრო ყოჩაღიც ვიყავი და დაჭრილი ქალი მიმყავდა მედუშუქში, დავასწარი, — ილბალი ჩემკენ იყო... მაინც არ უნდა მომეკლა, იმის მერე ვეღარ ვისვენებ... იქ ავსტრიელი ქალიც მყავდა, რომ დავრჩენილიყავი, სახლ-კარიც მექნებოდა და სიმდიდრეც... არ გამიჩერდა გული და დავბრუნდი... ესლა მწყემსი ვარ... ეე, ტიალო თუშეთო!“ — ისევ ამოიძახა მოსემ...

მწყემსებს ომალაში დავცილდით, ჩვენი გზა აქ იყოფოდა. მე და დათო შენაქოში მივდიოდით, ცხვარ-მეცხვარე — პირიქითში, გირევის ზეითა ბინებში. ბოლო ღამე მოსემ, გემამ, დათომ და მე ერთად გავატარეთ. გემას ნახევარი სახე აღარ ჰქონდა, — თქვენ რომ დავცხედით, კლდე ჩამოიშალა და სიპის ნატეხი მომხვდაო, — აგვისნა მშვიდად. თვითონ, — ვითომც არაფერი, მე და დათო კი თვალს ვერ ვუსწორებდით. დუქანში (რომელსაც ექსტრავაგანტული სახელი „კოსმოსი“ ერქვა) ვიქიეთეთ და მედუქნე ქოსა იობამაც იქვე გავგაოთვიანა ღამე...

ნაბადში გახვეული ვინეკი დუქნის მი-

ნის იატაკზე და ვერ ვიძინებდი. თითქოს გადავეჩვიე ჭერს, კედლებს, ბინას. თანაც ვემშვიდობებოდი მწყემსურ ყოფას, — ცხვარ-მეცხვარეს, ნაბადში ძილს და ყველაფერს, რაც ვნახე და უკვე გულიც მწყედებოდა, — ვიცოდი, ამ გზას ველარას-დროს გავივლიდი...

— ხვალ, ხვალზეთ პირი არ დაიბანოთ! არც სასმელი დალიოთ! — გვირჩია დამშვიდობებისას გემამ..

— რატომ?
— ინვიმებს! — გემამ ცალი თვალთ ახედა ცას. — აბა, გონთ იყავით!..

„ხვალ“ მე და დათომ პირველ რიგში პირი დავიბანეთ. მერე შენაქოს ვადაღმა „ბოსლებსკენ“ დავეშვიეთ და გზაში მხედრებს გადავეყარეთ. საომარი ყივილით მიაგვლევიდნენ მერნებს დიკლოსკენ. დაგვიხახეს, შეჩერდნენ და ჩამოქვეითდნენ. აბო და იორამი ერქვათ მხედრებს, ჯან-ლონი სავსე ახალგაზრდა კაცები იყვნენ, მხიარულები და წარმოუდგენლად მთვრალეები. ან როგორ იკავებდნენ თავს ცხენებზე?!

— გაცნობისა უნდა დავლიოთ, ძმისწულო! — აბომ რძის უზარმაზარი, ალუმიანის ბილონი ჩამოიღო ცხენიდან (ვისაც რძის ბილონის სუფიდან დაუღვია, უეჭველად დამეთანხმებდა, რომ 250-300 გრამი თავისუფლად ჩადის ამ „სასმისში“). არაყი ჭაჭისა იყო, ორნახადი და ღვარცოფივით დამანგრეველი. დაახლოებით ათ წუთში გაცნობისაც დავლიეთ, ცხვარ-მეცხვარისაც და მთა-ბარის სალოცავებისაც...

დანარჩენი ალბათ, ნათელია, — განვიმდა და ათი დღე გადაუღებლად, კოკისპირულად წვიმდა...

მფარველი ანგელოზები

თითქმის ყველა ჩვენგანს ჰყავს მფარველი ანგელოზები, — დედა, მეუღლე, სხვებიც... განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მაშინ ხარ, როცა „ცუდად იქცევი“. მეც (რახან ადამიანი ვარ) ხანდახან (ჩემების აზრით, ხშირად) ცუდად ვიქცევი ხოლმე. რა თქმა უნდა, შენს ქმედებას სარეაბილიტაციო „სამუშაოები“ მოსდევს, ანუ საქმეში მთელი ძალით ერთვებიან მფარველები... ნება მიბოძეთ, დეტალურად არ აღვწერო ამ „სამუშაოების“ მთელი სიმძიმე. ეს ჩემთვის ზედმეტად მტკივნეული და დამანგრეველია. ერთხელ, ზუსტად ასეთ მდგომარეობაში, ვინეკი თავზე წაფარებული პლედით და — ჩემი მეგობრის გამონათქვამი გავიმეორებ, — „მარტივად გვედებოდი“. ამ დროს ტელეფონმა დარეკა, მე მირეკავდნენ, მაგრამ (არ მახსოვს, ვინ აიღო ყურმილი, დედამ თუ რუსიკომ) პასუხი მკაცრი და კატეგორიული იყო: — გიგის ძინავს, გენაცვალე, და თანაც არ სცალია!..

მე არც ადგილის თავი მქონდა, არც კამათის და არც — არაფრის. ამიტომ, „მარტივად ვიძიე“ შური:

ოჯახში ახლა სრული შტილია, ყველას ვუყვარვარ, მეც ყველა მიყვარს, ვიცხოვრებთ ასე შეხმატკბილებით, ვიდრე შემთხვევა კვლავ არ გამრიყავს...

მოზი დიკი

ჩვენი სახლი მტკვრის პირას იდგა. ეს მდინარე ჩემი ერთ-ერთი პირველი „ცოცხალი ორგანიზმია“, რომელიც კარგად მახსოვს. მიუხედავად ამისა, თბილისის მტკვარში მხოლოდ ერთხელ და, ისიც შემთხვევით, ვიბანავი. ეს ძველი მისტერიაა: სეზონის ბოლო თამაში მოვიგეთ მოსკოვის „დინამოსთან“ — 3:1! თუ არ ვცდები, ბრინჯაოს ადგილი დავიკავეთ და შედეგით კმაყოფილი და მადლიერი გულშემატკივრები „ნადკუროში“ შევიკრიბეთ. ჩვენი ბიჭების გუნდიდან მხოლოდ მე და ნიკუშა ვიყავით წარგზავნილები. დანარჩენები უცნობები იყვნენ, მაგრამ ამას არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, ყველანი „სიხარულის ალტაცებით ალგისონი“, ალტყინებულები და ბოლომდე გახარებულები ვიყავით. შინაგანად გვჯეროდა, — გაისად „დუბლონი“ ჩვენი იქნებოდა!..



ეპ, სადღაა, მაშინდელი ქართველი კაცი! წარმოდგინეთ: — „მოსკოვსკაია ოსობაია“ — ყუთებით, ბარის-პივა — კასრებით, სოსისის, შებოლილი თევზის და ნეკნების ზვინები და მთაგრეხილები; „კოსმოსის“ და „კოლხეთის“ ცადავარდნილი კოცონები, სიცილი და ღრიანციელი, ხვევინა-კოცნა, შეძახილები და გაბზარული სიმღერები; ჩახჩახა სინათლე და გათლილი და გალიცილიცებული ჩაისჭიქები, მადლიანი დედისგინება და გამტყვრალ „მატროსებს“ შორის ჩაჭედებული მიმტანი გოგოები... ეპ, დალოცვილო მაშინდელი-ობაგ!..

მე და ნიკუშაც ისმაილის მსგავსად, ამ ეკიპაჟს ვეკუთვნოდით. ჩვენი სულელების ამოძახილიც ჭერს აწყდებოდა, იმსხვრეოდა და მერე, საერთო ღრიანციელთან შერწყმული, „ნადკუროს“ გმირულ სიმფონიას ქმნიდა.

მტკვარი კი იქვე, პირდაპირ და დუქნის ქვეშაც მიედინებოდა. მისი ხმაც ჩვენსას უერთდებოდა, ისიც გახარებული და კმაყოფილი ჩანდა, გალაღებული მღეროდა და გვამხნევებდა, — გაისად ოქრო ნალდად ჩვენი, ამას წყალი არ გაუვალ!.. პერიოდულად, 3-4 კაციანი ჯგუფი გარეთ გადიოდა, — სუფთა ჰაერის ჩასაყვანად და „სულის მოსათქმელად“. უკან ახალი ენერჯითი და მუხტულები ბრუნდებოდნენ — უფრო თავისუფლები, ამაყები და ხმამაღალინი...

მაგრამ ყველანი, თვით უქალებო ბაკანალიასაც გააჩნია საზღვარი. დარბაზი ნელ-ნელა დაცარიელდა. ჩვენც წასვლა გადავწყვიტეთ, ოღონდ აღარ მახსოვს, გარეთ რისთვის გავედით, — დაცარიელებულ დარბაზში შემოჭრილი სევდის გამო თუ სუფთა ჰაერის ჩასაყვანად. მე მაინც მგონია, მდინარე მოგვენატრა. აბა, მითხარით, რა შეედრება მშობლიური მდინარის ღამით თვლიერებას: — მზერა დაბინდულია, ვერემო — სუფთა, შესაბამისი, მდინარე — კამკამა, არომატული და ქალაქი — 1000 მზის ელვარებით ანთებული... თანაც ზამთრისპირია, მდინარეს ქარი მოაქვს, რიყე სველია და შენი ქურთუციც (რატსმაც) მეგობრის საჩვენებელი თითის საკიდზე კიდია...

იმ ცივი ღამით, მდინარეში ბანაობა ნალდად არ შედიოდა ჩვენ გეგმებში. მაგრამ ვიბანავეთ, მოვახერხეთ და ეს არის მთავარი. წყალში როგორ „შევედით“, სულ სხვა თემაა, უნეტარესო და არ დაგლით ამის გახსენებით... თუმცა, რატომაც არა...

მე და ნიკუშაც მდინარეში ჩასხმულ ბეტონზე ვიდევით. ნიკამ ცურვა არ იცოდა და ჩვენ სწორედ ცურვის სტილებს ვარჩევდით, — ნებისმიერ თეორიაში მაგარი იყო ჩემი მეგობარი. ეგ კი არა, როცა მოულოდნელად და ძალიან ოსტატურად გადაეშვა თავით მდინარეში, ალტაცებისგან შევეყვით კიდევ. ნიკუშა ერთ ნაშბი გაიტაცა და დაკარგა დინება. მე ისე ოსტატურად არ გამომივიდა, — ფეხი გამისხლტა და გვერდულად ჩავენარცხე ნოემბრის ყინულოვან წყალში. ინსტიქტურად მოვტრიალდი და ნაპირისკენ გამოვცურე, კიდევ კარგი, ორ მეტრში იყო. ღვთის ნებით, კარგად ვცურავ, ადვილად გავუმკლავდი დინებას. თანაც წყალი რესტორნის შუქით იყო განათებული, — ყველაფერი ჩანდა. გამოცურვით კი გამოვცურე, მაგრამ ზევით ვეღარ ამოვედი, — იმ ოხერ ბეტონის სლიკინა ღამინარია მოსდებოდა, აგრეთვე ზღვის კომპოსტო, მტკვრის აქტინია და ნალექებში ფლორისა და ფაუნის ჩემთვის უცნობი წარმომადგენლებიც... ნაპირთან ვფართხალებდი ყინულოვან წყალში და მის ბინადართ ვებრძოდი. პირში მტკვრის მშობლიურ, შეუდარებელ და განუყოფელ გემოს ვგრძნობდი და, მერნმუნეთ, მხოლოდ ბრაზი მამოძრავებდა და მახრჩობდა, სხვა არაფერი...

მერე ვილაც მოუახლოვდა ნაპირს და ხელი გამოიმწროდა. — ქვევით თავთხელია, ძმაო... უფალს ვყვარებივარ, გადაამარჩინა... — ნიკუშ, შენა ხარ, ბიჭო?! მე უკვე კასპის ზღვაში მეგონე... ბოლოს ერთიანი ძალისხმევით, როგორც იქნა, ამოვფართხალდი, უფრო სწორად, ამოვსრიალდი ნაპირზე. მერე სული მოვიტყვი და მდინარეს გიორგი ერისთავის ცნობილი პოეტური ფრაზით მივმართე: — მტკვარო, მდინარე ჩემის

მამულის!.. მაშინ მანქანას ვინ გავვიჩერებდა, „ფუფუნების საგანი“ გახლდათ. თანაც გადარჩენილი და სველი (თუნდაც „ბრინჯაოსმფლობელი“) მატროსების ბედი ვის ააღელვებდა. ფეხით დავადექით საბურთალოსკენ მიმავალ ყინულოვან გზას და, როგორც შემდეგ გამოირკვა, ორივენი ალექსანდრე ყაზბეგის სიტყვებზე ვფიქრობდით: — რომ, კაცი ტანჯვისთვის არის გაჩენილი...

მე კიდევ რა მიჭირდა, „იქვე“, გეპისთან ვცხოვრობდი, ნიკუშა — ნუცუბიძის ქუჩის ბოლო გაჩერებასთან... იმ ღამით ასე დაეცვილდით ერთმანეთს. დღითი დედამისის სიყვარულით გამოთბარმა სიტყვებმა გამაღვიძა, — ერთი ნასვამი მოვიდა, მეორე დამხრჩვალაო, — დაქალს ტელეფონით აცნობდა საქმის ვითარებას...

მძიმედ, გაჭირვებით გავახილე თვალი. ჩემი ლოგინი მტკვრისპირა რიყედ ქცეულიყო: — ღამით, კენჭები, პანანინა კიბორჩხალები, ლოკოკინები... სახეზე ზღვის კომპოსტოს ნიღაბი მედო, ბალიშის ქვეშ ლოქოს ეძინა, მარცხენა იდლიაში ციმორი ქვირითობდა, ფეხის თითებთან ხრამულის ლიფსიტები დანავარდობდნენ...

ასე მივხვდი, რომ დამხრჩვალნი სწორედ მე ვიყავი...

რავახარ

ეს კაცი თითქმის ყოველ დღე მხვდებოდა და დიდი ხნის უნახავივით მეკითხებოდა: — რავა ხარ, ბიჭო, სად დეიკარგე?! გამიტრაკა საქმე. ერთხელ ოტია პაჭკორიასთან ვიყავი „ცისკარში“, იქაც შემოვიდა და ისევ: — რავა ხარ... და ა. შ.

— აბა, რა გითხრა, ჩემო რავახარ, ქალაქი ძალიან დიდია-მეთქი... — რაც შეიძლება მშვიდად ვუპასუხე. რავახარმა ცოტა ხანს მიყურა, მერე ოტიას მიუბრუნდა, — ხედავ, რა კარგად მიპასუხაო...

მე არ ვიცო, კარგად ვუპასუხე თუ ცუდად, ყველანაირად ვცდილობდი, ოტიას ჩემი გაღიზიანება არ შეემჩნია. — კარგი, ბიჭო, რა დაგემართა, — მითხრა მისი წასვლის შემდეგ ოტიამ, — ვერ ხედავ, ისევე მახარაძეში გონია თავი...

პუხები და ქიხარები

ბავშვობაში თითქმის ყველას ჰყავს საკუთარი ქიხარა, მოსტრი თუ ურჩხული. რომლისაც ეშინია, მის „დანახვაზე“ კრთება და ფეთდება და თითქმის ჯერა კიდევ, რომ ის ნალდია, რეალურია; აქვეა, კარს მიღმა ხელის ერთ განწვედნაზეა. ვფიქრობ, სწორედ ამიტომაც ვერ ეშვება და ყოველ ღამე მოუთმენლად ელოდება მის გამოჩენას. ვიცო ეს მე, ოდესღაც გამოვცადე. ამას ახლა ჩემთვის ადრენალინის აბსტინენცია ჰქვია...

მე გვიან გავიცანი (მათივე მონაყოლიდან) ჩემი მეგობრების დაბერებული ქიხარები: ნაირ-ნაირი ბუა თუ ტრაქტორიძია, გუდანი კაცი რაუდენა თუ დედაბერი აღმასა (მე თუ მიუხედავად, უფროსებს უდიდესი ღვაწლი მიუძღვით ამ ურჩხულების შექმნა-განვითარება-ჩამოყალიბებაში).

ამ ეტიუდში მსგავსი სიზმრები და ქიხარები მინდა გავიხსენო...

მეც მყავდა ქიხარა, ოღონდ ჩემი ძალიან ეფემერული, მყიფე და მსხვრევადი იყო (ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ კარგად აღზრდილი და კეთილშობილი გახლდათ) და სახელიც არ ერქვა. არ ჭირდებოდა. ის ღამით მომეახლებოდა ხოლმე, ხან მათგინის კიდევ იჯდა, ხანაც ოთახის კუთხიდან მითვალთვალებდა. შეეძლო ერთდროულად რამდენიმე ადგილას ჩასაფრებულყო ან რომელიმე საგნის ფორმა მიეღო, — ფანტაზიის ნიჭი მომადლებული ჰქონდა. მაგრამ ყველაზე ძალიან ჩემი საწოლის ქვეშ უყვარდა წოლა. ზუსტად ჩემ პოზაში იწვა და მელოდებოდა, როდის გავინძრეოდა. უსასრულო ლოდინი შეეძლო, სიკვდილამდე, ბოლომდე და ბოლოს იქითაც. მე განძრევა არ შემეძლო, მეკრძალებოდა, გატრუნული და სახანში გახვეული უნდა ვნოლილიყავი (მხოლოდ სახე მიჩანდა). სახეზე შეხება კი ქიხარას ეკრძალებოდა, რადგან ეს ოხერი ქიხარა ჩემს ნებისმიერ მოძრაობაზე იმსხვრეოდა. ამას

კი დიდი უბედურება მოსდევდა. ასეთი იყო საერთო წესი და მეც მეშინოდა ამ წესის დარღვევის.

ძალიან დიდხანს არ მტოვებდა და მანვალებდა ეს ხილვა. იქამდე, ვიდრე ამ ხილვის მსგავსი, თითქმის ზუსტი აღწერა (ოღონდ ათასჯერ უკეთ მოთხრობილი) არ შემხვდა ედიშერ ყიფიანთან (რა დასამაღია, გამეხარდა, მარტო არ ვყოფილვარ ქიმერასთან ბრძოლაში). უკვე მოზრდილი ვიყავი და ვიცოდი, რომ ქიმერების დრო წავიდა. თუ ღამით მაინც მომეახლებოდა, სვედაშრეტილი და უღონო მოდიოდა, თვითონაც აღარ სჯეროდა საკუთარი თავისა, — ადვილი იყო მასთან გამკლავება... მაგრამ მაინც არ მსიამოვნებდა მისი მოსვლა, ურთიერთობა, საუბარი...

ახლა კარგად ვიცი, პირველად როდის გამოჩნდა და როგორ დაიმკვიდრა ჩემ ცხოვრებაში ადგილი. ახლა მისი სახელიც ვიცი, — შიში ერქვა...

მაშინ ჩოლურეთში, მტკვარზე გადაკიდებულ ხის ძველებურ სახლში ვცხოვრობდით. მთელი სახლი გლიცინიის ულამაზეს „მავთულხლართებში“ იყო გახვეული. ჩვენ ფლიგელს ჟამისგან განაცრისფრებული ხის რიკულებიანი, აუცილებელი აივანიც ერტყა. მუხრანის და ვორონცოვის ხიდებს შორის მოქცეული გემი-სახლი მთანმინდას უყურებდა. აქ „უბრალო“ (მარტივს არ ვგულისხმობ), ხალხი ცხოვრობდა. ეზო თბილისური იყო, საერთო, ინტერნაციონალური, ჭირიც და ლხინიც ერთი ჰქონდათ. ეპ, დიდი ბელადის სიკვდილით გამოწვეული ელდაც ჯერ ისევე ალისფერ, ერთიან იარად აჩნდა მათ სულელებს...

ჩემი პირველი სამყაროც ეგ იყო, — სანაპირო, მეტეხი, ხიდები, მთანმინდა... ჩვენ წინ სანაპიროზე ასფალტს აგებდნენ. თითქმის ყოველთვიური პარადის მერე, ჯარი და საბრძოლო ტექნიკა სანაპიროთი უბრუნდებოდა მშობლიურ კერას, — სანახაობა ძალიან შთამბეჭდავი იყო. ისე რა დღეებში, თითო-ორი მანქანაც ჩაიზუილებდა, დათვლა შეიძლებოდა, გასართობი და სულიერი საზრდო ნალდად არ მაკლდა. თანაც ვორონცოვის მოედანზე რუსულენოვან საბავშვო ბაღში დავდიოდი. ჯგუფში მხოლოდ მე და ჩემი ებრაელი ძმაკაცი დათო ვიყავით ქართველები, — რუსი, სომეხი და ქურთი ბავშვებით იყო გაძძევილი იქაურობა. „Ахәәдәтәи әәәдәтәи и әәәдәтәи...“ — მეტი არაფერი მახსოვს იქ ნასწავლი ცნობილი ლექსიდან...

იმ დროს ჩემი „მატარებელი“ პაპაჩემი იყო. ნაწვალები, მკაცრი და დაღლილი და, როგორც მაშინ მეჩვენებოდა, უცნაური კაცი. უცნაური იმიტომ, რომ ერთი ციციქნა ლაპას ღამის მთელი თბილისი ფეხით შემომატარა: ფეთხანი და ნარიყალა, სიმინი, მინდანი და სინაგოგა, ბოტანიკური... რა ვიცი, თითქმის ყველაფერი მანახა... სტალინის „გრანდიოზული“ ძეგლის დემონტაჟსაც დამასწრო და ძველი ქარვასლის დანგრევასაც. „კარგად დაიმახსოვრე!“ — მეტყოდა ხოლმე. ერთხელ ქაშვეთში მღვდელმთავრის დაკრძალვაზეც კი წამიყვანა. რა თქმა უნდა, ნანახი დიდად არ მაინტერესებდა, ბაღლი ვიყავი და სხვა ვნებები მქონდა. თუმცა ქვეცნობიერად არც ვაპროტესტებდი, — ბავშვი გასართობს ნებისმიერ საგანში პოულობს. მეც „მთელი ძალით“ ვერთობოდი, — ასე მეგონა... მაგრამ გასაეირნება, დღის „პროგრამაში“ შედიოდა. მე კი უფრო პაპაჩემის ღამის საუბრები მიყვარდა. ეს არ იყო იავნანური ანდა ძილისპირული ზღაპრები. ჩვენ ოჯახში საგნებს, მოვლენებს, ადამიანურ ღირებულებებს (ბავშვებისთვისაც კი) თავისი სახელი ერქვა, მთვარეს — მთვარე, კახპას — კახპა და კაცსაც — კაცი...

პაპა აივანზე, მუხლზე დამისვამდა ხოლმე და მესაუბრებოდა. მაგარი მთხრობელი იყო და ჩემ ბავშვურ, ყოვლად წარმოუდგენელ შეკითხვებსაც ძალიან სერიოზულად პასუხობდა. გენიალური საღამოები გვაქვს გატარებული: ჩვენ წინ მტკვარი მიედინებოდა, პირდაპირ მთანმინდა იდგა, ცაზე ვარსკვლავები მოძრაობდნენ, სადღაც მთებში ყინული დნებოდა და უცნობი მდინარე იღებდა სათავეს; ვულკანებიდან ლავა იფრქვეოდა და პომპეი ილუპებოდა, ვეშაბი ისევე ელოდა იონას და ცამცუმს ძველი ვალი ისევჰქონდა გასასტუმრებელ... ხანდახან მთანმინდაზე ვე-

ბერთელა, ჟღალი და სრული მთვარე ზუსტად ანძასა და რესტორნის შუაში დაჯდებოდა და ამ საუბრებს უფრო იდუმალს ხდიდა. არ ვიცი, მე ვაგიზარდეთ თუ მთვარე დაპატარავდა, იმ საღამოების მერე ასეთი დიდი და მეტყველი მთვარე თბილისში აღარასდროს მიხახავს...

მაშინ გავიგე, რომ სამყარო უსასრულოა, რომ დედამინა მრგვალია და მთვარე უჭაერო, რომ არსებობს ტალა ცუნამი, რომ იყვნენ ძმები — აბელი და კაენი, რომ არსებობს ქალი და კაცი და სიყვარული, რომ ღმერთი არსებობს, „ოღონდ არ ჩანს“, და რომ ადამიანი საკუთარი სულის კაპიტანია...

მე ვისმენდი ამბებს და მეშინოდა და რატომაც უგონოდ მეცოდებოდა პაპაც და საკუთარი თავიც. ვიცი, რისიც მეშინოდა, — სამყაროს იდუმალი სიდიადის, მისი ამოუცნობი საიდუმლოსი და ყველაფრის, რასაც და ვისაც სული გააჩნია. სწორედ მაშინ მივაქციე ყურადღება სამყაროს ბურუსით დაფარულ სამოსს, უმართავ და ბუნელ კუთხეებს, საიდანაც ადამიანის ფანტაზია, წარმოსახვა და ათასი სხვა ჯანდაბა გამოდის. საკუთარი თავი პანანინა ლიფსიტად წარმომედგინა და მეცოდებოდა, ვხვდებოდი, — „როცა დიდი გავიზრდებოდი“, მაინც არაფერი შეიცვლებოდა...

ადამიანებს შორის ერთ-ერთი „არალიფსიტა“ პაპაჩემი იყო, ჩემი მაშინდელი სულიერი ხეტიალების მთავარი გმირი. უკვე ვიცოდი, — ამქვეყნიდან წასვლა ელოდა და ამიტომაც მეცოდებოდა. მაგრამ მისი სიკვდილით დადგმულ ტრაგედიაში, მეც ვმონანილოვობდი, ანუ მარტო ვრჩებოდი. ეს კი ტრაგედიას ათმაგად ამძაფრებდა და გულის ტკივილთან ერთად, სინანულის გრძნობასაც მიჩენდა და მანგრევედა...

ყველაზე ძალიან, უხსოვარ დროს ჩამოვარდნილი, უზარმაზარი მეტეორიტის ამბავი მალეღებოდა. როგორ ჩაეცა გავარვარებული, კოსმოსური სხეული ტიაგაში, გაჩნდა ციცხლი, გადინვა ტყე, დაშრა მდინარეები და გადაშენდნენ მამონტები და დინოზავრები... რაც ყველაზე მთავარია, იყო დიდი მიწისძვრა და გაიბზარა მთანმინდის ქედიც...

იმ მეტეორიტს შემოჰყვა ჩემი ქიმერაც. იმდენჯერ დამესიზმრა მეტეორიტის ვარდნა, იმდენჯერ დაეცა „ჩემი“ მეტეორიტი დედამინას, რომ მის გარეშე ძილი წარმოუდგენელი მეჩვენებოდა. ბოლოს, ყოვლად უტიფრად და უსინდისოდ, პირდაპირ მთანმინდის ქედზე ეცემოდა, ეტყობა, ეშორა ტიაგის გაუვალი ტყეები... ქიმერასაც მეტი რა უნდოდა, ფერ-ხორციც შეისხა, „განუყრელის“ სტატუსიც დაიმკვიდრა და ნათესავივით ჩამისახლდა კიდევ ბინაში...

დიდი ხნის მერე ანუ ამ ზაფხულს, სხვა მნიშვნელოვან ამბებთან ერთად მეტეორიტის ამბავიც მოვუყევი ჩემ შვილიშვილს. ჩვენც აივანზე ვისხედით, საიდანაც ეზო და მთანმინდის ქედის კუდი მოჩანს. აქ გვიყვარს ხოლმე ჩამოჯდომა და საუბარი. როგორც ჩანს, ამბავი ზედმეტად შთამბეჭდავი აღმოჩნდა მისთვის. ამას წინათ ასე მითხრა, იცი, გიგი, ყოველ ღამე ერთი და იგივე სიზმარი მესიზმრება, ვითომ, მეტეორიტი ვარდება და მთაზე ეცემა... რომელ მთაზე-მეთქი, შევეკითხე. აი, იმაზე, — ხელი მთანმინდის ქედისკენ გაიშვრა, — ვარდება და ფეთქდება...

მერწმუნეთ, ჩემი ბავშვობისდროინდელი სიზმარი, მისთვის ნალდად არ მომიყოლია.



დალილა ბედინიძე

დასასრული

ციკლიდან „ლაქსაჰი მასხაჰ“

როგორც გაკვეთილზე დაგვიანებული მოსწავლე, როგორც თვითმფრინავზე დაგვიანებული მგზავრი, მე ვდგავარ კართან და მამძიმებს სინანული – რად ვერ მოვასწარი, რად ვერ მივუსწარი, იქნებ გადამერჩინა ჩემი და შენი სიყვარული, მაქს, იქნებ არ იყო გვიან და შენ – უცხოელი – მომინაურებულ ვეფხვს ჰგავდი, რომელსაც გალია აღარ ჭირდებოდა, იმდენად ემორჩილებოდა სიყვარულს და მეგობრობას. სამაგიეროდ, მე გავველურდი. გაიღვიძეს ჩემში ტყეებმა, გაიღვიძეს ჩემში ზღვებმა, გაიღვიძა ჩემში ცამ და ხმელი დღეები ისე გამოვამტვრიე, კედელი არ შერჩენია ჩემს გალიას. ჩვენ რომ წესრიგის გალიებში ვსხედვართ და ყოველდღე ათასი აკრძალვა გვისპობს სუნთქვას და როცა გალიას გამოვამტვრევთ, უკვე გვიანია. როგორც გაკვეთილზე დაგვიანებული მოსწავლე, შენს გვერდით აღარ დავიშვები

და შენ კი არ იცი, რომ დავაგვიანე და მაინც მეღი, მაქს! დაველოდოთ შემდეგ გაკვეთილს! თუმცა ჯერ ადრეა და სკოლის დერეფანს ვაწყდები, როგორც გალიის კედლებს.

* * *

ო, იმედივით გვალვაში წვიმდა... ჯერ არ შეხსნია ცას ოთხი კიბე. წვიმის გრძელ ფეხზე ჩანს ღრუბლის წინდა, კაბაზე მთვარე მოუჩანს ჯიბედ. ხან მომთაბარე, ხან – სახლეული წვიმა მოუჩნავს ჩემს დამფრთხალ სულშიც. მე დავასველე ცრემლით რვეული და ცრემლით ვწერდი, ცა იყო ქუში. და ფურცლებივით ვფანტავდი ღრუბლებს, სადაც ეწერა მომავლის გეგმა და ვერ მიტევდა ცის თბილი უბე, მოულოდნელად დამატყდა დელგმა. მე ვკითხულობდი მზის ნაწერს ცაზე, ელავდა ასი ოქროს კალამი. მეც ჩემი ვწერე, მეც ჩემი ვხაზე, ვანთე ლექსები, როგორც წალამი. ო, იმედივით გვალვაში წვიმდა, ოლონდ ის წვიმა არ მასველებდა. ისეთი წვიმა მოვიდეს მინდა, რომ მზე წავიდეს დასასვენებლად.

ზიამბოზი, ქალაქი

გიაზობთ, როგორ შემეყვარდა – ქალებო და! ჯერ თვალეზი დავინახე – ქალებო და! დაეუხვედრე ჩემი თვალეზი – ქალებო და! როგორც სეტყვას – ქვა – ქალებო და! მერე ღიმილი დავინახე – ქალებო და! ჰგავდა ხმლის სიცილს – ქალებო და! ხმლით დაჭრილივით თავბრუ დამესხა – ქალებო და! შეეცოტმანდი, როგორც ხე – ქარიშხალში – ქალებო და!

მისმა ლაპარაკმა წამილო – ქალებო და! როგორც ნიაღვარმა ნაფოტი წვიმაში – ქალებო და! ლამაზი იყო ხატივით – ქალებო და! კეთილი იყო ღმერთივით – და! მძივი მაჩუქა და რა მძივი – ქალებო და! გიშრის გულეზი იყო ასხმული – ქალებო და! ოცი გული დავთვალე – ქალებო და! ოცდამეერთე ჩემი გულიაო – მითხრა, – ქალებო და! სულ თან ატარეო, მითხრა – ქალებო და! სულ შენთან ვიქნებო, მითხრა – ქალებო და! სახელი არ უთქვამს თავისი – ქალებო და! სამყოფელი არ უთქვამს თავისი – ქალებო და! გული მოგიყვანსო ჩემთან, მითხრა – ქალებო და! მივდივარ, საითაც გული მიმიწევს – ქალებო და! გიაზბეთ, როგორ შემეყვარდა – ქალებო და! თუ ველარ გნახეთ, იცოდეთ ეს ამბავი – ქალებო და! მომიგონებდეთ დაუბრუნებლად წასულს – ქალებო და!

გენო კალანდია

დასასრული

* * *

არა, ო, არა! სულ აღარ მიკვირს, ასეთი რიტმი ახალი ყოფის, როგორც აპრილში დასაკლავ თიკანს, მე ერთი ზღუჯა ბალახიც მყოფნის.

მზეზე ვიქნები თუ ბუხრის ახლოს, მეც ვუდარაჯებ ამ ცას და მინდორს, რომ სიკვდილამდე კარგიც და გლახაც, - სულ კურტანივით ვზიდო და ვზიდო.

დოქით, ხელადით დავიდგამ ღვინოს და ვადღეგრძელებ ძვირფასი ჯამით მინას, რომელიც ძველია ისე, როგორც სახელი დღისა და ღამის.

წმინდა პეტრეს ბრახნილი

აჰა, აყვილდა მამალი გარეთ და განთიადის გვაჩუქა კოცნა... ტაძრის სტოასთან ატირდა უცებ და გრძნეულივით დაიწყო ლოცვა.

ადგა... შეიხსნა სახელო კაბის და საცოდავად მიეყრდნო კედელს... რა ხმით, რა შვებით უარყო რაბი მამლის მესამე ყვირის შემდეგ?!

თვითონაც ველარ გაიგო ალბათ, ასე ვით გასცა ნამუსის ღალა, ან ვინ მიხვდება იუდას ამბავს, - მის კოცნას და მის გუშინდელ ღალატს.

გარეთ დილიდან გუგუნებს ხალხი, ტაძრის წინამძღვარს მოითხოვს სწრაფად, ვილაცა ჩუმად ყიდულობს მახვილს, ვილაცა მუქთად პოულობს სახსარს...

ის კი ასეთი დინჯი და მშვიდი ეზოდან გაჰყავთ პილატეს მცველებს, მიდის და მიდის ჰეროდეს ხილით სასჯელის უცხო, უდაბურ ველზე.

უკვე ადგილიც მზადაა მისთვის, ოლონდ როგორმე აღმართონ ჯვარი და, ხორცის კვდომა... და, ღვარი სისხლის ნახოს კვარით ნითელი თვალით.

.... პეტრე, კი, პეტრე, - საწყალი პეტრე, - ივლის და ივლის სახელით უფლის, მოივლის სინას, ნაზარეთს, ბეთლემს, რომ მერე ჩუმად დალიოს სული.

* * *

თქვენ რომ ეულად არ იგრძნოთ თავი, აქ კაზანოვას აღვმართოთ ძეგლი, მოვლენ ძვირფასი სტუმრები ღამით ზეთისხილის და ქოქოსის თესლით.

იქვე ფუნდუკი გაემართოთ ერთი, დავსხდეთ, ვიგემოთ სიამე სოფლის, რომ არ განრისხდეს მაღალი ღმერთი ვიაროთ პალმის და ლელვის ფოთლით.

შადრევნებშივით აგვიტანს ვნება და დაისების მეორედ მოსვლა, რა საჭიროა ეს ათი მცნება, ან შარშანდელი აგვისტოს ხსოვნა.

თქვენ რომ ეულად არ იგრძნოთ თავი, რომ ეშხი ჰქონდეს ღამეს და თბილისს, ნავლენ ღამაში ქალები ღამით, მოვლენ ახალი ქალები დილით.

* * *

I მე ვეკითხები საკუთარ წარსულს, თუ დაგრჩა კიდევ სათქმელი რამე?! როგორც სართული შორდება სართულს, ისე ეშორდება შარშანდელ ღამეს.

მე უკვე თქვენი მოსმენაც მიმძიმს, თითქო კარებთან ეცემა ლოდი, ცოლის თმსავით ანათებს ძილში ძველი მეტეხის ჭორი და შფოთი.

II შენთვის ეს ერთი კარავიც კმარა, როგორც ირმისთვის მთელი საირმე, ნუ განიკითხავ ქვეყნად ნურავის, არც უფალს სთხოვო უკვე რაიმე.

თავისი ნებით მოვა სიკვდილი და ვერც ვერაფერს შეცვლი, იცოდე, დაე, ფეთქავდეს ატმის კვირტივით შენი და ჩემი ერთად სიცოცხლე.

აიეზის მცირა ბრახნილი ილიასადმი

კოლხეთის მზეო, - ამოსული ქვეყნის აღსავლით, დიდებული ხარ, - სხივმაღალი ხობის ფრთასავით.

შვილი - შვილია, მაგრამ როცა მოლაღატა, უნდა დასაჯო, როგორც რომი, თებე, ქალდეა.

ქარი - ქარია, წყლები მუდამ ზღვისკენ მიდიან, ჰოი, შენ, - თეთრო აბრეშუმო, ჩემო იდია!

ვბრძანე, დახოცონ ყველა ხარი ქედგახეხილი, აკაფონ ვარდი, თალგამურა, ვაზი, ხეხილი.

უდაბნოდ იქცეს მისი ბაღის მწვანე კუნძული, აქამდე სავსე იადონის, ჩიტის ჟღერტულით.

მძევლად დაუჯდეს კორინთოსი ბუნე კორინთელს, მთელი სიცოცხლე, მთელი წელი, თუნდაც ორი თვე.

აქ მოვბრძანებ, აქვე დავსჯი სამაგალითოდ, ოდელსაც ჩემთვის, - პირველ განძს, მზეს, სამარგალიტოს.

ფვიცავ მამაჩემს, - ჰელიოსის სახელს ღვთაებრივს, სადაც დავღამდი შავი ბინდით, იქვე გავთენდი;

თავებს ვაჭრიდი, როგორც ციცრებს, - სკვითებს, სარმატებს, პური დავთესე, ტყე ავჩეხე, ციხე ავაგე.

არც იაზონი იყო ჩემთვის დიდად საშიში, მაგრამ დავმარცხდი მტერთან ომში გულთა კავშირით.

მშვილდი ვესროლე უცხო ხომალდს პონტოს კარებთან და ჩემი ცრემლიც გავაყოლე უკანასკნელად.

ზღვა ისე ლურჯი, ისე წყნარი, ისე მშვიდია, თითქო მიდიან იმ მხარეში და არც მიდიან.

უკან მოვბრუნდი ჩემი ჯარით, ჩემი მცველებით, ღიად, საჯაროდ გაროზგილი მამის ცრემლებით.

გაშალე ტახტი, მომანოდე კვერთხი, იდია, ჩემთვის ეს ღამე წუხანდელი ღამის ხიდია.

ოი, იდია, მშვენიერო, ჩემო იდია!

* * * შენ რომ პოეტის იცოდე ფასი, ო, არასოდეს არ იტყვი ასე, აიღე, შესვი ის ბოლო თასი ღვინით და ჩემი ცრემლებით სავსე.

მაშინ გაიგებ, მიხვდები, როცა ხელში აიღებ თოქსა და დანას, მე ბევრჯერ ვცადე, - ასეც და ისეც, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალი დავალ.



ლელა მეტრეველი

სიმღერებიდან მოსული პოეზია

იპაონური კლასიკური პოეზია სიმღერებიდან მოსული პოეზიაა: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ის მართლაც რიტუალური ხალხური სიმღერებიდან წარმოიქმნა, მეორეც, იმიტომ, რომ ამომავალი მზის ქვეყანაში ლექსის ფონეტიკური ფუნქციონირება მსმენელს უფრო გულსახერხებულად, ვიდრე მკითხველს — ის ნამღერებით წარმოითქმის და მესამე — იპაონური პოეზიის სხვადასხვა ფანრიის სახელწოდება შეიცავს სიტყვა "სიმღერას". არგუმენტების მოძებნა კიდევ შეიძლება. შეიძლება პარალელურად გავლენა სხვა ქვეყნების პოეზიასთანაც, მაგრამ ეს წინამდებარე წერილის მიზანს არ წარმოადგენს.

იპაონიის ისტორია ეპოქებად იყოფა, იპაონური კლასიკური პოეზია კი — ჟანრებად, რომელთაგან თითოეული გარკვეულ ეპოქაში ჩამოყალიბდა და განვითარების მეტ-ნაკლებად გრძელი გზა განვლო. ძველი იპაონური პოეზიის სამი დიდი, ერთმანეთიდან ამოზრდილი განსტოება: ვაკა, რენგა და ჰაიკაი ქრონოლოგიურადაც ამავე თანმიმდევრობით ლაგდება.

უკვდავი ყვავილები" წინასიტყვაობაში მურმან ლებანიძე მართლაც აღნიშნავს, რომ იპაონურ პოეზიაზე ლაპარაკისას ქართველ მკითხველს, უპირველეს ყოვლისა, ტანკა და ჰაიკუ ახსენდება. ეს კი არა, ხშირად ყველა ურით-სიმოკლე ლექსს ტანკას უწოდებენ. ამიტომ არც მთლად უადგილო მგონია, თუ იპაონური პოეზიის ისტორიას მოკლედ მიმოვიხილავთ. ტანკა მართლაც "მოკლე სიმღერას" ნიშნავს და იპაონური პოეზიის უძველესი ჟანრია, რასაც ვერ ვიტყვი თითო ტერმინზე. ტერმინი "ტანკა", ისევე როგორც "ჰაიკუ", მე-19 საუკუნის ბოლოს დამკვიდრდა. მანამდე კი ლაპარაკობდნენ ზემოხსენებულ ვაკასა და ჰაიკაის პოეზიაზე: პირველი მათგანი მოიცავს ტანკას, მეორე — ჰაიკუს.

იყო დრო, როცა იპაონელები მხოლოდ ჩინურად წერდნენ, მათ შორის, ლექსებსაც. პირველი იპაონური პოეტური ანთოლოგია (მანესუ) ე.წ. ნარას ეპოქის (V-VIII სს.) ბოლოს, VIII საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა. ამავე საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნება უძველესი იპაონური წერილობითი წყაროებიც, რომლებშიც გაფანტული იყო პოეზიის სხვადასხვა ნიმუში. სწორედ ეს ნიმუშები, სხვა ზეპირსიტყვიერი ნიმუშებთან ერთად, თავმოყრილი იქნა მანესუში. ამ ანთოლოგიის ყველაზე ძველი ლექსი IV საუკუნის მიეკუთვნება. ამგვარად, პირველი იპაონური ანთოლოგია ასახავს 4-5 საუკუნოვან გზას ხალხური სიმღერიდან საავტორო პოეზიამდე და ზეპირსიტყვიერებიდან — დანერგობამდე.

სწორედ მანესუში გაჩნდა ტერმინი ვაკა, რომელსაც რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ჩვენთვის საინტერესოა ვაკა, როგორც "იამბოს" სიმღერა", ანუ იპაონური სიმღერა. ამ ცნებაში ერთიანდებოდა საკუთრივ იპაონური (არა ჩინურენოვანი!) პოეზიის იმ დროს ცნობილი ყველა ჟანრი (რომლებზედაც თანამედროვე ტერმინოლოგიით ვილაპარაკებთ): ტუკა ("გრძელი სიმღერა"), რომელიც რამდენიმე 5- და 7-სტრიქონიანი სტროფისაგან შედგება; ზემოხსენებული ტანკა, რომელიც შეიცავს ერთ ხუთსტრიქონიან სტროფს მარცვალთა თანაფარდობით: 5,7,5,7,7, ანუ სულ 31 მარცვალს; სედოკა — 6-სტრიქონიანი სტროფი მარცვალთა თანაფარდობით: 5,7,7,5,7,7. ამ უკანასკნელ ლექსს სხვადასხვა "მენიჭება სიმღერა" ეწოდება და ფაქტობრივად წარმოადგენს ტანკას, რომელშიც ბოლო სტრიქონი მეორდება.

მანესუში რიცხობრივად დომინირებს ტანკა, რომელმაც დროთა განმავლობაში განდევნა პოეზიის ყველა სხვა ჟანრი და იპაონური ლექსის გაბატონებულ ფორმად იქცა. მომდევნო ანთოლოგიებში ტანკა ლექსის თითქმის ერთადერთი ფორმაა. მასში გამოვლინდა იპაონელთა მისწრაფება ლაკონურობისადმი. ტანკა ურითობა და ეს ნიშანი საერთოდაც ახასიათებს იპაონურ პოეზიას.

იპაონურ პოეზიას, მათ შორის, ტანკას ახასიათებს აგრეთვე სტროფში სტრიქონების კენტი რიცხვი, ანუ სტროფი არ იყოფა ორ თანაბარ ნაწილად. სამაგიეროდ, ტანკა აზრობრივად იყოფა ორ ნაწილად — ზედა და ქვედა სტროფად/ლექსად. ამ სტროფების ზომა დროთა განმავლობაში იცვლებოდა: X საუკუნემდე აზრობრივი პაუზა მოდიოდა მეორე ან მესამე სტრიქონის ბოლოს, შემდეგ — მეხამე სტრიქონის ბოლოს. ამჟვედროულად, ტანკას პირველი და მეორე ლექსი თანდათანობით ერთმანეთს სცილდებოდა გრამატიკულად. ეს კარგად ჩანს მურ-

მან ლებანიძის ორი თარგმანის მაგალითზე:

მთებზე ნითელ-ყვითელი
ნეკერჩხლები ანთია,
დაბურულან ტოტებში

ბილიკები ტყის...
სად ხარ, გექვამ ამოდ?!
სად, სად დაეხეტები?! —
შემოდგომის ტყეებში

გზის გაგნება ჭირს
(კაკინომოტო ხიტომარო).

მე-7 საუკუნის იპაონელი პოეტის ამ ტანკაში აზრობრივი პაუზა მოდის მეორე სტრიქონის ბოლოს. პირველ ლექსში გადმოცემულია ბუნების სურათი, მეორეში კი — ავტორის გრძობა. კი-ნო ცურაიუკის (868-945) ტანკას თარგმანში კი აზრობრივი პაუზა მესამე სტრიქონის ბოლოსაა:

ზაფხულის ღამით ის-ის იყო
დაღლილი მივწყე
დასაძინებლად — გაღმა ტყიდან

მომესმა "გუგუ"
და უცხად ღამე დღე იცვალა
გუგულის ხმაზე...
წარელო გუგულს, წარეტაცა გული
და ცნობა,

დამთენებო კიდევაც თავყო.
ცხადია, თარგმანებში ეს დაყოფა ყოველთვის ზუსტად არ აისახება. როგორც ვხედავთ, თარგმანებში დაცული არაა აგრეთვე ტანკაში მარცვალთა ერთდობა. სხვადასხვა მთარგმნელი რთობდა აღნიშნავს, რომ, გამომდინარე იპაონური ენის მკვეთრი განსხვავებულობიდან, ამის გაკეთება შეუძლებელია.

საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა ტანკას დანიშნულებაც. თავდაპირველად ის იყო ადამიანის გზავნილი ბუნებისადმი, ღმერთებისადმი. საერთოდაც, მთელი იპაონური კულტურა ემყარება ადამიანისა და ბუნების ერთიანობის პრინციპს. ღმერთებიც იქვე, ადამიანების გვერდით ცხოვრობენ და საკმაოდ გამინარეებულნი არიან მათთან. ამიტომ იპაონელი პოეტი დარწმუნებულია, რომ ღმერთი თუ ბუნება მის გზავნილს შეისმენს. ნათქვამის საილუსტრაციოდ შეიძლება უცნობი იპაონელი ავტორის ტანკა მოვიყვანოთ მანესუდან:

თეთრი ქსოვილის
სახელოზე თავმიდებულნი,
ვხედავ, კურავას მეთევზნი
როგორ ტოვებენ...
წინ არ აღუდგეთ შინ მომავალთ,
გვედროს, ტალღები!

ამ ტანკას პირველ ლექსში (პირველ სამ სტრიქონში) გადმოცემულია ავტორის მიერ დანახული თუ წარმოსახული სურათი, მეორეში კი — ვედრება ტალღებისადმი, რაც იპაონელისათვის სულაც არ არის მხოლოდ ლამაზი სახე: ის დარწმუნებულია, რომ ბუნება მოუსმენს.

მანესუშივე გამოიკვეთა ტანკას თხზვის ზოგადი ეპოქური ხერხი: — გარკვეულ სიტყვებთან შეწყვილებულია მუდმივი ეპითეტები, რომლებიც ერთად მზა, 5- ან 7- მარცვლიან სტრიქონს ქმნიან. მაგალითად: მარადიულია ცა, მთვარე, ნვიმა; თუთასავით შავი — ღამე, წყვილი და ა.შ.:

როცა ვრცელდება ღამე
ხართუასავით შავი,
იქ, სად მერჩხე, ზღვაში,
დგანან ხისაკის ხენი,
ჩიტი ტოლორი კვენისი

(იამაბე აკახიტო, მე-8 ს.,
თარგმანი მურმან ლებანიძისა).

გამოთქმა "თუთასავით შავი ღამე" და ა.შ. შეიძლება მრავალ ტანკაში მეორედებოდეს.

ტანკაში გამოიყენება ე.წ. "შესავალი სიტყვები", რომლებიც მყარად განსაზღვრული არაა და ძირითად სათქმელს ალაამაზებს, ამასთან, ლექსს ავსებს რიტმულად. მაგალითად:

როგორც გარეულ ბატების გუნდი,
მიექანება ღრუბლებს ზემოთ
ცაში და ჰყვივის,

შენ შორს იყავი...
ოი, რამდენი ვეხეტე ქვეყნად,
მოვილოდი შენამდე ვიდრე!

(ოტოში იაკომოტი, მე-8 ს.,
თარგმანი მურმან ლებანიძისა).

ციტირებულ ტანკაში "შესავალი სიტყვების" როლშია პირველი ორი სტრიქონი, ავტორის ძირითად სათქმელს კი ბოლო სამი სტრიქონი გამოხატავს.

არსებობს "სიმღერის სათაური", რაც გულისხმობს გარკვეულ გეოგრაფიულ სახელთან და ა.შ. ტრადიციულად "მომარებულ" ასოციაციას. მაგალითად, ტანკაში ოსინოს მთების ხსენება აყვავებულ ალუბლებს ნიშნავს, ტაცუტას მთებისა — შემოდგომის ნითელ-ყვითელ ფერებს.

— ხშირად ტანკა შეიცავს ე.წ. მაკავე-შირებელ სიტყვას, რომელიც ლექსის რიტმულ და აზრობრივ ცენტრდაც გვევლინება. ეს ხერხი ომონიმებზეა აგებული და თარგმანებში ძნელად აისახება.

— ომონიმებზეა დამყარებული აგრეთვე ასოციაციურად დაკავშირებული სიტყვების ერთდროული მოხსენიება ტანკაში. მაგალითად, ხე — ფოთოლი — ჩამოცვენა, თუმცა თითოეულ მათგანს ტანკაში შეიძლება სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდეს და არა — მითითებული.

უნდა ითქვას, რომ ომონიმური სიტყვების არსებობა ტანკაში ხშირად იწვევს ურთიერთგანსხვავებული თარგმანების არსებობას. ამას ხომ არ უნდა მივანეროთ კაკინომოტო ხიტომაროს ქვემოთ მოყვანილი ერთი და იმავე ტანკას ორი განსხვავებული ნაკითხვა? ეს იპაონური ენის მცოდნეებს უნდა ვკითხოთ...

1) ო, რა გრძელია ქარვისფერი
ხოსობის კული —
ლერწმის ტოტივით იდრიკება
მალა ფრენისას,
მაგრამ, გარინდულს მიუსაფარ
მარტოობაში,

მე მაკრთობს ფიქრი:
მასხედ გრძელი და უსასრულო
არის ეს ღამე

(ორმა რატინის თარგმანი).

1) A ae o se ae e e e o ai da
O a ai ae e i i o ai no u e ae e e o
Ai e i o ai no o o ai ai a.
Yo o ai ae o b - ai ae o b i i - u
O ae ae e i i a i no ai i ai i i o?

(ვიტორ სანოვიჩის თარგმანი).

2) Ai oi i e e da ai oi i e e
Ne aa, nae nae e i ne - e e
Aa e ae ae ae e.
A i i a i i no ae e yo o
Ai ae o b i i - u e i oi da ai u?

(ვლადიმერ სოკოლოვის თარგმანი).

IX საუკუნის დასაწყისიდანვე ვაკა კიდევ უფრო შეავიწროვდა ჩინურმა ლექსმა. ეს გრძელდებოდა საუკუნეზე მეტ ხანს. ტანკა განაგრძობდა არსებობას, მაგრამ ის იქცა ყოფის ნაწილად, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის საშუალებად. მაშინდელი იპაონი იმდენად დაკორინებულნი წყვილებიც კი ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ და ერთმანეთს გრძობებს შუამავლების მეშვეობით (რომლებსაც თავისივე შეთხზულ ტანკას ატანდნენ) უზიარებდნენ. ამ გრძობების გამხელა კი უცხოთათვის ყველას არ უნდოდა, ამიტომ ტანკა იქცა დამოფრულ წერილებად, რომლის აზრი მხოლოდ ადრესატს უნდა გაეგო. აღნიშნულმა მოვლენამ გამოიწვია: 1) ქალისა და მამაკაცის, როგორც პოეტის, რიცხოვნობა და ხარისხობრივი გათანაბრება; 2) ხმამაღლა კითხვის ტრადიციის შესუსტება და კალიგრაფიის როლის გაძლიერება. აქედან გამომდინარე, საუკეთესო იპაონელი პოეტები საუკეთესო კალიგრაფებიც გახდნენ.

ეროვნული პოეზიის რეაბილიტაციის მიზნით, მეათე საუკუნეში იპაონიაში შედგა ქრონოლოგიურად მეორე, ხოლო იმპერატორის ინიციატივით შექმნილი პირველი ანთოლოგია — კოკინსუ (905 წ.). ამ ანთოლოგიაში შემავალი ტანკას ნიმუშები შეესაბამება გარკვეულ წესებს, დამოფრულია და კარგავს მანესუს პოეზიისათვის დამახასიათებელ უშუალოებას. აქ ბუნებისადმი მიძღვნილი ლექსები ადამიანურ გრძობებს ასახავს და მანესუში მინიშნებულ გარკვეული სიმბოლოებიც მყარად შევიდრდება. მაგალითად, შემოდგომის წვიმა ან ნამი ცრემლებს ნიშნავს, ირმის ყვირილი — სიყვარულით გამოწვეულ სევდას, ფიჭვი — ლოდინს... მაგალითად:

კვირტები ჩუმად გამოილო და ჰა,
აყვავდა
მთის ფერდობებზე ალუბალი
მალალი მთისა.

დასცალდეს ნეტავ —
არ მოპუროს ჩემთა თვალთაგან,
არ მომიჩრდილოს ჭალებიდან
ამდგარმა ნისლმა.

(მრჩველი მასაფუსა, 1041-1111 წწ.,
თარგმანი თამაზ ჩხენკელისა).

არ უნდა გვეგონოს, რომ ციტირებული ტანკა პეიზაჟური ლირიკის ტიპური ნიმუშია: ის შეიძლება ორმაგი აზრის მატარებელი იყოს და ავტორის გრძობებზე მოგვიტხრობდეს მხოლოდ "განდობილათვის" გასაგები სიმბოლოებით. მაგალითად, "მთის ალუბალი" ტანკაში ხშირად სატრფოს სიმბოლოა.

კოკინსუს შემდეგ შედგა კიდევ 6 საიმპერატორო ანთოლოგია და მხოლოდ მე-8 — სინკოკინსუ (1205 წ.) — იქცა მნიშვნელოვან ეტაპად იპაონური პოეზიის განვითარებაში. სინკოკინსუში ვაკა/ტანკა გახდა არა მარტო გზავნილი, არამედ ბუნების ფარული სილამაზის გამოვლენის საშუალებაც. ტანკას თხზვა დაექვემდებრა ორ პრინციპს: ესეი (ჭარბი გრძობა) და იუგენი (იდუმალი სილამაზე). თუ პო-



ეტის მიერ ჭარბი გრძობების გამოძღვანება თავდაპირველად ნაკლად ითვლებოდა, დროთა განმავლობაში ეს ღირსება იქცა. ამ ფაქტმა, თავის მხრივ, გავლენა მოახდინა პოეზიის სხვა ჟანრებზე. რაც შეეხება მეორე პრინციპს, მასში აისახა ბუდისტური ინტუიციური ჭკრეტა სილამაზის ნივთებში, მოვლენებში. ამ პერიოდში ადამიანის ბუნებასთან ერთიანობა შესუსტებულია. პოეტებს უნდათ ძველი ჰარმონიის დაბრუნება და ამიტომაც მიმართავენ იუგენს. მოცემულ ანთოლოგიაში იკვეთება სევდა მიწიერი წარმავლობის გამო; წინა პლანზე გამოდის მისტიკური აზრის ძიება საგნებსა და მოვლენებში, ამიტომ ტანკა ისევე დამოფრულია, ოღონდ არა სიყვარულს, არამედ მისტიკური ნიშნით.

სინკოკინსუში დაფიქსირდა ტანკას კიდევ ერთი სახეცვლილება: ხშირად იღებენ წინამორბედი პოეტის ტანკას და ახალ განწყობას უმატებენ. ამან განამტკიცა კავშირი თაობებს შორის, მაგრამ კიდევ უფრო დააცოცხლა აზრობრივად ტანკას პირველი და მეორე ლექსი, რაც შემდგომშიც შენარჩუნდა. ამ აზრობრივი დაცილების საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ამონარიდს მაკა ჯოხადის წერილიდან "დემონები და მფარველი ანგელოზები":

"ტანკას პირველი გამოჩენა ქართულ სინამდვილეში, თუ არ ვცდები, მურმან ლებანიძის სახელს უკავშირდება. ახლაც ჩამესმის საოცარი სტრიქონები: გიყურებ, როგორ მარტო ხარ, ცაო ყოვანა მაინც გადავიაროს".

ციტირებული სამსტრიქონედი ნანყვეტია მე-20 საუკუნის გამოჩენილი მწერლის, ისიკავა ტაუტოკუს ტანკადან, რომლის ქართული თარგმანი მთლიანობაში ასე გამოიყურება:

მომენდილია ცა შემოდგომის,
ირველიც არა სჩანს
ღრუბლის ნაფლეთიც.

გიყურებ,
როგორ მარტო ხარ, ცაო,
ყოვანა მაინც გადავიაროს.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ეს თარგმანი არც პირველია ქართულ სინამდვილეში და არც მურმან ლებანიძეს ეკუთვნის — კონსტანტინე ლორთქიფანიძისაა. მე პირადად, ეს ტანკა წინასწარ რომ არ მქონოდა ნაკითხვით, მაკა ჯოხადის მიერ ციტირებული ნანყვეტი დასრულებული ლექსად — ჰაიკუდ მომეჩვენებოდა და, სიმართლე რომ ვთქვა, ასე უფრო მეტადაც მომწონს.

მოცემულ ტანკაში ასახულია ბუნების სურათი (პირველი ორი სტრიქონი). ქართულ თარგმანში აქვეა აზრობრივი პაუზა) და ავტორის დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი. ამავე ტანკას ვერა მარკოვასეულ რუსულ თარგმანში ე.წ. პირველ და მეორე ლექსს შორის აზრობრივი მიმართება ასეთივეა, მაგრამ სხვაგვარია ორი შემადგენელი ნაწილის ზომა — აზრობრივი პაუზა გადაცვლებულია მესამე სტრიქონის შემდეგ:

I na i ai i ai,
I o ni a i e e o ai ai e da y...
I e da i e i a ae ai i i a i a.
E ae o ni i ae i e i e i ai!
O i o ni ai o ni a u i o i e da o ai!

ამ უკანასკნელ შემთხვევაში დამოუკიდებელ ლექსად გამოდგება ბოლო ორი სტრიქონი (ამ აზრობრივ დაცილებაზე

ელგუჯა ბერძენიშვილი

ტოროლა

მოხუცს აღარ ახსოვდა რა ნახა სიზმრად, მაგრამ ძილშივე იგრძნო, რომ მთელი დღე მოეშხამებოდა.

მართლაც ასე მოხდა. „ცუდ ფეხზე ავდექი“ — გაიფიქრა. „ვიცი ხოლმე ასე, ხშირად არა მაგრამ, ასეთი დღე რომ გამოემრევა, მთელი არსებით ვგრძნობ, რომ სიკვდილი მიახლოვდება. ამ დროს მძულს ყველა და ყველაფერი, მეზობლები თავი და სხვები, რაღაც უცნაური მწუხარება მეუფლება, გაურკვეველი შიში და ძრწოლება. სასტიკი გულგრილობა და ზიზღი ყველაფრისადმი, რასაც თვალს მოვკრავ. მძულს არსებობა, მთელი სიმძაფრით ვგრძნობ მის უაზრობას და გულში ვნატრობ, ნეტა არ გაგჩენილიყავი ქვეყანაზე, ისეთ სიცარიელეს განვიცდი. ვგრძობ, რომ აღარ ვარსებობ. სინამდვილეში თითქმის მკვდარი ვარ.“

რა ქვია ამ საშინელებას? — ფიქრობდა ლოგინში წამომგდარი თმებარჩილი მოხუცი, იცოდა, რომ მის განწყობას ველარაფერი ვერ გადაშლიდა, მაგრამ მაინც მოავლო თვალი წიგნებს. მისმა გონებამ შემოუარა წარმოსახვაში გენიოსების აზრებს — „მინდა მოველაუჭო მათ სიბრძნეს, როგორც წყალნაღებულნი ხავსს. მოხუცის თვალნი შრიალბდენენ გადაფურცვლილი წიგნები, მაგრამ არცერთი შეგონება არ შეეხო მის გულს, ახლოს არ გაეკარა, ისე როგორც საფლავის ქვაზე წარწერილი სოფლის სამღურავი და მუხთალი სიკვდილის გმობა, უბრალო, ლიტონ სიტყვებად რომ რჩება და შენ გულგრილად ზედ გადააღაჯებ ხავს-მოადგულ ლოდს და გზას განაგრძობ, მოხუცი ნიფხავ-პერანგის ამარა იჯდა უკურნებელი სენით დამძიმებული და ფიქრობდა სიბერეზე, სიკვდილზე. ჟამის სიმუხთლეზე და ერთადერთი სიტყვა, რომელსაც ძალა გააჩნდა და ეხებოდა მის მოღლილ გულს, ეს იყო მარადიული და უცვლელი სიბრძნე, რომ ყოველივე ამაოა და მიდევნება ქარის.

მოხუცი შეაკრთო კარების ჯახანმა. ოთახში შემოკვივდნენ აღმურმოდებული გაა და თამუნა. ხმამაღლა გაჰყვიროდნენ, ერთმანეთს ხელიდან სტაცებდნენ რაღაცას და მოხუცს უწვდიდნენ. მოხუცს მოეჩვენა, თითქოს გაზაფხულის ქარმა შემოგლიჯა კარი და სურნელოვანი ყვავილები შემოაფრქვია, მაგრამ მაინც მწყრალად შეჰყურებდა შვილიშვილებს და ძლივს იმაგრებდა თავს რომ არ ეყვირა. რა იყო აქ საყვირალი. მოხუცს არ უნდოდა მათი ხმის გაგონება, წითელი ლოყების დანახვა. ისინი იყვნენ ამ ცხოვრების კოკრები, მერე გაიფურჩქნებოდნენ და დაჭკნებოდნენ მასავით. ბავშვები ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ. „ბაბუა, ნახე, როგორი ზარი ვიპოვეთ, ჩვენ გვინდა რომ შენ გაჩუქოთ, ნახე, როგორი ხმა აქვს?“ — ამბობს თამუნა და პანია ზარს ცხვირწინ უქანავებს მოხუცს.

— მე არ მესმის ზარის ხმა — ამბობს მოხუცი, თავს ძლივს იკავებს, რომ არ აყვირდეს და ბავშვები რომ არ გაყაროს, იმათ რა დააშავეს — ამშვიდებდა თავს, იმათი რა ბრაღია მე თუ უჭმური ამყვა.

— ბაბუა, ნუთუ მართლა არ გესმის ზარის ხმა? ეკითხება ახლა გაა. მერე თამუნას ზარს სტაცებს და ზედ მოხუცის ყურთან აქეთ-იქით აქანავებს, მერე მოხუცის განვდილ ხელზე დებს პატარა მწვანედ ჩაყანგებულ ზარს და ორთავენი ისევ ეზოში ჩარბიან. მოხუცმა დახედა ხელის გულზე დარჩენილ ზარს, ძლივს მოიქცია თითებში, ყურთან მიიტანა და აქეთ-იქით გააქანა. რაღაც იდუმალი ჩაენვეთა გაქვავებულ გულში.

მოხუცმა გაიღიმა, პანია ზარის ხმა რაღაც იდუმალს და შეუცნობელს აუნყებდა. ეს მკრთალი ხმა თითქოს შორეულ, ოდესღაც არსებულ ცხოვრებიდან მოისმოდა და ეს უსუსური ძლივს გასაგონი ხმა საამურად ჩაესმოდა და იზიდავდა, როგორც მთაში გაღმა ფერდობიდან მოღწეული სალამურის ხმა, ნიაკი რომ მოიტანს ხოლმე და უშაღვე გააქვრობს.

მოხუცი წამოდგა, ჩაიცვა, ხელპირი



დაიბანა, ჩაი დალია, ახლა მას თავის ოთახში მიეჩქარებოდა, უნდოდა კვლავ გაეგო პანია ზარის ხმა. რბილ სავარძელში ჩაესვენა, მუჭი გაშალა, ორი თითით პანია ზარი მოიხელთა.

შორიდან, ძალიან შორიდან ისმოდა ეს ხმა. თითქოს წამით გაცოცხლდა რაღაც ნაცნობი და ახლობელი, საამურად რომ უჩქროლებდა გულს, არა, ეს არ იყო მხოლოდ ზარის ხმა, ხმა ლითონისა, რკინის ხმა, თუნდაც ვერცხლის წკრიალი, ეს პანია ზარი რაღაც საამურს, სანატრულს და იდუმალ ნეტარებას აღვიძებდა მოხუცის გულში. საიდან ისმოდა ეს მკრთალი წკრიალი? როგორც მტყნარი წყლის მოსარკული ზედაპირი შეიძვრება კენჭის ჩავარდნით და რგოლებად იშლება წყალი, ისე გაიშალა მოხუცის გულში ჩანვეთებული ზარს მომწყდარი წვეთი და მთელი მისი არსება ბედნიერებით აავსო. ზარი კი წკრიალებდა. თითქოს უღრუბლო ცაში შეტყორცნეს ოქროს ეფვანი და ცაში ხმინაობს ხალისიანადაო. კი, კი, ის არის. ეს მისი ხმაა. ის არ მოჩანდა ნათლით შთანთქმული, მისი მხოლოდ ხმა ისმის ხოლმე. მე მესმის მისი წკრიალი, ის ახლა ცაში ერთ ადგილას დგას, ფრთების გამალებული ფრთხილით, თითქოს ნისკარტით მზის სხივებს გამობმული, მზისკენ იტვის და წკრიალებს გესმის? გესმის? რა ძალა აქვს, ვის, ვის? პანია ჩიტს სხივები განბანული მარადისობის წკრიალა ზარი ცისა და მიწის შიკრიკი, მზესა და ლაყვარდს შერთული შეფრთხივით რომ მეტრფიალებს მზეს და ზარით რეკს ცაში. მოხუცს სხეული საამურად უთრთოდა, ხელისგულზე ედო პანია ჯადოსნური ზარი — ერთადერთი მკურნალი — ფიქრობდა მოხუცი — დედაბუნება! აი მისი მაცნე, პატარა წკრიალა ჩიტი, მან ისევ მიიტანა ყურთან ზარი, გააქანა აქეთ-იქით და უეცრად თითქოს ქვეყნის შექმნის პირველ დღეს, აიზიდნენ ცაში მაღალი მთები, მწვანე იალაღები. თოვლიანი მწვერვალები, დინჯად გამოცურდნენ ქულა ღრუბლები და იმათ ჩამოქვებულმა ჩრდილმა გადაურა მზედაფენილ საძოვრებს, ჩაიქცა, ჩაიღვარა ხეებში, მერე შორს მიცურავდა და ერთვოდა ნისლებს.

თვალჩაუნდვინელ უფსკრულის თავზე ირაოს უფლიდა ძერა. ყვავების ლაშქარი მიჰყვებოდა ლეგა ღრუბლებს. ბნელ ხევში უხმაურად მიილაკებოდა მდინარე და ისე მოჩანდა მთებს შორის როგორც ლოკოკინას გავლებული ვერცხლისფერი ზოლი მუქმწვანე ხავსიან ლოდზე. ცირცლოვანა, ველკეთილი, ყვავილებით მოჩითული ფერდობი. გულაღმა ეგდე და ცას შეჰყურებდე. ცაში ბოინობდნენ არნივები. ნუთუ ისე უნდა მოგვედე ამ ლოგინში, რომ არ შემომესმას არნივის კვილი. მოხუცი თვალს არიდებდა ჭიქაში ჩაყრილ პროთეზს, უაზროდ რომ იკრიჭებოდა, ოყნას, უამრავ ნამლებს, არა, არა, არა, არ მინდა აქ მოგვედე. ჩემი გული ჯერ კიდევ სცემს მაგრად. ჯერ კიდევ შემწევს ძალა. მოხუცი ხედავდა ცადაზიდულ კლდეებს. მარადისობის მაცნენი, პირქუში. მოხუცს მოაგონდა ჯუთელი ხევსურის ნაამბობი, თუ როგორ შერჩა კლდეებს ჯიხვზე მონადირე. იჯდა კლდეებში გზამოჭრილი და ელოდა სიკვდილს, ნელ-ნელა წინ მიიწევდნენ, უახლოვდებოდნენ სვავები, ყვავყორნები დასტრიალებდნენ თავს. სვავები კლდის ქიმებზე ჩამომსხდარნი ელოდნენ მონადირის სიკვდილს, მონადირეც ელოდა სიკვდილს, მან იცოდა თავისი ბედისწერა, გარდაუვალი დასასრული. არც ყვიროდა, არც შევლას ითხოვდა. იჯდა და

ელოდა სიკვდილს. მზე ამოვიდა. მზის სხივები ათბობს ღამენათევე მონადირეს, სალი კლდეები თბება, ყინული დნება და უსასრულო სივრცეში ისმის მზის საგალობელი, სიცოცხლის საგალობელი. მონადირე გასცქერის მზეს წამოიჭრება და უფსკრულში ეშვება.

მოხუცმა დაინახა, როგორ აიშალნენ სვავები, ყვავყორნები ჩხავილით ჩაემუნენ ხევში. არა, მე არ მინდა აქ სიკვდილი, გული მთისკენ მიინევს. იქ, თოვლის ნახვავში მიპოვნია.

ნაყაიროს გადასასვლელზე ჩვენმა თუშმა გამყოლმა თავის ცხენს ნაბადი ნახაურა, თვითონაც წაიფარა ნაბადი თავზე, ჩვენ კი ცხენის მუცლის ქვეშ ვიყავით შეყუყულები.

შავი, სანვიმარი ღრუბელი შავი ურჩხულივით მოიგრაგნებოდა. უზარმაზარი, შავი ღრუბელი წამოგვადგა თავზე. დაბნელდა. აღარაფერი ჩანდა. ვიშვიში შექმნეს, ყვავებმა გადააშავეს ცა, იელვა და იქეა. ცხენი ატოკდა ადგილზე. წამოუშინა კობი, სეტყვის კაკლისოდენა მარცვლები მხრილით ცვიოდა ციდან, აქეთ-იქით ხტოდნენ, ივანტებოდნენ. მერე ჩაიარა შავმა ღრუბელმა, მიიზღაზნებოდა შავი ურჩხულივით. ახლა მთებს გადაღმა ელავდა და ისმოდა ყრუ გრუხუნი. გადაიკარა. მზემ გამოანათა.

მოხუცს თვალნი დაუდგა მზის შუქმომდგარი დასეტყვილი ფერდი, ათასფერი ყვავილი, ღეროებდამსხვრეული, ერთმანეთში არეული, დაჩქქვილი ეყარა ერთმანეთზე, სეტყვის დიდრონი თეთრი მარცვლები ჯერ კიდევ გაუმდნარი მოფრქვეულიყო დაღვნილ ყვავილებზე და მზე მიმდგარი ფერდი, მიაგავდა მძივებით მორთულ ხევსურულ პერანგს. ცაზე ერთი ღრუბლის ფრთაც კი არ მოჩანდა, მზე დაბრძანებულიყო ბროლის მწვერვალზე, დედოფალივით ძონით მოსილი. ვედარასოდეს ვეღარ იხილავ.

რბილ სავარძელში მისვენებული მოხუცი ჭერს ასცქეროდა და თვალს მიაყოლებდა ლეგა ღრუბლებს, მთათა თხემებზე რომ მიჩქაროდნენ, მერე აიშალნენ ყვავები, ჩხავილით გადაუფრინეს მთას და ნისლებში ჩაიკარგნენ.

ველარასოდეს იხილავ: ვერც ნისლებს, ვერც ამწვანებულ იალაღებს, ბუნების დიად დღესასწაულებს, ბუნების ქორნილებს, მთიდან გადმოკიდულ თეთრ ჩანჩქერებს და ვერასოდეს ვეღარ მოისმენ ქარისგან მოტანილ სალამურის შორეულ ხმას.

მოხუცმა თავისი თავი დალანდა, ნელსხევით შიშველი მიადგა კლდეს, შემოუქნია წერაქვი. ვარსკვლავებივით აბრწყინდა და გაიფანტა მთის ბროლის ნამსხვრევები, თუ ეს შეეფობა აქაფებულ ჩქერალის ლოდებზე რომ მოთქარიალებდა?... ის მთელი ძალით გარბოდა მონყურებული. თეთრი ჩქერალი გადმოქუხდა ორად გაპობილ კლდის ნაპრალიდან და იგი გადაემხო აქაფებულ მორევს და ხარბად სვამდა ყინულივით ცივ წყალს. მერე იჯდა და სველ ნანწავებს ინურავდა, ლამაზი გოგო კი იყო.

ახლა მოხუცი ველკეთილზე მობიჯებდა, უზაროდა ჭაბუკური ძალა რომ დაბრუნებოდა. მდინარის პირას, არყის ხის ჩრდილში მიწვა. ცაში არნივები რიალებდნენ და რბილ სავარძელში გადაწოლილს მოხუცს რული ეკიდებოდა. მუჭაში მაგრად ჩაებლუჯა ჯადოსნური პანია ზარი. მოხუცს ნელ-ნელა დაუძმოდნენ ქუთუთოები და რბილ სავარძელში ტკბილად ჩაეძინა.

მოხუცის ქალიშვილი ქეთევანი და მისი მეუღლე ბატონი დავითი, დამნაშავეებივით ისხდნენ და მდუმარედ შესცქეროდნენ ერთმანეთს. ბავშვებიც გასუსულილიყვნენ.

კარის ზარმა დაიფრიალა, ისევ მეზობლები!

დილიდან არ წყდებოდა ზარის ხმა. მეზობლები შემოდიოდნენ ფრთხილად, ჩუმად, ფეხაკრეფით, უსიტყვოდ კოცნიდნენ ქეთევანს. ქალბატონი ქეთევანი პანია ცხვირსახოცი თ იმშრალეზა ცრემლებს. ქეთევანს მათი დუმილი, სკამებზე უძრავად ჯდომა უსიამოვნო გრძნობას

გვრიდა, შიში შეიპყრობდა ხოლმე, მწუხარება ეუფლებოდა. როცა მეზობლები გაიკრიფებოდნენ, ქეთევანი შვეებით ამოისუნთქავდა და მარტოდ დარჩენილი გაუთავებლდა ქვითინებდა.

— ნუ გეშინია! — აწყნარებდა მეუღლე, შენთვის არ შეიძლება აღელვება, თორემ წნევა ავიწვევს ხომ იცი.

— ღმერთო ეს რა დაგვემართა! ქეთევანმა ვარდისფერი აბები გადაყლაპა, წამოდგა და წმინდა სანთელი დაუნთო ღვთისმშობელს, ეს ხატი მამამისის ნაჩუქარი იყო. თაფლის სანთელი საამურ სურნელს აფრქვევდა, პატარა მოოქვრილი ხატი გაბრწყინებულიყო.

— შეატყობინე ნათესავებს?

— კი, სუყველას, შენსასაც და ჩემსას. სოფელშიც დავერეკე, შენუხდნენ ძალიან. კედლის საათმა ათჯერ ჩამორეკა, ბავშვები ზეზე წამოიჭრენ.

— რა იყო, რა ამბავია, რა მოხდა, რას წამოხტით?

მწყრალად იკითხა მამამ.

— მამიკო — ორივემ ერთდროულად შესძახეს მამას, შენ ხომ დაგვიპირდი, ხომ გახსოვს მამიკო, ნება მოგვეცი ტელევიზორი ჩავრთოთ, ჰარი პოტერს უჩვენებენ.

— დედა! შენც უთხარი რა მამას, გემუდარებით. ქალბატონმა კვლავ დაანთო სანთლები ღვთისმშობლის ხატის წინაშე და აქვითინებულმა, ჩამწყდარი ხმით შეეკითხა ბავშვებს: „რა? თქვენთვის ბაბუა არაფერს ნიშნავს?!“ ქალბატონმა ქეთევანმა მუხლი მოიყარა ღვთისმშობლის ხატის წინაშე და პირჯვარი ისახა.

— ნადით! — თქვა მამამ, მხოლოდ თქვენებურად არ ააღრილოთ, ცოტა ხმას დაუნეთ, გახსოვდეთ, რომ მარტო თქვენ არ ცხოვრობთ ამ სახლში. ბავშვები გავარდნენ დიდ ოთახში და ცოტა ხნის მერე ბინას მოედო მუსიკის ხმა. ბავშვები ტანის რხევით აჰყვნენ მათთვის ნაცნობ რიტმებს. უეცრად მუსიკა შეწყდა და წამით ჩამოვარდნილ სიჩუმეში გაისმა ბავშვების ხმამაღალი ჟივილ-ხივილი: „დედა, მოდი ჩქარა, მოდი მამა, მამა მოდი, ჩვენი ბაბუა იცინის“.

ცოლქმარი დიდ ოთახში შეცვივდა. ტელეკრანიდან ბაბუა იმზირებოდა, ვერ გაიგებდით ტიროდა თუ იცინოდა, დაბნეული აცეცებდა თვალებს, გაუნძრევლად იდგა, თმანჩიჩილი, მხრებანეული, ვინრო მხრებზე რუგზაკი ეკიდა, ჩანთიდან თავი ამოეყო ჟანგიან წერაქვს — დიქტორის ხმა კი ხმამაღლა განაგრძობდა: ეს მოხუცი მოიყვანეს მცხეთის პოლიციის განყოფილებიდან, მოხუცს არავითარი საბუთი არ აღმოაჩნდა, სახლის მისამართი კი არ ახსოვს, თუ ვინმეს გეცნობათ მოხუცი, გთხოვთ, მოაკითხოთ ან შეგვატყობინოთ მისი მისამართი და ჩვენ დავაბრუნებთ მას სახლში, ჩვენი ტელეფონის ნომერია... დიქტორი დადუმდა, წამით დაბნელდა და უშაღვე განათდა ეკრანი. გაისმა მუსიკის ხმა და ბავშვები სიხარულით შეეგებნენ ჰარი პოტერის გამოჩენას.



მწერალი



ზურაბ ლეჟავა:

„დიდად არც „ჩაყვინთვას“ განვიცდი და არც „ამოტივირებას“

ცოტა ხნის წინათ მწერალ ზურაბ ლეჟავას საქართველოში თითქმის არავინ იცნობდა. თითზე ჩამოსათვლელი იყო მისი შემოქმედების მკითხველიც, არადა, ათ წელიწადზე მეტია იბეჭდება, უფრო დიდი ხანი – წერს, თუმცა ვიდრე რამდენიმე გავლენიანმა ლიტერატორმა არ დაიძახა, — არიქა, თვითნაბადი ტალანტი გვყავს ცხვირწინ და ვერ ვამჩნევთო, მანამდე ყური არავინ შეიბერტყა. მერე კი, იცოცხლე — დაფასებაც მოვიდა, სქელტანიანი კრებულები და ლიტერატურული პრემიაც.

ორიოდე თვის წინათ „გალას“ გამარჯვებული გახდა. „ბავშვის ნაკბენი კარალიოკზე ოქტომბრის თვეში“ წლის საუკეთესო წიგნად აღიარეს. ეს მისი მოთხრობების პირველი სრული კრებულია, რომელშიც მწერლის ყველა მნიშვნელოვანი ტექსტი შევიდა: „იყიდეთ ჩვენი სულელები“, „მაცივარი სექსისა წილ“, „დიდი ჭუჭუა და პატარა ჭუჭუა“, „მილიონი ბედნიერება“, „მსტოვარი და მზვერავი“ და ბევრი სხვა. ამ უცნაური ამბების ავტორის შესახებ მკითხველს ალბათ ბევრი რამ აინტერესებს, მით უფრო, რომ პრესასთან ურთიერთობისგან წლების განმავლობაში თავს იკავებდა. როგორ მოვიდა ლიტერატურაში, სად პოულობს სიუჟეტებს თავისი მოთხრობებისთვის, როგორ მუშაობს ნაწარმოებზე — ამ და სხვა კითხვებზე პასუხებს თავად ზურაბ ლეჟავასგან მიიღებთ.

— წერა ჯერ კიდევ სკოლის ასაკში დავიწყე. პირველი მოთხრობა მასწავლებელზე დავწერე. მე-5-6 კლასში ვიქნებოდი, როდესაც მათემატიკის პედაგოგზე გაბრაზებულმა მოთხრობა გავაშინებდი. ამ ქალბატონმა სრულიად სამართლიანად დამსაჯა, მაგრამ იმ ასაკში ეს ცოტა რთული გასაანალიზებელი იყო, ამიტომ მისი გული არითმეტიკული ფორმულები ნაკრებად წარმოვადგინე. რა თქმა უნდა, მთავარ გმირს ნაწარმოები არ ნაუკითხავს, მე კი ამის შემდეგაც ვაგრძელებდი წერას. სხვათა შორის, ეს ჩანანერი არ შემომრჩა, თორემ სიამოვნებით გამოვაქვეყნებდი თავდაპირველი სახით. ამას გარდა, იყო დაუწერელი მოთხრობები, ერთ-ერთი ანეკდოტები — ვიგონებდი ამბებს ჩემს კლასელებზე, ვუყვებოდი და ვაცივებდი.

ტორების (პროზაიკოსების) ანთოლოგიის გამოცემას აპირებენ. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მწერლისთვის მხოლოდ ნაწარმოების შექმნა საკმარისი არ არის. გამომცემელთან ურთიერთობაც საჭიროა. ამ შემთხვევაში ეს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ აღმოჩნდა, რომელთანაც, მგონი, წარმატებით ვთანამშრომლობ.

— თქვენი მოთხრობები გამორჩეულად ორიგინალური სიუჟეტები აქვს. საიდან მოგაქვთ ეს ამბები?

— ნაწილი ცხოვრებიდანაა აღებული, ნაწილი — სხვათა გამოცდილებიდან, ნაწილი — ჩემი ფანტაზიის ნაყოფია. ვიყენებ ხოლმე რეალურ პერსონაჟებსაც, მაგრამ ეს ყველაფერი იმდენად განზოგადებულია, მაგანმა ამ პერსონაჟში საკუთარი თავი რომც იცნოს, არ ეჩივება.

— სულ მგონია, რომ მოთხრობა „მსტოვარი და მზვერავი“ მამა ბასილის მრევლზეა დაწერილი.

— რასაკვირველია. სხვათა შორის, ამ მოთხრობის ერთ-ერთი მთავარი გმირი, ოლიმპიოზი ახალ წიგნშიც ფიგურირებს. არის კიდევ ერთი პერსონაჟი, ვარშაკ კარაპეტროვი, რომელიც ასევე გადაწყავს სხვა მოთხრობაში.

— ანუ, თქვენი პერსონაჟები მოთხრობის დასრულებასთან ერთად არსებობს არ წყვეტენ?

— რა თქმა უნდა, არა. ისევე, როგორც ბალზატან ან ფოლკნერთან, ჩემი გმირებიც მოგზაურობენ ერთი მოთხრობიდან მეორეში, ოღონდ, თუ საჭიროება მოითხოვს.

— და ვითარდებიან?

— არ ვიცი, შეიძლება დეგრადირებენ კიდევ. ერთდროულად პერსონაჟი შეიძლება შინაარსობრივად განსხვავებული რამდენიმე მოთხრობაში გამოვიყენო.

— მიუხედავად იმისა, რომ არცთუ ცოტა ხანია წერთ და რამდენიმე წიგნის ავტორიც ხართ, აღიარებთ მოგვიანებით მოვიდა. უფრო ზუსტად კი, ბოლო ერთი წლის განმავლობაში. თქვენი გამარჯვება „გალაზე“ ბევრი მწერლისთვისაც მოულოდნელობა იყო, რომ არაფერი ვთქვათ მკითხველზე, გამომდინარე იქიდან, რომ თქვენს შესახებ არც კი გაუგიათ. რას მივანეროთ ეს?

— ეს, ალბათ, რამდენიმე გარემოების ბრალია, ყველაფერთან ერთად, ჩემიც, რადგან აქამდე რატიონალურად თავს ვარიტყვდი საჯარო ურთიერთობებს, საკუთარი თავის წარმოჩენას და ვცდილობდი მკითხველთან კონტაქტი მხოლოდ ნაწარმოებებით მიქონოდა. გარკვეულ ეტაპზე მივხვდი, რომ გადაამეტებული ჩაკეტილობა პოზიორობაში გადადის და გამაღიზიანებელია. თუმცა ეს ერთადერთი მიზეზი არ იყო. უბრალოდ, ყველაფერს აქვს თავისი დრო, რომელიც საკუთარ პირობებს გვთავაზობს. ამ ეტაპზე, შეიძლება ითქვას, ცოტათი „ამოვტივტივდი“, მერე შეიძლება ისევე „ჩაყვინთო“.

— რამდენად სასიამოვნო აღმოჩნდა „ამოტივირება“?

— ჩემიანრი ადამიანი დიდად არც „ჩაყვინთვას“ განიცდის და არც „ამოტივირებას“. ანუ, მე ვარ ისეთი, როგორც ვარ და ყველაფერი დანარჩენი განგების ნებაა.

— თუ გყავთ განსაზღვრული თქვენი მკითხველი, თქვენი აუდიტორია, ვისთვისაც წერთ?

— რაც შეეხება მკითხველს და საერთოდ, შემფასებელს, ერთ მაგალითს მოგიყვანთ. არ ვიცი, იცით თუ არა, რომ წერის გარდა ვხატავ და ქანდაკებებსაც ვაკეთებ. ხშირად ვთლი ხოლომე ხის პატარა ფიგურებს. ზოგი მათგანი ნამდვილი ხელოვნების ნიმუშია, ზოგი, უბრალოდ, ხელოსნის ნამუშევარი. მათი გარჩევა, ერთი შეხედვით, რთულია, თუმცა კარგი შემფასებელი ღირებულს მაშინვე გამოარჩევს. სხვათა შორის, აუცილებელი არ არის, ასეთი ადამიანი მაინცდამაინც ხელოვნებათ-

მცოდნე იყოს, ზოგჯერ არაპროფესიონალს უფრო მახვილი თვალი აქვს. ასეა მწერლობაშიც, იმ განსხვავებით, რომ საქმე აქ უფრო რთულადაა: თუ ქანდაკების ტირაჟირება შეიძლება, მწერლობაში ანალოგიურად ვერ მოიქცევი. ერთსადაიმავს ვერ ატორიალებ, რადგან მკითხველი მაშინვე მიგიხვდება ეშმაკობას და ნიგნს გვერდზე გადადებს. რაც შეეხება იმას, ვისთვის ვწერ, მინდა გითხრა, რომ მე არ ვწერ ამათუიმ კატეგორიის მკითხველისთვის. ზოგს მოსწონს ჩემი ნაწერები, ზოგს — არა და ეს სულაც არ არის საწყენი. თითოეულ ადამიანს ავტორთა საკუთარი „წრე“ ჰყავს, რომელიც მისთვის მისაღები და ახლოვდება. ასე რომ, მე ვწერ და თუ ვინმეს არ მოსწონს — ნუ მოეწონება, მისი ნებაა.

— თქვენს შესახებ ამბობენ, რომ გაქვთ ძალზე მდიდარი ფანტაზია, ექსპრესიული თხრობის მანერა, მაგრამ ვერ ფლობთ ქართულს, ცუდი ქართულით წერთ.

— ეს სრული აბსურდია და აგიხსნით რატომაც. მათ, ვისაც მსგავსი პრეტენზია აქვს ჩემს ნაწერებთან დაკავშირებით, ვთავაზობ, აიღონ ნებისმიერი ტექსტი, წინადადება და თუ დამიმტკიცებენ, რომ გაუმართავი ქართულით ვწერ, მაღლობას მოვახსენებ სამართლიანი შენიშვნისთვის. ასეთი მოსაზრება პირადად ჩემთვისაც უთქვამთ, მაგრამ ვერ დაუსაბუთებიათ.

ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო: რამდენიმე მწერალი ვსაუბრობდით. ერთ-ერთი ჩემი ბავშვობის მეგობარი იყო, ცნობილი ავტორი. სწორედ მან „დამადანამაულა“ ქართულის უცოდინრობაში, რაც რუსეთში ხანგრძლივად ცხოვრებით ახსნა, — შენს ნაწერში რუსული წინადადებები გავლენა იგრძნობაო. მე ვუპასუხე, რომ გავლენა შეიძლება იყოს, რადგან ქართული, ისევე, როგორც ნებისმიერი ცოცხალი ენა, ვითარდება. ენა, რომელიც სხვა ენების გავლენას არ განიცდის, მკვდარია. დღევანდელი ქართული სრულიადაა არ ჰგავს ილიასა და აკაკის ეპოქის ენას, ილიასა და აკაკისდროინდელი მეტყველება კი — რუსთაველისას. ბუნებრივია, მომავლის მწერლების ენა კიდევ უფრო განსხვავებული იქნება და ეს სრულიად ნორმალური მოვლენაა. რაც შეეხება რუსულის გავლენას, არ უარყოფ და მოხარულიც ვარ, თუ ეს ასეა, რადგან რუსული ძალზე მდიდარი და მოლტვიტი მოქნილი ენაა, ისევე, როგორც ქართული და თუ კარგს გამოვიღებთ სხვა ენებიდან, ამაში ცუდი არაფერია. ისევე ჩემი მეგობრის თემას დაგუბავს მკითხველი. შევთავაზე, გადმოგველო ჩემი რომელიმე ნაწერი და ექსპერიმენტის სახით გავკვირნია. თამამად დამისახება რამდენიმე აბზაც ერთ-ერთი მოთხრობიდან. კარგა ხანს ვიტყვამათო. ის თავისას ამტკიცებდა, მე — ჩემსას. ბოლოს დამეთანხმა, რომ მართალი ვიყავი. ასეთი მიდგომა გამართლებულად არ მიმაჩნია, რადგან ყველა ავტორს შეიძლება ნაუყვრო პრეტენზია, ისევე, როგორც თავის დროზე ჩვენს კლასიკოსებს ადამიანებსა და ენის დამახინჯებაში, მაგრამ ესეც ჩვეულებრივი ამბავია. ვერ ვიტყვი, რომ ძალიან მანუხებს მსგავსი დამოკიდებულება ჩემი ტექსტებისადმი. ფაქტია, ჯერჯერობით ამაში ვერავინ დამარწმუნა.

— სლენგთან დაკავშირებით რას იტყვით? თქვენს ნაწერებში დიდი დოზით გვხვდება ქუჩური მეტყველება, განსაკუთრებით თვალშისაცემია ე.წ. რუსული ჟარგონი. ბევრისთვის ეს სრულიად მიუღებელია და ენის დაბინძურებად მიიჩნევენ.

— გეთანხმებით, სლენგი ბევრია, მაგრამ რაც არის — საჭიროა. არიან ავტორები, რომლებიც ასეთი გამოთქმებით შეგნებულად ამძაფრებენ ნაწარმოებს და უფრო პიკანტურს ხდიან, მე კი — პირიქით, ყველანაირად ვცდილობ შევარბილო

უხეში ფორმით ნათქვამი, მაგრამ ამის მიუხედავად, ზოგჯერ სლენგი აუცილებელია, რადგან სხვანაირად პერსონაჟის ხასიათი არ ეწყობა. ასეთ დროს გმირის სასარგებლოდ ვმოქმედებ და ჟარგონს არ ვერიდებ.

— მწერლები ყოველთვის სხვადასხვანაირად აღიქვამენ ხოლმე ლიტერატურის კრიტიკოსთა შეფასებებს. ზოგიერთი კრიტიკოსი ძალზე მტკივნეულად იღებს, ზოგი კი საერთოდ არ რეაგირებს. მავანისთვის არც ქებას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. თქვენს შემთხვევაში რა ხდება, თუ ინტერესდებით, რას წერს ან რას წერდა ლიტერატურული კრიტიკა თქვენს მოთხრობებზე?

— კრიტიკა ძირითადად დუმდა. ერთხელ დაწერა კრიტიკული წერილი. ავტორი მანდილოსანი გახლდათ, რომელიც ჩემს შემოქმედებაზე ირონიულად საუბრობდა, მაგრამ ჩემი აზრით, ეს უსაფუძვლო ირონია იყო. რასაკვირველია, ასეთი დამოკიდებულება კმაყოფილს არავის ტოვებს, მაგრამ თუ კრიტიკა საფუძვლიანია, არ უნდა გენყინოს.

— ამას წინათ ზაზა ბურჭულაძემ გამოაქვეყნა რეცენზია თქვენს ბოლო კრებულზე, სადაც „ქართული პროზის ფილოსოფია“ გინობდათ. გაცინობდათ?

— წინააღმდეგი არ ვიქნები, თუ ვინმე ასე შემაფასებს. ძალიან გამიხარდება, თუ შემადარებენ ვაჟას, ილიას, კონსტანტინე გამსახურდიას და ბევრ ჩემს საყვარელ მწერალს. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით.

— როგორ მუშაობთ ნაწარმოებზე?

— კონკრეტული რეცეპტი არ მაქვს.

შეიძლება უცებ, ერთი ამოსულთქვით დავწერო მოთხრობა, მაგრამ ისეც ხდება, რომ ვწერ, ვწერ და არაფერი გამოდის. ვჯახირობ, ერთი სიტყვით. ასეთ დროს წერას თავს ვანებებ და სხვა საქმეზე გადავდივარ. ძირითადად კი ჩემი ნაწერები სწრაფად იქმნება, ხანდახან აზრი იმე გარბის, კალამი ძლივს ეწევა, თუმცა უკვე დაწერილი სიუჟეტს ათასნაირად ვაშალავინებ. თითო მოთხრობას შვიდი, რვა, ხანდახან ათი ვარიანტიც აქვს, მაგრამ ეს ყველაფერი წყალივით უნდა მიიღოდეს. ტექსტი ხელოვნურად განვალღი, თითოდან გამოიწვიო და ნაწევლები არ უნდა იყოს, რადგან ეს ნაწარმოებს მაშინვე ეტყობა და არაბუნებრივია. ჩემს მოთხრობებს ნვალღების კვალი არ ემჩნევა, მაგრამ ის კი იგრძნობა, რომ შრომაა ჩადებული. ეს ორი სიტყვა არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან: „შრომა“ — ნორმალურია და მისაღები ადამიანისთვის, „წვალება“ კი ჭაჭანყვეტასა და სიმძიმეს უკავშირდება, რაც ნაკლებად სასიამოვნოა.

— წლებანდელი წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა თქვენს ბიოგრაფიაში: ჯერ „საბას“ ნომინანტი იყავით, მერე „გალაზე“, „წლის წიგნის“ ტიტულის მფლობელი გახდით. ელოდით გამარჯვებას?

— ველოდო, რატომაც არა. ფინალისტი რომ შევიქნე, ესეც ხომ წარმატებაა. მინდა მივულოცო „საბაზე“ გამარჯვებულ კოტე ჯანდიერს, რომლის შემოქმედებასაც ძალიან ვაფასებ. რადგან კონკურსებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ერთი იდეა მინდა მივანოლო ორგანიზატორებს: არ მიმაჩნია სწორად, როდესაც პრიზით გათვალისწინებულ მთელ თანხას ერთ ადამიანს აძლევენ, დანარჩენები კი ისე რჩებიან. ჩემი აზრით, თითოეულ ნომინაციაში სამი საპრიზო ადგილი უნდა იყოს განსაზღვრული და ფულადი ჯილდოც შესაბამისად განაწილდეს. კარგი იქნება, თუ კონკურსების ორგანიზატორები ამ მოსაზრებას გაითვალისწინებენ.

აზიზ ნესინი

ფხანა ქეცმა იცისო, შემოგვძახებს მე-19 საუკუნიდან დიდი ილია და სამოქმედო პროგრამასაც შემოგვთავაზებს. საზოგადო ქირი რომ მართოდ გულის ფხანით არ იკურნება, ეს პროგრესულმა თურქმა მწერლებმაც მშენებრად იცოდნენ. თავიანთი გეგმებიც ჰქონდათ და ცხოვრების საუკეთესო წლებსაც ხშირად ცხებებში ატარებდნენ.

ასე განვლო მე-20 საუკუნე. წერდნენ და აქვეყნებდნენ, გულს დაოსებამდე იფხანდნენ და შიგადაშიგ თურქულ საპყრობილებშიც "ისვენებდნენ". არც სიცივე აშინებდათ, არც შიმშილი და სნეულება. საზოგადო საქმისთვის იღწვოდნენ და ადამიანის ზნეობრივ განკურნებას ესწრაფოდნენ.

აზიზ ნესინი (1915-1995) ამ მწერალთა გრძელი სიის სათავეში, როგორც სოციალურ-პოლიტიკური სატირის ოსტატი, მოღვაწეობის პირველსავე წლებში აღმოჩნდა. შემთხვევით როდი აირჩია არაერთი ნოველისა თუ ჩანახატის ავტორმა ლიტერატურულ ფსევდონიმად "ნესინი", რომლის ზუსტი თარგმანია: - "რა ხარ?"

"ვიმედოვნებ, ყოველთვის, როცა ხალხი ამ გვართ მომართავს, დაეფიქრებო, რა ვარ და ვინ ვარ", - შენიშნავდა მწერალი ერთ-ერთ პუბლიკაციაში.

თურქ მწერალთა ძალისხმევას უქმად არ ჩაუვლია. სწორედ მწერლობას მიუძღვის ლომის წილი ქვეყნის ურთულესი კრიზისიდან გამოყვანაში, ეკონომიკური სიდუხჭირიდან თავის დაღწევაში, პოლიტიკური და სოციალური ორიენტაციების განსაზღვრაში. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან მათ მიერ მონიშნულმა ვექტორებმა თურქეთი პროგრესის გზაზე გაიყვანა, მსოფლიო თანამეგობრობაში ერთ-ერთი მონიშნავ სახელმწიფოს იმიჯი დაუმკვიდრა, ქვეყნისა, რომელიც თამამად და ბეჯითად იღწვის ევროსტრუქტურებში ინტეგრირების დასაჩქარებლად.

მთარგმნელისგან



ჰასან ბაბას შადრევანი

მაბდილაზი მოსანვევს როგორც კი თვალი ვკიდევ: - "ისევ ქორწინობი, ხელის-მონერაზე თუ მეპატრიარქობიან, ფული მექნება დასადები," - გავიფიქრე და ხასიათი წამიხდა.

მოსანვევი გაუშალე და ტექსტი გადავიკითხე: "ძვირფასო ბატონო... გთხოვთ, პატივი დაგვდოთ და გვეწვიოთ ჰორბორდში, სელიმე ხათუნის ჩიხში, ისტორიკოს ჰასან ბაბას შადრევანის ხალხის სამსახურში ჩადგომის ცერემონიაზე. თარიღი..."

ცხოვრებაში არ დაგსწრებიავრც მსგავსი ღონისძიებას და დანიშნულ დღეს, აღნიშნულ მისამართზე გავედი. ქუჩა ანკარადან ჩამოსული ცნობილი ადამიანებითა და მათ სანახავად თავმოყრილი წვრილფეხობით გასცხებულნიყ.

ყველანი აქ იყვნენ: სახელოვანი პიროვნებები, სახელოვან ადამიანთა მანქანები, ნაკლებ ჩინებული, ასევე, გაცილებით ნაკლებად ცნობილი სახეები, მწერლები, ჟურნალისტები. ყველაზე ბოლოს კი უცნობი, მაგრამ ცნობადობისთვის მოჩალიჩე ვიღაც ტიპები.

ხალხმრავლობაში შადრევანამდე ძლივს მივალნიე. ოთხუთხა ქვა... ზემოდან თუთით მოპირკეთებული. უზარმაზარი ლოდისაგან გამოჩორკნილი წყლის ავზი და სპირალივით დაგრეხილი ონკანი...

შადრევანზე მიმაგრებულ მარმარილოს დაფაზე ამოკანრული ოსმალური წარწერა გვაძინობდა:

"თქვენს წინაშე აღმდგარი ფერფლით, შადრევანი ღვინოსავით განმწმენდი სითხით..."

გადანონისო, ნათქვამია, ორჯერ პურს წყალი.

ბაბა ჰასანმა შეუკვეთა ეს შადრევანი, მესტორიეს ხოტბას ასხამს პოეტი, სიკვდილამდე გემახსოვრება წყალი დეტიური!"

ცოტა ქვემოთ კი მოქროვილი ლათინური დამწერლობა გვაუწყებდა:

"ან განსვენებულ ჰასან ბაბას შადრევანი, ის, მიერ ეპოქაში და პატივცემულ ვალის დროს ხალხისთვის გაიხსნა.

თარიღი"

ცემენტი შევსილა აუზთან მდგომმა სახელოვანმა მეცნიერმა, საათი და თხუთმეტი წუთი შადრევანის დაარსების ისტორია მოკლედ მიმოიხილა. პირველი შადრევანის მოძიების, ანუ აღმოჩენის თაობაზე საკმაოდ ბუნდოვნად ილაპარაკა. შადრევანის დამარსებლის, ჰასან ბაბას ბიოგრაფია გავაცანო და სიტყვა ცნობილ მწერალს გადასცა. მანაც, მთელი ორი საათი, შადრევანზე მიმაგრებული მარმარილოს დაფის უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეულ სახობო ლექსის შემქმნელის ცხოვრებაზე რაღაც-რაღაცები იბჭუტურა. მერე კი ტრიბუნა ეკონომიკა და პოლიტიკის მამად ნოდებულ ერთ-ერთ მომხსენებელს დაუთმო დიდსულოვანად. გამომსვლელმა რიხიანად შესძახა:

- თანამემამულენო!...

უსაგნო მრავალსიტყვაობით როდი წაგართმევთ ესოდენ ძვირფას დროს. ყველამ იცის, რაოდენ მნიშვნელოვანს, საქვეყნო საქმეებს ვართ შეჭიდებულნი. ციფრები ამაზე თავად მეტყველებს. ქვეყნის ეკონომიკა რომ ჩავიზარეთ, წელიწადში მხოლოდ ორას შვიდი ათას სამას ათი თუნუქის წვიმის ღარები გექონდა. წლიური ნალექების რაოდენობა, პროგრამული მუშაობის შედეგად, ასევე გაიზარდა. გასულ წელს მილიონ ოთხას ოცდაცხრამეტი ათას ას ცამეტი ვედრო ნალექი, რაციონალური მიდგომით, ასევე გაეზარდა. მომავალშიც არ დაგაკლებთ ძალისხმევას. მომდევნო წლის

პროგრამით ორი მილიონ ოთხას ოთხმოცდა თერთმეტი ათას სამას თექვსმეტი ვედრო ნალექის მიღება განზრახული. პატივცემული ოპოზიცია გაყვირის, ნასვრეტებიანი ვედროები შემოგვაჩვენესო. არ დაიჯეროთ, ბატონებო, ეს მტკნარი სიცრუე! სრულიად სხვას ცხადყოფს ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას ასოთხმოცდათვრამეტი ნასვრეტის შესაკეთებლად გამოყოფილი ოთხას თვრამეტი ტონა სარჩოლავი, ცხრაას ხუთი ყალიბი. მას მერე, რაც ამ ვაჭბატონებისგან ხელისუფლება ჩავიზარეთ, შვიდას ათი ტონა მარლი მარტოოდენ უანზე გაიხარჯა.

უწინ მხოლოდ შვიდას თხუთმეტი ათას ას რვა შადრევანი მოქმედებდა. აქედან ას ცხრამეტი ათას ოცდაცამეტს ონკანი საერთოდ არ ჰქონდა. ოთხმოცდათოთხმეტი ათასიდან სპილენძი მოიპარეს. ორას ხუთ ათასში წყალი დამრა. ყველა შადრევანი შევაკეთეთ. ამასთან, ცხრაას სამოცდაცხრამეტი ათას ორას სამოცდა ექვსი შადრევანი განვახლებთ, ორას ოთხმოცდა თექვსმეტი ათას ოცდათერთმეტი შადრევანი კი უწინდელი სახით აღვადგინეთ. გეგმაში გვაქვს ცხრაას ათი ათას სამოცდაექვსი ახალი შადრევანის გაკეთება. სამ წელიწადში სულ 31 მილიონი შადრევანი გვექნება.

ბატონებო!

დღეს ჩვენ მიერ გახსნილი შადრევანის შესაკეთებლად ორას ოთხმოცდა ჩვიდმეტი ათასი ტონა ცემენტი, ოთხას ოთხმოცდა ათი ათასი მანქანა ხრეში, ორას ოთხმოცდა ათი ათასი ვაგონი ქვიშა დაიხარჯა. ოთხას სამოცდა ჩვიდმეტი ათასი პერსონალი ექვსი თვე და სამი კვირა, ოთხი დღე-ღამის განმავლობაში კი 3,5 საათი ღამითაც მუშაობდა. მე მხოლოდ ნაღდ ციფრებს მოგახსენებ. ამ შადრევანიდან დღეში შვიდას ორმოცდა თექვსმეტი ათას ბიღონ წყალს მივიღებთ, ყოველ წელს რენტაბელობა ხუთი პროცენტით გაიზარდება. ორას თექვსმეტი ათას ას სამოცდა თოთხმეტი ... 20 მილიონ 519 000, 384 ... 446 მილიარდ 197 მილიონ 384 ათას 535.....706 ტრილიონი...

ციფრებით თავს არ შეგანყენთ:

..... ახლა სიტყვას გადავცემ ბატონ ... ს! თქვა რიცხვებით აულურტულუმმა მომხსენებელმა და ტრიბუნა დატოვა.

ციფრებით თავგზააბნეულმა, თავბრუდახვეულმა მსმენელმა: - ახლა კი გვემველაო, გაიფიქრა და გამომსვლელი მქუხარე ტაშით გააცოლა.

ტრიბუნაზე ასულმა ორატორმა დამსწრე საზოგადოებას მიმართა:

- თანამემამულენო! ...

დღევანდელი ზიმი ჰასან ბაბას წმინდა წყლის გახსნას ეძღვნება. ჩვენი მოქალაქეები სულ მალე შხაპუნ-შხაპუნით გაგრილდებიან და უკვდავების წყლით ჩიარაკრაკებენ პირს.

მღელვარე გამოსვლის შემდეგ რაიონის ყველაზე დიდი ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელმა ჯიბიდან მაკრატელი ამოაცურა და ლენტი ფრთხილად გაჭრა. მერე კი შადრევანის ონკანი გახსნა და ონკანიდან: ... ხრო... ხრო... ხროხროხრო ხრიალი მოისმა. ყველამ ერთმანეთს გადახედა. ხალხი აჩოჩოლდა. ტელეფონს ეცნენ. ბოლოს, როგორც იქნა, გაარქვიეს - მთავარი მილი დაზიანებულა; თანაც, საკმარისად არ უწვია; თავსხმა არ ყოფილა. მყისვე სახანძროს დაუკავშირდნენ. მეხანძრეებმა სულზე მოგვისწრეს და გრძელხორთუმიანი სარწყავით ზღვიდან ამოქაჩული წყალი პირდაპირ აუზს მიუშვეს. აუზი გაივსო და წყალიც ონკანიდან რაკრაკით დაიძრა.

შურნალის სახელწოდება

მართლაც რომ აჩქარებულ ეპოქაში ვცხოვრობთ. ვერც პრესის კანონის გაცნობას ვასწრებთ და ვერც სისხლის სა-

მართლის კოდექსს ვავლებთ თვალს... არ ჩაიდიო! არ გააკეთო!... ასე არ მოიქცეო, გვაფრთხილებენ, ჩვენ კი პირზე დუჟმორეული:

- ლაჩრებო! მივაძახებთ და გავივლით.

გაზეთის მონიშნავ სტატიებში ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების კორიანტელს ვაყენებდით: "ბატონებო!" "ბატონებო!"... ჩვენ ვერ დავგამინებთ... "რაღაც-რაღაცების მერე, სტატიის დასასრულს კი, ომბიანად შევძახებდით: "ჩვენ თვალს არ ვარიდებთ რეზინის ხელჯოხებს!" ნიწინადებდაში "თვალ" სიტყვის პირველსავე "თ"-ს, ასო "რ" -ს თუ შევანაცვლებდით, განა "რვალი" არ გამოვიდოდა? ჩვენი ჯგუფიდან ერთ-ერთი გვანუგებებდა:

- რას დარღობთ, მკითხველმა რა იცის, რომელი ჩვენგანი წერს, ხელჯოხებისა არ გვემინიაო...

- ვერ დავგაპინებთ! ვერ დავგატერორებენ!

ნათქვამია, ბატონო ჩემო, - აღმართს დაღმართი მოსდევსო, ჰოდა, რვალისა რა მოგახსენოთ და, ჟრუნის წინაღობით კი დაგვფანტეს.

სამწიფა შემოვრჩით ექსპონატივით. დარდებს საღამოობით, ბეიოდლუს დუქნებში ვიქარვებდით. მერწმუნეთ, ცხოვრებას აზრი დაეკარგებოდა, რომ არა მსგავსი თავდავიწყება.

ერთმანეთს ფულის საშოვნელად და ჟურნალის ხელახლა გამოსაცემად კი შევუვლიდით ხოლმე, მაგრამ რა! ჯიბეში, ყურუში რა არის, გახვრეტილი ყურუშიც არ გვიჩხრიალბდა: ერთი შეგვიპირდა:

- ხვალ საღამოს კაცს მოვიყვან, ჟურნალის გამოსაცემ ფულს გვიშოვის.

გავიხარეთ. მეორე დღეს კიდევ უფრო ძვირადღირებულ დუქანს, "დექტარს" მივადექით. უცნობმაც არ დააყოვნა, დროზე გამოჩნდა. თორმეტი წლისას ლაპარაკი დაეწყო, თოთხმეტი წლისას ფეხი აედგა. თვრამეტი წლისა კი დედის მკერდიდან ძლივს აეგლეჯათ. ძუძუს ნოვა დიდი გაჭირვებით მიუტოვებია. დააკაცებულა და, ბაკუნ-ბაკუნით მთელი დუქნები შემოუვლია. ყმანვილი აზრზე არ იყო, რა ჟურნალი გვინდოდა.

ჟურნალის ხარისხზე, ფორმატზე, ტირაჟზე ვილაპარაკეთ. ბოლოს სახელწოდებას მივადექით:

- ჟურნალს რა ვუნდოთ? - ვეკითხები.

იდაყვებით სასმელებით გასცხებულ მაგიდას დაეყრდნო, ხელი საფეთქელთან მიიტანა, რომანტიკული პოზა მიიღო, მეოცნებე თვალები რაქის ბოთლს მიაპყრო და ჰარემის ტანკენარი ჩერქეზი გოგოს ხმით:

- "სუბული!" ... ნამოიძახა.

სიცილი დავაყარეთ. ჩვენგან ერთერთმა, ტემპერამენტიანმა პოეტმა: "სუბლის ოფლი!"... "სუბლის ოფლი" კარგი იქნება - წამოიყვირა. თითქოს ოფლის სუნი ეცაო, ყმანვილს სახე დაემანჭა. მერე კი:

- "ყვავილი!" ... შემოგვთავაზა. ერთმანეთს არ ვაცვლიდით. სახელწოდებების ზედახორა დავაყენებთ:

- "მუშტი!" ...

- "არეულბა!" ...

- "ბრძოლა!" ...

- "ნიწი!" ...

ამგვარ შეჯიბრში რომ ვიყავით, ყმანვილმა დაიჟინა:

- "მე თაიფულს" გირჩევდით.

- "ბუკეტი" როგორ მოგწონთ?

- "პატარძალი", "ლალი"!

ამბობდა და ახალ-ახალ იდეებს გვთავაზობდა.

მესამე ბოთლის მერე სახე დაეფოთლა, განითლდა, მაგიდას ხელი დაჰკრა და

შეჰყვირა: - "მუშტი" არ გამაგონოთ.

ერთმა, უნივერსიტეტში ასისტენტის თანამდებობა რომ ეკავა, ყმანვილს ფიანა შეაჩქრა და: - "ალი" როგორ მოგწონთ, ბატონებო?" იკითხა. ეს ფიანაც რომ დააგემოვნა, თვალის კვესებით: - "ნაპერწკალი" საუკეთესო ვარიანტია, შესძახა. კიდევ რომ გადაყურნა: - "ხანძარი!"... დაიღრიალა. აქ კი ყველანი გავისუსეთ. ხვალაც ამ ადგილას შევიკრიბოთ, დავთქვით და დავიშალეთ. ის ღამეც სახელწოდების ძიებით დაიწყო. ახლად მოვლენილმა ძმაცაცმა შემოგვთავაზა: - "მე მიხაკს" გირჩევთ, ჟურნალს ერთობ დამშვენებოდა.

- თქვენ წარმოიდგინეთ, ფიანები კვლავ ხელიდან ხელში გადადიოდა.

- "მე განგამი" მირჩევია.

ერთი ფიანაც და: - "ბრონეული" როგორ მოგწონთ?

სმა გახურდა: - "ბრონეულსაც" განვიხილავთ...

შემდეგი ღამეც სახელწოდების ძიებაში გაილია.

- ვფიქრობ, "ლალი" ურიგო არ იქნება, წამოიძახა რომელიღაცამ. მერე მაგიდიდან წამოხტა და: "ცეცხლი!" დაიღრიალა.

ყოველ ღამე "ნექტარსაც" ვუთანხმებდით ერთმანეთს. ის მაგიდასთან იჯდა და ყვავილის სახელწოდებით იწყებდა, მერე დროდადრო წამოხტებოდა და: - "გულკანი!" ... ანდა "პური!"... აყრანტალბებდა.

სახელწოდების ძიებამ მთელი თვე გასტანა... დუქნის ფული ყოველ ღამე ჩვენი ჯიბიდან გადიოდა. ის კი ჟურნალის გამოსაცემად დაპირებულ თანხას, ხუთას ლირას არა და არ კისრულობდა.

- ძმებო! - ამბობდა. უპირველეს ყოვლისა, სახელწოდება უნდა ვიპოვოთ, სახელწოდებაა არსებითი...

ვერც სახელწოდებას მივაგენით და ვერც ჟურნალი გამოვეციით.

მას მერე ოცი წელი მიილია. გამობდა ხანი და ასისტენტმა ძმაცაცმა უნივერსიტეტში პროფესორის ადგილი დაიკავა, პოეტი სახელმწიფო სამსახურში ჩადგა, მხატვარი დაოჯახდა. მე, უფლის ნებით, მსგავსი არაფერი ჩამიდენია. დუქნებიც გადამავიწყდა ...

გასულ ღამეს მეგობარმა დუქანში დამაპატიჟა. მეზობელ მაგიდას შეზარბოშებული მოქვიანი შემოსხმოდნენ. ერთმა, უკვე გვარიანად მაძლავდა: "პური!" "პურს" გთავაზობთ სახელწოდებად, დაიღრიალა. ხმა მეცნო, თითქოს სახეზეც მეცნაურა.

- "ძახილი", ძმაო, ყველას "ძახილი" ჯობია.

- არ იცნობ? - მკითხა მეგობარმა. ყოველ ღამე ასე დუქან-დუქან დადის. სანყალი, ნახევრად შეშლილია. ამას რომ ამბობდა:

- "ბომბი!" ბომბი საუკეთესო ვარიანტია - დაიღრიალა. მერე კი ამაყად დასძინა: - ჟურნალი უნდა გამოვიდეს... სახელწოდებას ვეძებთ.

სუფრიდან რომ ვდგებოდი, გავიგონე, ბომბი, როგორ ღრიალებდა, მისი ამფსონები კი სასმელის ფულს იხდიდნენ.

- ეშმაკად დალაზეროს! ამასაც საქმე უშოვია, საარსებო წყაროსთვის მიუგნია. ჩუმად, ჩემთვის ჩავილაპარაკე.

ყასის დარღობა

შინ თუ მოგებრდა, ადექი და ქუჩაში გადი, ვინმე შეგხვდება და ლაყბობას მაინც გადააყოლებ გულს ... ერთ დღესაც, ცოტას გავერთობო, გაიფიქრა, მაგრამ ყველაფერი თავდაყირა დადგა. დილით ყავა ვერ დალია.

- ერთი კვირაა ყავა არ დამილევია,

აბუზლუნდა, ფული არ არის და, რა ოხრობით იყიდის...
 -კვირა დღეა და, ბარემ ვიბანავებო, გაივლო გულში, მაგრამ...
 -რას იბანავებ, გაზია გადაჭრილი...
 -ღმერთო დიდებული! აღმოხდა და გაზეთი გაშალა. სახლის პატრონი მიადგა. თვის გასვლას ათი დღე აკლდა, მაგრამ თადარიგი ადრიად დაეჭირა. ნამოხტა და ქურაში გავარდა. თავისთვის ალაპარაკდა:
 -ოი, ალაპ! ამდენი ვისნავე, თექვსმეტი წელი იდაყვები ვადავიტყავე, აქეთ მამაჩემი, იქით სკოლა... ქურაში იმუშავე, სახლში იმუშავე... მერე კვირაში ერთხელ კინო, თეატრი, მთელი წელი ერთ ტანსაცმელში გაატარე. ახლა ამ ყველაფერს სინათლის, გაზის გადაჭრაც დაუმატე? მერე სახლის პატრონის შეკითხვები, ზნეობის, ნამუსის გაკვეთილები, ჰა, როგორია!
 ლაპარაკ-ლაპარაკში ყასაბ სელიმს მიადგა:
 -გამარჯობა, სელიმ ბეი, როგორ გიკითხობ?
 -ნუ მკითხავ, მუმთაზ ბეი, ცუდად, ცუდად!... იმდენი სადარდელი მაქვს, ძმაო, გეფიცები, თავი მომბეზრდა!
 -"ეჰ, დარდს რა გამოლევს", ოხერას ამოაყვალა და კვლავ მიუბრუნდა:
 -შენ რა, ბინის ქირა გაქვს გადასახდელი, თუ ზამთარში სახლი ვერ გაგიტობია?
 -რას ამბობ, ღვთის მადლით მსგავსი არაფერი. ოსმანბეიში სახლი გვაქვს... თითქოს მდგომარეობა არ გვაკლია, მაგრამ ჩემდა ჭირად ემშაკმა მაცდუნა და ერთი სახლის აშენებაც ათათურქის ბულვარზე გადავწყვიტე. ეჰ, ნეტა მშენებლობა არ დამეწყვიტა. ხომ იცი, ძმაო, მუშებს ამქვეყნად ვერაფერს შეასმენ. ალაპი მონყალეა, სახლი კი დავამთავრე, მაგრამ კარები მწვანედ შეღებულ-მითქვი რომ გეტყვი, შენ თუთუნის, თურბეს მწვანე ფერი უნდა შეარჩიო, დალაზეროს ეშმაკმა?!...
 - სულ ეგ არის, სელიმ ბეი!
 -ეჰ, ნუ იტყვი, ნუ, მუმთაზ ბეი, .. აბა,

როგორ არ ვიჯავრო. სამი ტაქსი მყავს. მძღოლს ვეხვეწე, უკანა ფანჯარაზე ჩიტს ნუ შემოსვამ, ცუდის ნიშანია-მეთქი. როგორ ფიქრობ, გამიგონა? სადარდელია, აბა, რა! შეაყარე კედელს ფეტივი... ღმერთმანი, მაგათთვის ყველაფერი სულ ერთია, თავგზა ამებნა.
 -არ გინდა, ნუ აზვიადებ, სელიმ ბეი.
 -ნათქვამია, მუმთაზ ბეი... უბედურება მარტო არ დადისო. ჰოდა, ჩემ სადარდელს ემატება და ემატება, აღარ ვიცი, რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე...
 მიდიოდა და თავისთვის ფიქრობდა:
 -მე თექვსმეტი წელი ...
 -გამარჯობა, მუმთაზ ბეი!
 ეს კი ხილით მოვაჭრე მურთაზია. სალაპარაკ-ქალამი არ დააყოვნა:
 -გამარჯობა, მურთაზ ალა! როგორ გიკითხობ?
 -აჰ, არ მკითხო, თუ კაცი ხარ.. ამ დროში როგორ ვიქნები?
 სათქმელადაც არ ღირს. სამი წელია, გოგო გავათხოვე. პირველს რომ ვათხოვედი, სიძეს ოცდაათი ათასი ლირა მართო ფულად ჩავუთვალე. მორე სიძე ექიმია. მასაც ორმოცდაათი ათასი დავაყარე. ბეიოლლუს ცენტრში დუქანი გახსენი. ეჰ, ადვილია?! ამასობაში მესამე გოგოს ჯერიც დადგა...
 -მესამემ რა, სამოცი ათასი მოგთხოვა?
 -მომთხოვა რას მიქვია... ალალი იყოს, ჩემი გოგოს ქმარია... სამოცი ათასი კი არა, სამოცდაათი ათასი ვუფეშქაშე. მერე ავდექი და, საახალწლოდ ამ ჩემ გოგოს ლურჯი საკაბე ვუფეშქაშე. ეჰ, ... ისეთი სკანდალი ამინია ...
 -რა სკანდალი?
 -დალოცვილ იყავ, მუმთაზ ბეი... თურმე იმ წელს იისფერი ყოფილა მოდაში და ... როგორ ფიქრობ, ჩემი გოგო ადგებოდა და ლურჯს ჩაიცვამდა? მოდი და ნუ იდარდებ, შევლონდი, თავი მომბეზრდა. ესეც არაფერი. სულ უმცროსი ხომ გახსოვს...

-მაპატიეთ, მურთაზ ალა... მექარება, უნდა დაგემშვიდობოთ... მეგობარი მელოდება...
 მიდის და თავისთვის ლაპარაკობს:
 -ოი, ალაპ, შენ სამართალს ვენაცვალე, თექვსმეტი წელი თავი ნიგნებს ვუხატე...
 -ო... მუმთაზ ბეი... სად დაიქარგეთ? ეს მენახშირე მისბაპია...
 -გამარჯობა, მისბაპ!... შენ სათა ხარ?
 -ეჰ, ნუ მკითხავ, სევედა შემომანვა! ძმაო, ცხოვრება ნახდა. ბაიზიტიში სახლი მაქვს... ვიფიქრე, ოთხთახიანი ბინა გვეყოფა და თურმე სადა ხარ, პატარა არ გამოდგა? გოგო ფრანგულ სკოლაში დადის... თან სკოლასთან ახლოს იქნება, თანაც ცოტას გავფართოვებთ-მეთქი და ჰარბეში მთელი სართული ვიქირავე.
 -ძვირი გიჯდება?
 -რას ამბობთ, მუმთაზ ბეი... ძვირად რატომ ვიქირავებდი. ფეხს იმდენზე ვმლი, სადამდეც საბანი გამწვდება. ქირა არაფერი... ძმაო, მთავარი უბედურება ის არის, რომ ასი ნომრის ფასადი ჩრდილოეთს უყვრება... ფანჯარა კი მჭიდროდა მაქვს დამანული, მაგრამ ზამთრის ქარები ხომ იცი, საშველი აღარ არის. რამდენჯერ ვთხოვე სახლის პატრონს, ძმაო...
 -სასწრაფო საქმე მაქვს მისბაპ, თუ ძმა ხარ, ნულარ გააგრძელე, კარგად გნახე... მიდის და თავისთვის ფიქრობს:
 -ამდენი წელი თვალები ამოვიღ...
 -გამარჯობა მუმთაზ ბეი...
 ეს მერძვე რეჟეფია...
 მუმთაზ ბეი:
 -გამარჯობა! მიესალმა და ის-ის იყო უნდა გასცლოდა, რომ მერძვე რეჟეფმა შეაჩერა:
 -ღმერთმანი! სული ყელში მეტჯინება, თავისთან მაინც ნამიყვანდეს ეს დალოცვილი უფალი. ცხოვრებას ეშხი ...
 -მუმთაზ ბეი სიტყვა აღარ დაამთავრებინა. პირი გააღო, თვალები გადმოკარკლა და... აყალ-მაყალზე პოლიციაც გაიჩითა. რეჟეფმა, რძით საესე ბოთ-

ლებიანი ხურჯინი მხრებიდან მოიხსნა და წესრიგის დამცველებს მიახალა:
 -ბატონო პოლიციელო, ამდენი ხალხის წინაშე გამლანძღა, შეურაცხყოფა მომაცენა, პასუხი უნდა აგებინოთ!
 სასამართლოში რეჟეფმა მოსამართლეს აუხსნა:
 -ბატონო მოსამართლე, ეს მუმთაზ ბეი ჭკვიანი კაცი მეგონა. ორმოცი ათასი ლირა მაქვს. ფასები ყოველ დღე მატულობს, ობლიგაციებს მაინც ვიყიდ-მეთქი, გაიფიქრე, ავწონ-დავწონე და რჩევა ვითხე. ამქვეყნად ჭკუის საკითხავი კაცი აღარ დარჩა. მეც ეგ დალოცვილი წერა-კითხვის მცოდნე, განათლებული, ჭკვიანი კაცი მეგონა...
 მუმთაზ ბეი, დაიწყო მოსამართლემ: განათლებული, წერა-კითხვის მცოდნე, გონიერი კაცი ჩანხართ და...
 მუმთაზ ბეი მოწმეებმა უაღრესად კეთილშობილ, წესიერ, განათლებულ პიროვნებად დაახასიათეს. თუმცა, არ დაუშალავთ მომჩივანს რომ უდიერად მოექცა, შეურაცხყოფა რომ მოაყენა...
 მოსამართლემ მუმთაზ ბეის ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა დაუნესა და სამკურნალო დაწესებულებაში გაამწყვსა... სხვის ნათქვამს არ გუშნებოთ, საკუთარი თვლით ვნახე. ათი დღეა ციხის საავადმყოფოს პალატაში წინ და უკან ბოლთასა სცემს და თავისთვის ლაპარაკებს:
 -ეი, შენ! იცი? თექვსმეტი წელი სამელნიდან მელანი ვაშრე, თვალის ჩინი დამელია, ნიგნებს თავი ვუხატე, იდაყვები გადავიტყავე...
 -მერე კი... ოხ, მე შენი ასი ნომერი სახლის ჩრდილოეთის ფანჯრისა... ოხ, მე შენი ...
 თარგმანს ქართველ ტომარაქმა

ჟან მარი გუსტავ ლე კლეზიო: „მწერალი მხოლოდ მწერალი არ უნდა იყოს“



ჟან მარი გუსტავ ლე კლეზიო თანამედროვე ფრანგი კლასიკოსია, რომლის შემოქმედებაც ჟან ჟიონის პრემიითა და-ჯილდოებული. დაიბადა ნიცაში 1940 წლის 13 აპრილს. მისი პირველი რომანი „ოქმი“ 1963 წელს რენდოს პრემიით და-ჯილდოვდა. 1980 წელს ლეკლეზიოს საფრანგეთის აკადემიამ პოლ მორანოს დიდი პრემია მიანიჭა რომანისათვის „უდაბნო“. 1994 წელს ლე კლეზიო აღიარეს ყველაზე დიდ ფრანგულენოვან მწერლად ცოცხალთა შორის. 2008 წლის 9 ოქტომბერს მას ნობელის პრემია მიენიჭა.

ინტერვიუ, რომელსაც დღეს გთავაზობთ, 2006 წელს გამოქვეყნდა „მაგაზინ ლიტერერში“.

ბუდეებს და სწორედ ესენი თავიანთი სკინტილითა და ყველაფრით, რაც თან მოაქვთ, ერთგვარად აცოცხლებენ კუნძულს, ამის გამო ირგვლივ მცენარეულობა რომ იზრდება, ცენტრში კლდე კი უფრო მოტივტივებულია.

- სამყაროს თქვენეულ აღქმაში თითქოს ორი მხარეა: მინერალური და ადამიანური სამყარო.

- ჩემთვის ორივე მომშვენლოვანია. მხოლოდ მინერალური და ზღვა არ მაკმაყოფილებს, არც მხოლოდ ადამიანთა საზოგადოება, ის მით უფრო მომხიბლავია, რაც უფრო ახლოსაა ამ ელემენტებთან. ბრეტანი მახსენდება, სადაც ჩემი ფსევბია, მინერალებისა და ზღვის სამყარო. ცოტა ხნის წინ ტირი გამახსენდა, რომ-მისგანაც არაფერი დარჩა. ამ ქალაქის ძველ რუკას ჩავხედე. ნახევარკუნძულზე იყო გაშენებული, ერთ მხარეს ბერძნული ნავსადგური იყო, მეორე მხარეს ბერძნული არხით უკავშირდებოდა ერთმანეთს. ტირი ხმელთაშუაზღვის ერთ-ერთი ანგარიშ-გასანევი საზოგადოება იყო. მოტივტივე-ბულ კლდოვან კონცხზე აღმოცენებულ ამ ქალაქში სრულიად განსხვავებული ფორმები და კულტურები აღმოცენდა, მაგრამ ორივე კლდეს იყო მიჯაჭვული და გადაჰყურებდა ზღვას, ერთმანეთს კი არხით უკავშირდებოდა... ვასაციარია, სწორედ ის საზოგადოებები მხიბლავს, რომელთაც წყალთან, ქვებთან ამდაგვარი ურთიერთობა აქვთ, მხიციო, ეს მომაჯავ-არებითი ქალაქიც, სრულიად მოტივტივე-ბულ კლდეზე, მომალაშო ტბის შუაგულში გაშენდა.

- ქალაქებზეც ბევრს ლაპარაკობთ თქვენს რომანებში. ქალაქელი რომ ხართ, იმიტომ?

- დიას, ქალაქში დავიბადე, ზღვის ნაპირას. მეც, ბევრი ევროპელივით, უმთავრესად ქალაქებში ვცხოვრობდი. ქალაქი გზრდის და ბევრად უკეთესი შეიგრძობს, ასე ვთქვათ, ქალაქის ხიფათს, ცხადია გზილავს კიდევ, ე.ი. ვაცდუნებს, ოღონდ ნეგატიურ ცდუნებას ვგულისხმობ.

- ქალაქში მოხვედრილი თქვენი პერსონაჟები გაურბიან ქალაქურ ცხოვრებას, ვგულისხმობ „უდაბნოს“, „მოგზაურობას განაპირა მხარეს.“

- დიას, ასეა. ამიტომაცაა ქალაქში რომ ვერ ვჩერდები. იშვიათად, რომ ადამიანმა კარგად იგრძნოს თავი დიდ ქალაქში. ასეთები მე ჯერ არ შემხვედრია. ჩემი აზრით, ქალაქებში ძალიან გაორფული დამოკიდებულება აქვთ ქალაქთან. ერთ-ნი არ იცნობენ მას, ერთგვარ კოშკში არიან გამოკეტილი, რომ არ დაინახონ, მეორენი კი, როგორც შესაძლებლობა მიეცემა და სამსახური ამის საშუალებას აძლევთ, სტოვებენ მას, რაც სრულიად გაუთვითცნობიერებელი ქცევაა. და ის, რომ თავს ქალაქური აგრესიის მსხვერპლად მიიჩნევს, საესებით ბუნებრივია.

- ასე რომ, წერა თავდაცვის ერთ-ერთი საშუალებაა?

- არც თუ ისე საიმედო. წერა, ჩემთვის უმალ ავანტურა, საკუთარი თავიდან გამოსვლაა რაიმე სხვისა და შენი თავის აღმოსაჩენად, უკეთ ამოსაცნობად. ყოველ შემთხვევაში, მწერლობა, შეკითხვების დასმით, ხელების ცეცებით იწყება და არა მტკიცებით. ხელოვნების ყველა დარგს შორის წერის ხელოვნება ყველაზე ნაკლებად ამტკიცებს. ხელოვნება, რომელიც მოთხოვნილებას ემსახურება, ვთქვათ, მაგისა ან ავეჯის გაკეთება, გამორიცხავს „შეიძლება“, ბოლომდე უნდა იყო დარწმუნებული. კინემატოგრაფიული ხელოვნებაც მეტისმეტად თავდაჯერებული ხელოვნებაა... გამორიცხულია ორჭოფი, გაუბედავი მოქმედება, წერილობით ტექსტებში, რომანებში და ზოგადად ლიტერატურაში სწორად ის გვიდინავს, რაც ერთბაშად, ხელის ერთი მოსმით კი არა, ნელ-ნელა იქმნება. მაგალითად, როცა კონრადს, ტურგენევს ან სხვა დიდ რომანისტებს კითხულობ, ნიგნის დამთავრებისთანავე ხვდები, რომ რალაც გამორჩათ, რომ საკუთარი თავი აშკარად ბოლომდე ვერ ამოწურეს, მიუხედავად ამისა, მთლიანობის ერთგვარ ცოცხალ შთაბეჭდილებას ტოვებენ.

- ციტატას შევახსენებთ „გაქცევათა წიგნიდან“: „ნამდვილ ცხოვრებას არა აქვთ დასასრული, ნამდვილ წიგნებს არა აქვთ დასასრული (გაგრძელება იქნება)“.

- დიას, სწორედ ასეა. ნამდვილ წიგნებს არა აქვთ დასასრული, სწორედ იმიტომ, რომ მათში დაუსრულებელი მოძრაობა იგულისხმება. ამ მოძრაობას მწერლის

სიყვარულიც კი ვერ შეაჩერებს. ზოგჯერ გეჩვენება, რომ მწერალი დროებითია, ქსელში ჩართული ნათურასავით. ერთხანს განათებს, შემდეგ კი ცვლი ნათურას. ლიტერატურა სწორედ ასეთი ქსელია, ერთმანეთთან მეტისმეტად გადაჯაჭვული კითხვისა და წერისაგან შექმნილი. ერთგვარი კვება, ერთგვარი სუნთქვა, ერთგვარი დრამა, რომლის მსახიობებიც მკითხველი და მწერალი არიან. ასე მგონია, დღეს რომანი ოდნავ მაინც მიუახლოვდა იმას, რაც ასე იზიდავდა ბერძნებს და რაც მეტ-ნაკლებად დაიკარგა თანამედროვე თეატრში, რადგან თეატრი გაეჯიბრა კინოს. რომანი კი საშუალებას გაძლევს, მისდო პერსონაჟს. ყოველ რომანში რალაც იქმნება და რალაც ინგრევა. თითქოს ამ ყველაფერს უჩინარი მინოტავრი წარდეს, მწერლები კი მის სასახურში ჩამდგარი მწიგნობრები ყოფილ-იყვნენ.

- როგორ ათავსებთ მწერლობას ყოველდღიურ ცხოვრებასთან?

- ვფიქრობ, წერა ცხოვრების მხოლოდ ერთი მხარე უნდა იყოს. წერის ერთგვარი ხიბლი ისაა, რომ მას მთლიანად არ ეძლევი. დარჩენილ დროს ალაბებდებე მიჰყვები წუთისოფლის დინებას, ესეი, ჩემი აზრით, გასული საუკუნის ლირიკულ-მა პოეზიამ გვასწავლა. რემბოს ვგულისხმობ. ცოტა ხნის წინ მისი ბიოგრაფია ნავიკითხე. გაოცებული დავრჩი, სად არ დადიოდა, რას არ აკეთებდა ეს ბიჭი, სიცოცხლეს საფრთხეში იგდებდა, რასაც წერდა, თავად ჰქონდა განცდილი, მაგრამ იმისთვის კი არ ცხოვრობდა, რომ ეწერა, არა, უბრალოდ ცხოვრობდა. ჩემი აზრით, რემბო მწერლის ნიშუშია, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. მწერლები ასე არ ცხოვრობენ.

- თქვენ გავთ, არა?

- არა, არა, მე უკანდასახევი გზა არ მომიჭრია, ალბათ ოჯახის გამო. რემბომ კი ძლიერად მოიქნია ხმალი, განსაკუთრებით ოჯახისკენ. ცხადია მას საშინელი ოჯახი ჰქონდა. საბედნიეროდ, ამას ჩემზე ვერ ვიტყვი. ნიშუში როცა ვამბობ, თავგადასავლებს ვგულისხმობ. გარდა იმისა, რასაც წერდა, მთელი მისი ცხოვრებაც პოეტური იდეალის, რალაც დაუსრულებლის გამოხატულება იყო. მარადიულ ჭაბუკად დარჩა, სხვათაშორის, სიკვდილამდე მიმომატ იგივე ტრავმატირია შემოხაზა, ოღონდ სხვა სფეროში, თანაც გაც-ილებით თავშეკავებულად და ნაკლები ხილვებით, მიუხედავად იმისა, რომ მასაც გასაოცარი თავგადასავლები გადახდა თავს. ისიც იმ ადამიანებით არის, ვინც გამუდმებით იკვლევს, უფრო ინტენსიურად ცხოვრებას, ვიდრე წერს, უფრო სწორად ცხოვრების მხოლოდ გარკვეულ მონაკვეთში წერს. ჩემი აზრით, მწერალი მხოლოდ მწერალი არ უნდა იყოს!

თარგმანს სოფიკო პენდიაშვილმა

„ისევე საკუთარ თავში უნდა ჩაგბრუნდეს — საკუთარი თავი სულაც არ ნიშნავს ჩემთვის სხეულით შემოგარსულ ორგანიზმს, საკუთარი თავი ის შინაგამყაროა, სადაც ფიქრის და აზროვნების, უფრო კი სულიერი გრადაციის, გარკვეული მეტამორფოზის საშუალება მეძლევა.“ (ამოდის თუ ჩადის მზე?!). თვითრეფლექსიურობა კი პოეზიის ის გზაა, რომელიც რამდენიმე მეტაფორულ ზონას გადის, არღვევს მატერიის სევედას და სიღრმულ სიხარულს ეზიარება, რასაც პოეტი „თავდაპირველ ბინდში დასახლება“ უწოდებს: „თვალს, რომელიც კარგავს დასაყრდენს/და ჩაბრუნდება თავის სიღრმეში, რომ თავდაპირველ ბინდში დასახლდეს.“ (ჩაბრუნებული მზერა“ (თებერვლის ეპისტოლე), ან „მე ვკარგავ სიმალეს და დაბლა ვემევი —/საკუთარ სიღრმეში და მზე მესხურება, /რომელიც ამოდის უშორეს სსოვნიდან...“ („სახლი“). ეს ფაქტიზი ონირიზმია აღბეჭდილი რილკეს „მერვე ელევგიაში“: („ყველა არსება განხმულსკენ ქცეულა მზერად./მხოლოდ ჩვენა გვაქვს შექცეული ჩვენი თვალები/თითქოს პირუკუ და მათ ირგვლივ ისე გვიგია, /ვით ხაფანგები თავისუფალ გამოსასვლელთან“), ვ. კოტეტიშვილის თარგმანი). პოეტის „თავდაპირველი ბინდი“ კი, ალბათ, სხვა არაფერია, თუ არა ფსევდო-დონისეს „ბნელი“ (ეფრემ მცირე ომ „ნისლს“ უწოდებს), ღვთის სამეფო, ვარდის ნიალი. ამ ღრმა ინტროსპექციის დროს, როგორც ბამლარი ამბობს, სიტყვაც საგანთან ერთად იძირება სიღრმეში და ამ დროს ჩვენ საგნების პირველსაწყისსკენ, პირველმნიშვნელობისკენ მივინევთ: „შენ ეძებ სიტყვას პირვანდელ ნიშნით/და არა ლამაზ ორნამენტით“ („იანვრის ეპისტოლე“) ამბობს პოეტი. ამიტომაც „ოქროს კვეთით“ ეს სიტყვა „ღვთის კრავით რომ უცოდველია/უმიზეზოა და ზნეკეთილი“ („მანის ეპისტოლე“), უჩვეულოდ „გამტარია“, სისხლსავსე და ხორციელ მოსილი. „ზმნა რომ იზადება, მწკრივებს და სერიებს/უსხატება, გაივლის, პოულობს სასურველს/და სიმებიანთა ბგერების ხაოებს/არავლეს ხეში და საკრავებს სასულეს/ჩაბერავს ბებერი სამყარო ხელახლა...“ „დღის კონცერტი“. გივი ალხაზიშვილის მუსიკალურ მეხსიერებაში პირველქმნილ სიტყვასთან ერთად უძველესი ბგერებიც სახლობს, ამიტომაც ესმის მას შებინდებისას „ბგერები ალტის, საქსაფონოს, უძველეს ებნის...“ პოეტის მიერ „პირვანდელი ნიშნით“ აღბეჭდილი სიტყვა კი პოეტური ნახტომით ჩნდება ელექტრონულ, აკად-ნუსხურში აკრეფილ ტექსტში. ეს პოეტური ამპლიტუდა თითქოს ორი განსხვავებული სივრცის — ტრადიციის, სამყაროს ჩინებულად სრულყოფილი ხატისა და ახალი სამყაროს გროტესკის განსახიერებს. ამიტომაც ლექსის ბოლო სტროფში სრულიად ლოგიკურია დაღმავალი კადენცია, წარმავლობის სევედით გაჯერებული: „...და როცა ნახვალ ფეხპირფით/შენს აკრეფილ ნახვალს/და კახსომეველ/ძველი ქარები, კაფები და კულისები...“ „ქარის სსოვნა“) მშვიდი და ბუნებრივი გრადაციია, რომელიც დამახასიათებელია გივი ალხაზიშვილის პოეტური ხელწერისთვის. თუმცა კი პოეტის ლექსების რიტმი, მუსიკა მრავალფეროვანია, ძირითადად რჩება სიღრმული, მედიტაციური ტონალობა, განოსასწორებული, მეტაფორული ღრმით, რაც მის პოეზიას განსაკუთრებულობას ანიჭებს. არ შეიძლება არ აღინიშნოს პოეტის ლირიკული სუნთქვის მრავალფეროვნება, სწრაფვა ბგერის მუსიკალური ორგანიზაციისკენ, რაც ხშირად სხვადასხვაგვარი ეფფონიური თამაშებით არის გამოხატული:

„არ უნდა ფუთხრა დაჭაობებულ
ნარსულის ჟალტვამს და მალარიას,
დაბრუნებული დღეებიც ნავლენ...
შემოდგომამ ხომ იმალიარა,
მზერა გაგვიტობო ფერადი ნავლით...
ახლა ეს წუთი — ათასი წლის
სამალავია...
და გარდაცვლილი ბავშვებისთვის
მღერის მალერი...“ („სამალავი“)

პოეტის ვერსიფიკაციული, სემანტიკურ-სახეობრივი, თუ სტილურ-ჟანრობრივი მრავალფეროვნება აყალიბებს მის ინდივიდუალურ-ენობრივ კოდს. მისი პოეტური სემანტიკა, პოეტიკა თუ ცალკეული სიტყვის პლასტიკა მუდამ ერთ დიდ,

სოფიკო კვანტალიანი

დისკუსიის მარწყვის მდელი

„ისე შევდივარ საგანში, მცენარისა თუ ადამიანის ბნელით მოცულ სიღრმეში, რომ თვითონ ვერ გამიგია. ეს უნარი ხელს მიშლის ადვილად ვიცხოვრო და ეს ჩემთვის ერთდროულად — ტრავმაცია და ბედნიერებაც. ასე რომ, უკიდურესობათა კედლებს უნებლიეთ კი არ ვენარცხები, ეს ჩემი ხვედრია და ამგვარი ხვედრი — ჩემში ამოქმედებს სიტყვებს, საცეცებივით რომ მიძვრებიან ქვეცნობიერში და ისე ამოსწოვენ იქიდან „ბნელ ინფორმაციებს“, როგორც მცენარე თავის ფესვებით შეისრუტავს ნიალის სინოტივს“ („ა. ალხაზიშვილი, რომანი „ამოდის თუ ჩადის მზე?!“ 1999). ეს პოეტური მედიტაციის ის ფაზაა, როდესაც მშვენიერი ლირიზმიდან ეგზისტენციური სიხარულისკენ მიდის პოეტი მსგავსად ანრი მიშოსი, რომელიც პოეტური ლოგიკით და უჩვეულო ინვერსიით ვაშლის ნიაღში „შედის“, ან თუნდაც ფლობერი, რომელიც ამბობს, რომ საგანზე დიდხანს მზერით აღწევს მასში. ეს სიღრმული ინვერსიები, რომელსაც გივი ალხაზიშვილი „ჩაბრუნებული მზერით“ აღწევს, მთელ მის პოეტურ კრებულს (საუბარია პოეტის ახალ ნიგზე „ჩაბრუნებული მზერა“, 2010.) გასდევს.

ემოციურ სისტემას უერთდება. ემოციის ხან იმპრესიონისტული („...და ვგრძნობ საღამოს ლურჯფეროვან გახავერდებს...“ („გახსოვდეს თიხა!“) ან „ველის შრომანებთან მიწადა წასვლა/და გამოტევა შუა მინდორზე./სადაც ბალახს ზეცა ეხება ულურჯესი...“ („სიხარულის მენყვილე“), ხანაც სიმბოლისტური („სადაც გამჭოლად ხედავ სიზმარ-ცხადს/და ბროლის ქრილი იჩქება ფარშავანგები.“ („ქარის სსოვნა“) ან მოდერნისტული („ხედავ, ცა ივსება ცელოფნის ყვავილებით...“ („თვალის გზად გაგირბის“) ან „გეფიცები ბებერ ყოროსანს, /ახლა რომ თავზე გადამიფრინა...“ („ეს დღე სად გაქრა?!“) ფერწერული მონასმები ბადებენ.

პოეტური ნაწარმოების კითხვისას ერთი ბანალური და უჩვეულო რამ ხდება — (ნა)მკითხველი, რეციპიენტი, ნებისთი თუ უნებლიეთ, იჭრება ტექსტში და საკუთარი სუბიექტური იმპულსების მიხედვით უცვლის მას ფორმას, კონტექსტს, დისკურსს, ტონალობას. ამიტომ ლექსი კითხვისას მუდმივად ქმნადობს, ჩამოყალიბებს პროცესს. ამ პროცესის ხანგრძლივობას კი პოეტურ ენაში აღმოჩენილი მშვენიერი პოეტური სიმკვრივეები — მეტაფორები (და ტროპის სხვადასხვა სახეების) (გ)ახსნა განაპირობებს. გივი ალხაზიშვილის პოეზიაში მეტაფორები კონცეპტუალური და დახვეწილია. ისინი ცოცხლობენ, სისხლით ივსებები, ხორციელდებიან. ეს დაახლოვებით ისეთივეა, როგორც პოეტის ცალკეული სიტყვის სიცოცხლე („...და უსმენ სიტყვას, /გულივით რომ ფეთქავს მალიმალ...“ („სასულე ორკესტრის თანხლებით“), ლირიკული სუბიექტი კი ორ სიტყვას შორის ნონასწორებს — „დაბადებიდან დაბადებამდე“. („ორ სიტყვას შორის“) ამ ლექსის დასასრულს პოეტის ერთმა მეტაფორამ გამიყვანა — ეს აბრეშუმის ჭიის მეტაფორაა, როგორც განცდა ამ ორ სიტყვას შორის, როგორც სიცოცხლე თავისი სანყის-სასრულით:

„სტუმრად ხარ შინ და
იქსოვ სიწმის,
დროის სიმდორეს გულში იგუბებ
და ნასასვლელად ყოველთვის
მზად ხარ
და აბრეშუმის ჭიასავით შენი

ფუსფუსი
სულ ფურცელ-ფურცელ ააშრილებს
სიბნელეს, სადაც კრთება ფოსფორი —
როგორც საფლავზე სსოვნის ნიშანი.“
(„ქარის სსოვნა“)

ეს მეტაფორა პოეტის „სარკისებრი მე“-ს ცხოვრებაცაა, რომელიც სხვა ლექსში შორიდან გარკვევით მოჩანს, როგორც სიმარტოვის „ქსოვი“, „აბრეშუმის ჭიის პარკივით“. (ლექსის კითხვისას ზოგჯერ ასეთი პოეტური პარადოქსი ხდება — ტექსტი, კითხვისას, შესაძლოა გაქრეს, ტექსტში ორის კავშირებში, ნაპრალებში გასხლტეს, გაუჩინარდეს. ეს მეტაფორის სიმძიმეზე, მის მრავალშრიანობაზეა დამოკიდებული. უსათაურო ლექსში („ვერ აღივსება გული ჩემი შენდავით მტრობით“) ამ მეტაფორამ თითქოს მოგვწყვიტა ლექსის მთავარ ნარატივს, სადაც პოეტის ლირიკული „მე“ მეორე პირის გულგრილობას და დავიწყებას ჩივის: „შენ ცხოვრობ შენი გულგრილობით, მე ვარ უშენოდ“). ეს თეთრი და ნაზი მეტაფორა მარ-

თლაც თავისი სააბრეშუმე ჯირკვლებიდან გამოჰყოფს სადაფისფერ ბზინვარე სიბხეს, რომელიც გზაა (გალაკტიონის დეფინიციით „ვარდისფერი გზა“) დაბადებიდან დაბადებამდე“. ვ. როზანოვი „განმარტოებულში“ წერს, რომ ამ მწერის არსებობის სტადიები ფიგურალურად გამოხატავს ცხოვრებას სამყაროში: მუხლუხის სტადია: ჩვენ ვცოცავთ, ვიკვებებით და უძრაონი ვართ. ჭუპრის სტადია: ეს სიკვდილი და კუბოა. პეპლის სტადია: პეპლა — ეს „სულია. ანუ ეს მეტამორფოზა მანძილია „დაბადებიდან დაბადებამდე“. ამიტომაც ვირტუალური ვეშაპისგან შთანთქმული ავტორის ლირიკული გმირი თავს იონას ადარებს („სირიუსის ჟამი“), რადგან სწორედ იონაშია მოცემული კვდომა-აღდგომის პარაბოლა. მსგავსი სიღრმის მეტაფორები ალხაზიშვილის ინტელექტუალურ პოეზიაში ცალკე სააზროვნო სისტემებს ქმნიან, რომელთა სულ მცირედ (გ)ახსნაც კი საოცარი სიამოვნების განცდას გვაწიჭებენ. ასეთი მეტაფორა-სიმბოლოა სახლი, რომელიც თვალს გაყოფს თავის ფანჯრებით („სასულე ორკესტრის თანხლებით“). (ეს ვირტუოზულად გაპიროვნებული სახლი ერთგვარი ალუზიაა ანრი ბოსკოს სახლია, რომანში „გეციენტის“, სადაც აღწერილია სახლი, რომელიც პატრონს ელოდება). ეს ის ფესვიანი სახლია, სადაც სიზრრების დროს ვიმყოფებით. ეს ის სახლია, სადაც ზმანებათა მაღალი სიზმირება, სადაც ხდება შერწყმა ფესვებთან. ამიტომაც ლექსის ლირიკული გმირი ამ სახლში მამის სილუეტს პოულობს, თუმცა კი პოეტის მედარებით ადრინდელ ლექსში („შინ“, 1998) მისი ონირული სახლი იმპერია და ცარიელია. მას მნიშვნელობაც კი დაკარგული აქვს სახლის. ეს სიმბოლური სახის-მეტყველება კარგად ხსნის პოეტის სულიერ გრადაციას, რაც, შესაძლოა, სამყაროს ცენტრის, მამის დაკარგვით გამოწვეულ სევედასაც ეხმანებოდეს. ლექსის ფინალში კი ავტორის სკეფსისი ნისლივით იფანტება: „და მე ხმამალა ვიმეორებ: შინ — შინ — შიინ.../და ამ სახლში გაბნეული მთელი შრიალი/ამ ერთ სიტყვაში თავს იყრის უცებ/და სახლი იწყებს შინდაბრუნებას“. (იქვე) რთული, პოლისემიური მეტაფორების გვერდით ალხაზიშვილის ლექსების ახალ კრებულში გვხვდება მსუბუქი, თითქმის უწონადი მეტაფორა „პაერის ყვავილი“ („ქარის სსოვნა“), ან სიცოცხლესავით აქროლადი „პურის სუნი“ („პურის სუნი“), ან კიდევ „გაფუებული ცომი“, რომელიც პოეტის სსოვნაში ფიხს. პურის სიმბოლოს, რომელიც ალხაზიშვილის ახალ პოეტურ ციკლს („პურის სუნი“ 2010-2009) აერთიანებს, ფესვი ზიარების საიდუმლოში აქვს („დედულეთის მონატრება მავსებს და მცდის —/მეხსიერება თუ კიდევ შემჩრა/და პურის ნატეს ვანებ ღვინოში“) და ამდენად მისი სურნელი პოეტის მთელ ციკლში იგრძნობა: („მე კი არა, /პური და ღვინო ცოცხლობს ჩემში/და მათსებებს...“ („ეს დღე სად გაქრა?!“). მეხსიერების, ნარსულის აღდგენის ყველაზე ზუსტი და ნამდვილი იმპულსი ცნობილია, რომ არის ბგერა, სიტყვა, ფერი, ფორმა ან სუნი როდესაც ამ უზილავი ბიძგებით ნარსული მოვლენის მთელი სისრულით შეგრძნება ხდება.



(მორის ბეჟამ ამას „რეტროსპექტული ეპიფანია“ უწოდა). ასე აღადგენს „პურის სუნი“ ნარსულს:

„დედულეთის მონატრება მავსებს და მცდის —
მეხსიერება თუ კიდევ შემჩრა
და პურის ნატეს ვანებ ღვინოში.
გამზურებულ სათიბებიდან
ბრუნდება პაპა,
ხოლო ბებია გაფუებული ცომს
დასტრიალებს.“

(„პურის სუნი“)
დროის ფილოსოფიური გააზრებები გივი ალხაზიშვილის ყველა დროის ლექსების ერთ-ერთი მთავარი მოტივია. დრო პოეტთან ხშირად დედდება, მდორდება, ეს გამოწვეულია წუთებს შორის მანძილის მოულოდნელი ჩალრმავებით („ზოგჯერ წუთი ისე ღრმავდება, /რომ ჩვენი თვალები სიმშვიდეს ასხივებენ“ („წუთის სიღრმე“), რაც ხშირად დროის სივრცეიდან გაცლის, უდროობას შეგრძნებას ბადებს: „ჩვენ ველარავის დავივინებთ, დრომ დაგვივინა და აღარ გვეყოფნის აღარავის დასავინებად

ანმყო, რომელიც თითქოს გვეწონდა, თითქმის არა გვაქვს“.

და უდროობის ბუნდოვანი ჟამი იწყება...“ („ზღვართან“) აქ არ არის ე.წ. ფაბულანური დრო, აქ ნარსული და ანმყო ერთმანეთს ეფინება და ერთ მარადიულ ნმყეის ქმნის, რაც უდროობის ფარდია. ეს გაცილებით უფრო მძაფრი განცდაა, ვიდრე ოკეანების, მთების, დედაამინის დრო, სადაც მისი მდინარება უგრძობია, რასაც თ. ულფი „უცვლელ დროს“ (ტიმე იმპუტაბლე) უწოდებს. ამიტომაც პოეტის ლირიკული „მე“ ივინყებს ანმყოს და უდროობის ზღვართან მიდის: „მე დავივინყებ ოცდამეერთეს/და უდროობის ზღვართან ჩავივლი“. (მნიშვნე ვინმე“) ეს ზღვარია უდროობასა და ნარსულს შორის: „რალა აზრი აქვს საათებზე

გაბმულ საუბარს,
და ამ ბანალურ წრებრუნებაზე
აპელირებას,
ისინი მუდამ იმ დროს ითვლიან,
რომელიც ქრება დათვლისთანავე,
ფერად-ფერადმა ბუმტებმა რომ

ცად გადაკარგეს —
ჩვენი ნარსულით გაბრუნებმა.“

გივი ალხაზიშვილი ფერადი ნარსულის დაბრუნებას „მარწყვის მდელიზე“ ახდენს. ამ მკვეთრი და სისხლსავსე მეტაფორით პოეტის ლირიკული სუბიექტი კვლავ საკუთარ თავში ღრმავდება, საკუთარ ნარსულში ინთქმება. ლექსის ეს პასაჟი რატომღაც ინგმარ ბერგმანის „მარწყვის მდელისკენ“ მგზავნის, სადაც ფილმის მთავარი გმირი — ისაკ ბრევიც სწორედ ველური მარწყვის მდელიზე „ბრუნდება“ ნარსულში და ამავედროულად, საკუთარ თავში. ამ მსუბუქად ეროტიკული მეტაფორით პოეტის მეხსიერებაში ვნებანი კოცნის ამბავი იბურცება: „მარწყვის მდელია, მწიფე ნაყოფს რომ გამოაჩენს, /როგორც შენს კოცნას/და ეგტუჩები კოცნის გემოს გაიხსენებენ.“ („ბალახის ნაბიჯები“) ლექსის ამ პლასტიკურ მოტივში თითქოს ჩვენს თვალწინ ნათლად იშლება მდელი, რომელიც მწვანე სარჩულიდან ვნებანი სიმბოლოს აჩენს. ეს კი, სავარაუდოდ, „ჩაბრუნებული მზერის“ მხატვრული დეტალია.

ლიტერატურული გაზეთი
 გამომდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით
 რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
 რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
 ჟურნალისტები ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობახიძე, თამარ ჟურული
 ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com